# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 14 იანვარი 2003 №1 (1772) | ფასი 50 თეთრი




# ესტონეთმა ჩივაძეს შანსი მისცა

## მოლდოვასთან ორჯერ წაგებული ისევ მოლდოვას შეატოვა

იხილეთ მეორე გვერდი

# საკითხები, აი, ეს არის...

## ავსტრალია იმით დაიწყო, რომ კაპრიატისთვის დამთავრდა

სამშაბათ და საარდედაგებო ზარხოში ჯერაც არ გამონელებოდათ, მსოფლიოს უჩაუქესი მეჩოგენი ზეპურ კორტებს რომ მიუბრუნდნენ. ორი კვირის განმავლობაში ხან აქედან უარეს, ხანაც იქიდან, გუშინდლიდან კი უკვე ჯიქურ მიეძალნენ მელბურნულ საჩოგნეთს, რათა ერთმანეთში წლის პირველ სლემტიტულთა მფლობელის ვინაობაც გაარკვიონ და საამსეზონოდ გამარჯვებულის ფსიქოლოგიის შემსაგ ზლებლისაც... ვაგლახ — პირველსავე წრეში წაფორხილების გამო ზეპურ მარაქას ველარ გაედავება ირაკლი ლაბაძე. და მახლას — რა საწყალობელი სანახავი იყო გუშინ ქალთა მარშანდელი ჩემპიონი ჯენიფერ კაპრიატი, ვინც უსახელო გერმანელმა, მარლენ ვაინგარტნერმა ჰგვემა... მაშ, ვინლა აარიდებს საჩოგბურთო სამყაროს მორიგ შიდაუილიამსურ სლემფინალს? ან იქნებ თანამედროვე ჩოგბურთის მთელი მულამი სწორედ ეს შიდაშავდური ფინალებია? შეძლებს ლეიტონ ჰიუიტი, ავსტრალიას 25 წლის განმავლობაში მოუგებელი ავსტრალიურივე სლემტიტული მოუნაგროს? აი, კითხვები, რომლებზე პასუხებსაც მომავალ კვირათაგან გამოველით

იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე გვერდები



REUTERS ფოტო



ცნობილი მსხვერპლი და უცნობი ჯალათი: ჯენიფერ კაპრიატი და მარლენ ვაინგარტნერი

# ესტონეთმა ჩივაძეს მოლდოვა მისცა

**გადაწყვეტილი ამბავია**, საქართველოს ეროვნული გუნდი 12 თებერვალს თბილისში ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს მოლდოვასთან. ამ ამბის დამადასტურებელი ოფიციალური შეტყობინება კიშინიოვიდან გუშინ მოვიდა.

სათადარიგო ვარიანტის ძიება ფედერაციამ მას შემდეგ დაიწყო, რაც ტალინიდან უარი მოვიდა, წლეულს ჩვენი შეხვედრა ვერ მოხერხდებაო. ესტონელები საქართველოს 12 თებერვალს უნდა სწვეოდნენ.

მოლდოვის ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები თბილისში 11 თებერვალს ჩარტერული რეისით ჩამოფრინდებიან, 12-ში ითამაშებენ და მომდევნო დღეს შინ გაემგზავრებიან.

ეროვნულის თავკაც ალექსანდრე ჩივაძეს, ვისაც მოლდოვასთან პირადი ანგარიშები აქვს და თავის დროზე ორი ოფიციალური მატჩიც წააგია, ჯერაც არ გადაუწყვეტია, კონკრეტულად რომელ ფეხბურთელებს უხმოს, თუმც გუშინ თქვა, თვის ბოლოს სანაკრებო შემადგენლობას დავასახელებო.

— ლეგიონერებს მუდმივად ვეხმიანებით, თითოეულის მზადყოფნაზე გარკვეული წარმოდგენა გვაქვს, სამოლდოვოდ კი ნაკრებში ორიოდ ახალი სახელის გამოჩენასაც ელოდეთ, ხოლო სხვა სიახლეებზე თვის ბოლოს, პრესკონფერენციაზე ვიტყვიო, შეგვპირდა ნაკრების მწვრთნელი.

ესტონურ მხარეს კი შემოუთვლია, ტალინში 2004 წლის 18 აგვისტოს ვითამაშოთ, ხოლო თბილისში 2005 წლის 16 თებერვალსო. ამ სიტყვას გატეხვა მაშინ უწერია, თუ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველო ესტონეთს გადაეყარა.

**მამუკა ქვანტალიანი**



თბილისი. 1994 წლის 7 სექტემბერი. საქართველოს ნაკრები თავის პირველ ოფიციალურ მატჩში მოლდოველებთან 0:1 დამარცხდა

# ნაპერწკლიდან ალი აინთება

## ფეხბურთის ფედერაცია ტალკვესს მთავრობაში ეძებს

**ფეხბურთის ფედერაციაში** წლის ბოლომ საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა, ფედერაციის აღმასკომი 30 დეკემბერს შეიკრიბა და სამდღიანი არდადეგებიც დაიწყო.

ფედერაციამ სანადიმოდ 5 იანვარს მოიცალა. ქართული ფეხბურთის გამორჩეული ვარსკვლავის მურთაზ ხურცილავას 60 წელი ფედერაციამ რესტორან „ბერიკონში" აღნიშნა.

საშობაოდ ყველაფერი ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდა, ფედერაციაც ყოველდღიურ ყოფას მიეცა. პრობლემა ბევრია, დრო კი არცთუ თავსაყრელი.

30 აპრილამდე საქართველოს ნაკრებს სამი საშინაო მატჩი ელის შვეიცარიასთან, ირლანდიასთან და რუსეთთან. ფედერაციას კი უეფასთვის ჯერაც ვერ უთქვამს, რომელ სტადიონზე დაუხვდება ნაკრები სტუმრებს. ბოლო ვადა 29 იანვარს იწურება და ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებმაც ქვეყნის ხელისუფალნი შეაწუხეს, ან „ლოკომოტივის" ღალუქულ გენერატორებს ვუშველოთ, ანაც „ეროვნულზე" მოვაწესრიგოთ სათადარიგო განათებაო. ჯერ ისიც არ გაცხადებულა, რატომ ჩაბნელდა 12 ოქტომბერს „ლოკომოტივი" და ვინ აანაზღაურებს ფედერაციის დანახარჯს.

აქეთ მსაჯების დამოუკიდებლად არსებობა შემოუთვლიათ ფიფა-უეფადან. სხვა რა ჩარაა, ფედერაციამ დასტური უნდა მისცეს. მალე, ალბათ, მსაჯთა ასოციაცია ჩამოყალიბდება, წესდება უკვე შედგენილია, თუმცა მილჩენკოს სამწყსო კვლავ ფედერაციის ოფისში გააგრძელებს მუშაობას და ფინანსურადაც მასზე იქნება დამოკიდებული. როგორი დამოუკიდებლობა გამოდის, ჩვენთვის გაუგებარია.

გასული წლის ბოლოს აღმასკომმა როგორც იქნა, ოფიციალურად დაამტკიცა ახალგაზრდული ნაკრების ახალი თავკაცი. რევაზ არველაძეს ამიერიდან თამამად შეუძლია გადაწყვეტილებები მიიღოს და თავის სიტყვას ბეჭედიც დაჰკრას, თუმცა უუფლებობას არც აქამდე უჩიოდა. უფროსი არველაძე ოქტომბერშივე ახალგაზრდულის თავკაცად იყო მონათლული.

ოთარ კორღალიძის ცხრამეტწლამდელებისთვის მეორე შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე იტალიური შეკრება გაჩარხულა. ფედერაციის მონდომებით და „მილანის" ქართველ სელექციონერ რეზო ჭოხონელიძის ძალისხმევით, ჩვენი ცხრამეტწლამდელები 25 აპრილიდან ერთი კვირით ფლორენციაში ივარჯიშებენ.

მეთოთხმეტე ეროვნულის დასკვნითი ეტაპის კალენდარი შედგენილია და მცირე შესწორების შემდეგ ორიოდ დღეში მოგართმევთო, შეგვპირდნენ. თურმე დასამუშავებელ-დასახვეწია ფედერაციის აღმასკომის მიერ მოწონებული ახალი ლოგოც. მორიგი ყრილობა 14 თებერვალს ჩატარდება და მისი ორგანიზაციაც ცალკე თავსატეხია.

მოკლედ, განსაკუთრებული თითქმის არაფერია. ქართული ფეხბურთის ბორბალი რამდენიმე სიახლესთან ერთად ჯერაც ძველებურად მოძრაობს.

**მამუკა ქვანტალიანი**

*ჩემპიონობის მაძიებელმა „ვიტ ჯორჯიამ" ბევრისთვის მოულოდნელად თავისი წამყვანი მოთამაშეები საზღვარგარეთ გაუშვა. კლუბის უპირველესი მეგოლე ლევან მელქაძე რუსულ „როსტსელმაშში" ისინჯებოდა, კაპიტანი და გუნდის ხერხემალი ლაშა ნოზაძე კიევის „არსენალში". სადღეისოდ ლევანიც და ლაშაც თბილისში იმყოფებიან, მაგრამ კიევში დარჩა ვიტელთა ფეხმარდი ფორვარდი გიორგი ადამია, ვისაც ორიოდ დღის წინ თანაგუნდელი დავით ქოქიაშვილიც შეუერთდა.*

*„არსენალში" გასინჯვაზე მიწვეული ადამია მოულოდნელად უკრაინულმა გრანდმა „დინამომ" ინდომა, მერე ქოქიაშვილიც იწვია და დღეს ვიტელები კონჩა ზასპას ბინადრები არიან.*

*როგორ მოხვდნენ კიევის „დინამოში" და რა პერსპექტივები აქვთ მიხაილიჩენკოს გუნდში ჩვენებურებს, თავად გიორგი ადამიასგან შეიტყობთ, ვისაც გუშინ „დინამოს" ბაზაზე მივაგენით და სახელდახელო ინტერვიუც შედგა*



სიჩქარეაკრეფილი გიორგი ადამია (მარცხნივ) ძნელად მოსახელთებელია

# არსენალი კარგია, დინამო უკეთესი

## ადამია გროზნის მიხაილიჩენკომ წაჰგვარა

**— უკრაინული „არსენალის" თვალდადგმული „დინამოში" როგორ აღმოჩნდი?**

— თბილისიდან ისე წამოვედი, „დინამოში" მოხვედრაზე არც მიოცნებია. „არსენალის" თავკაცს ვიაჩესლავ გროზნის ჩემი საქმეში ნახვა სურდა და მეც თავის გამოჩენას ვცდილობდი. ერთ-ერთი ორმხრივი თამაშის შემდეგ „დინამოს" თავკაც ალექსეი მიხაილიჩენკოს ყურადღება დავიმსახურებია, ადამიას ჩვენთან დავაკვირდებითო, უთქვამს და ჩემს წინ კონჩა ზასპას კარი გაიღო. ბევრი არ მიფიქრია, „არსენალი" კარგი გუნდია, მაგრამ „დინამო" ხომ უდიდესი პერსპექტივაა.

**— „დინამოში" რომ არაფერი გამოგივიდეს და „არსენალიც" დაკარგო, მაშინ...**

— ცდა ხომ ბედის მონახევრეა, მეც ჩემსას ვეცდები, სხვა თუ არაფერი, გამოცდილებას მაინც მივიღებ.

**— როგორ მიგიღეს კონჩა ზასპაში?**

— ნორმალურად. ბაზაზე ვცხოვრობ, აქ წვრთნისა და დასვენებისთვის იდეალური პირობებია, თავს უცხოდ არ ვგრძნობ, ჩვენებურები დათო ქოქიაშვილი და ირაკლი იზორიაც ხომ აქ არიან. არც დანარჩენები არიან ურიგო ბიჭები. დისკომფორტს ნამდვილად არ განვიცდი.

**— მიხაილიჩენკო თუ გაგესაუბრა?**

— არა, „დინამოს" თავკაცი თვალითაც არ მინახავს. ძირითად გუნდთანაც არ მივარჯიშია, ფარმ-კლუბთან ვემზადები. მწვრთნელები ლდინს გვაცლიან. დიდი დატვირთვებია და ძალიან ვიღლები, თუმც ვცდილობ, ყველაფერს გავუძლო.

**— იზორიას „დინამოსთან" გრძელვადიანი კონტრაქტი აკავშირებს და თავი ქუდში აქვს, შენი და ქოქიაშვილის საკითხი კი საბოლოოდ როდის გადაწყდება?**

— „დინამოში" ნაჩქარევად ფეხბურთელს არ აიყვანენ. ხანგრძლივად აკვირდებიან და თუ მოიწონეს, კონტრაქტსაც სთავაზობენ. მგონი, ჯერჯერობით საქმე კარგად მიდის, თუმც საბოლოო პასუხი, ალბათ, თვის ბოლოსკენ მეცოდინება. 17 იანვარს კიევში ტურნირი დაიწყება, იქ მათამაშებენ, დამაკვირდებიან და თუ ვივარგებ...

**— ამასობაში „დინამოს" ძირითადი გუნდი ერთ შეკრებას უკვე მოილევს.**

— არა მგონია, ეს საგანგაშო იყოს. ჩვენთან პირველი გუნდისთვის შეგულებული რამდენიმე ახალწვეულიც ვარჯიშობს, შეკრება სხვაც იქნება, მთავარია, „დინამომ" „ჰო" თქვას და საფუძვლიან მომზადებას სხვა შეკრებაზეც მოვახერხებ.

**მამუკა ქვანტალიანი**



„ქკონტოდან" წამოსული ალექსანდრე რეხვიაშვილი „ზილმა" ჩაიბა

# რეხვიაშვილი ანთალიაში ძველ ფორმას ეძებს

## ოსებმა ქართულად გაიტანეს

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების წამყვანი ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი ბევრისთვის მოულოდნელად საახალწლოდ „ტორპედო ზილში" აღმოჩნდა. მოსკოვური კლუბი რუსული პრემიერლიგის ბინადარია, მაგრამ ერთობ მოკრძალებული მიზნით — ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობს. რეხვიაშვილს კი თვალი ინგლისისა და იტალიისკენ ეჭირა და მისი სერგეი ალეინიკოვის გუნდში გადასვლა მოულოდნელი იყო. მართალია, ექსსკონტოელ ქართველს ზილელებთან კონტრაქტზე ჯერჯერობით ხელი არ მოუწერია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რეხვიაშვილი ანთალიიდან დაბრუნების შემდეგ ოფიციალურად შეუერთდება მოსკოველებს.

ანთალიაში „ზილი" საწვრთნელ შეკრებაზეა, სადაც ორიოდე დღის წინ პირველი საკონტროლო მატჩი გამართა „როტორთან". შეხვედრა ფრედ დასრულდა, რეხვიაშვილმა 70 წუთი ითამაშა, თუმც რუსი მიმომხილველების თქმით, ქართველი ერთობ შორსაა ჩვეული სათამაშო ფორმისგან. ამის თაობაზე თვით ალეინიკოვმაც გააკეთა კომენტარი, რეხვიაშვილის და კურტიანუს გარჯამ არ დამაკმაყოფილაო, თქვა მწვრთნელმა, თუმც საეჭვოა, ჩვენებურზე უარი თქვას, რაკიღა ანთალიურ შეკრებაზე უკვე მოასწრო გუნდის გაცხრილვა — ზემოხსენებულ კურტიანუსთან ერთად გასინჯი მიკალაიუნასი, სმირნოვი და კორნიუხინი დაითხოვა.

თურქეთშივე იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე კახაბერ მჟავანაძის მახაჩყალური „ანჟი". საკონტროლო მატჩში ამ გუნდის მეტოქე ბუნდესლიგელი „მიონხენგლადბახი" იყო. ქართველმა შეუცვლელად ითამაშა ფრედ დამთავრებულ შეხვედრაში და მწვრთნელ გაჯი გაჯიევის ქებაც დაიმსახურა.

შესაძლებლობები გამოსცადა კვლავაც ქართულ რელსებზე შემდგარმა „ალანიამ". რევაზ ძოძუაშვილის გუნდს ქვედადივიზიონელი „სკა-ენერგია" ჰყავდა მეტოქედ. მატჩი 2:2 დასრულდა, ოსების ორივე გოლი ქართული გამოდგა — აშვეთიამ პენალტით გახსნა ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში, მენთეშაშვილმა კი 70-ე წუთზე მეორე გოლი გაუტანა მეტოქეს. მატჩში ჩილვინაძე და თოდუაც მონაწილეობდნენ. ექსმერანელი, 19 წლის ჩილვინაძე საპირველტაიმო შემადგენლობაში ათამაშა ძოძუაშვილმა, დანარჩენი სამი თანამემამულე კი მეორე ნახევარში გამოსცადა.

**პაატა ქვანტალიანი**

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**

პორტსმუთი 1:2 შეფილდ უენსდი

### პორტუგალია

**პირველი ლიგა. XVII ტური**

ბელენენსეში 0:0 სეტუბალი

### იტალია

**სერია B**

**XIX ტური**

ლეჩე 0:0 კოზენცა

**სერია C1/A**

**XIX ტური**

ტრევიზო 1:1 პიზა

### შოტლანდია

**ასოციაციის თასი**

ფორფარი 3:1 სტენჰაუზმური

სტრანრარი 4:1 სტირლინგი

რეით როვერსი 3:1 მონტროუზი

მორტონი 4:3 დევერონვეილი

*პირველი წრის ჩემპიონი თბილისის „დინამო" ივო შუშაკმა ერთი თვის წინ დატოვა. დატოვა დროებით, რათა სამშობლოში ჩასულიყო და იქაური ჰაერით ესუნთქა. დასვენებული ხორვატი მწვრთნელი თბილისში 8 იანვარს დაბრუნდა, შეგირდებს თვალი გადაავლო და ტრადიციას არ უღალატა — პრესკონფერენცია გამართა, დღეს დილით კი „დინამო" 25 ფეხბურთელით კვიპროსზე გაემგზავრა*

# ივო შუშაკი თოვლის პაპაა: საახალწლოდ მიდი-მოდის

## ხორვატს იქაურებმა აქაურებზე ჰკითხეს



...საბოლოოდ გადაწყდა, რომ „დინამოდან" ალექსანდრე ჩივაძე წავა და იმედია, სხვა გუნდში ითამაშებს. რუსთაველი ზვიად ლაბაძე ჩვენთან ვარჯიშობს, ოღონდ ჯერ ვერ გეტყვით, დარჩება თუ არა. კახური „მილანიდან" ზურაბ მამალაძე დავიბრუნეთ და კვიპროსში ვიახლებთ. კარლოსი ბრაზილიაშია და კუნძულზე შემოგვიერთდება.

...ორკვირიან შეკრებას გავივლით. იქ ბევრი გუნდი ჩამოდის, ამიტომ მეტოქეების მონახვა არ გაგვიჭირდება. მნიშვნელობა არ აქვს მეტოქის დონეს. წასვლამდე დინამოელებს მოსამზადებლად პროგრამა დავუტოვე. ჩამოვედი და ვნახე, რომ კარგად გარჯილან. კმაყოფილი ვარ მათი ფიზიკური კონდიციებით. შეკრებისას უფრო მეტად ბურთთან გვექნება საქმე.

...კვიპროსზე გავსინჯავთ უცხოელ ფეხბურთელებს. თუ ვინმე მოგვეწონა, ალბათ ავიყვანთ. შარშან კიევის „დინამომ" ზაგრების „დინამოდან" 4 მილიონ ევროდ ხორვატი ლეკო იყიდა, სამწუხაროდ, დღესდღეობით კიევის „დინამოს" ფინანსურად ვერ გავეტოლებით.

...გამორიცხული არაა, კვიპროსიდან დაბრუნებული გუნდიდან რამდენიმე მოთამაშე გავუშვათ.

...ახალი წელი ოჯახთან გავატარე, ზაგრებთან ახლოს. ვნახე ძველი, მონატრებული მეგობრები. იქაური ჟურნალისტები საქართველოში ჩემი საქმიანობით დაინტერესდნენ და მათთან სასაუბრო დროც გამოვნახე.

...29-ში კვიპროსიდან შინ დავბრუნდებით. ორი დღე დავისვენებთ, მერე კი, პირველ თებერვალს ბოსნია-ჰერცოგოვინაში გავემგზავრებით, სადაც დაახლოებით ორ კვირამდე დავყოფთ. იქ დაგეგმილია ამხანაგური ტურნირი, რომელშიც ჩვენს გარდა ზაგრების „დინამო", „შიროკი ბრიაგი" და „ციბალია" ითამაშებენ. მერე ხორვატიაში, „მაკარსკას" ბაზაზე გადავინაცვლებთ. ჯერ მეორე ლიგის გუნდს, შემდეგ კი, 16 თებერვალს, „ჰაიდუკს" გავეჯიბრებით.

...მალხაზ ასათიანის გადმოსაბირებლად ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. თქვენ კარგად იცით, რომ მსურს იგი ჩვენს გუნდში ვიხილო. თუ გარიგება შედგა, ასათიანი მოგვიანებით კვიპროსზე შემოგვიერთდება. უკვე გადაწყვეტილია სანდრო იაშვილის საქმე, მან კონტრაქტს ხელი მოაწერა და დინამოელი გახდა.

**ძობა ინასარიძე**

# ფილია ამბავს და შმკრებას მლის

## გონჩაროვი და წიტაიშვილი კვიპროსზე გაიყარნენ

**შობა-ახალი წელიც** მოვილიეთ და გუნდებიც უკვე საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას შეუდგნენ. პრობლემები ისევ ძველია — ფულიანები უცხოურ შეკრებებზე აპირებენ ძალების მოკრებას, უფულოებს კი თავისი გასჭირვებიათ. თანდათან გამოსწორდა მდგომარეობა ფოთის „კოლხეთში". ზღვისპირელები გუნდის დაკომპლექტებას ჯერაც ვერ მორჩნენ, თუმც უკვე გადაწყვეტილია, რომ „კოლხეთი" ბულგარეთში გაივლის საწვრთნელ შეკრებას.

სოსო ფილიამ შეგირდებს 10 იანვარს მშობლიურ ქალაქში მოუყარა თავი და კოლხები დღემდე იქვე ვარჯიშობენ. ზღვისპირელთა თავკაცის თქმით, 25 იანვრამდე ასევე გააგრძელებენ, მერე კი ნაცნობი კურორტი და უცნობი მეტოქეები ელიან:

— ბულგარეთში ადრეც ვყოფილვართ და უკმაყოფილონი არასოდეს დავრჩენილვართ. იქ სერიოზულად მოვემზადებით. ამხანაგურ მატჩებსაც არ მოვიკლებთ — გვითხრა გუშინ სოსო ფილიამ.

„კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი გუშინ კლუბის პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილთან შეხვედრის დასრულებისთანავე მოვიხელთეთ. მას უკმაყოფილება ნაღდად არ ეტყობოდა:

— პრეზიდენტთან დეტალურად ვიმსჯელეთ საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებაზე, ორიოდ დღეში კი ზუსტად მეცოდინება, რა კონტინგენტით მოგვიწევს ჩემპიონატის განახლება. უიმედო სიტუაცია ნაღდად არ არის.

პირველი ეტაპის შემდეგ ფოთელები მნიშვნელოვანი დანაკლისით ემზადებიან. გუნდიდან წასული ბორის გონჩაროვი და კლიმენტი წიტაიშვილი ჯერაც სასურველი კლუბის ძიებაში არიან. გონჩაროვის თაობაზე საბოლოო პასუხს დღეს ველით, გაგვიმხილა სოსო ფილიამ. შეგახსენებთ, პირველ ეტაპზე „კოლხეთის" საუკეთესო ბომბარდირი კვიპროსზე აპირებს კარიერის გაგრძელებას. ასეთივე სურვილი ჰქონდა მის თანაგუნდელ კლიმენტი წიტაიშვილსაც, თუმც როგორც გავიგეთ, ის დღეისათვის ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში" ისინჯება.

**ქახა შალამბერიძე**

# ცნობები გარდაქმნილი მერანიდან

**უფულოდ** და უსახსროდ მიტოვებულ „მერანს" ჯერ კიდევ შარშან გამოუჩნდა პატრონი და გუნდს „მერანი-ოლიმპი" დაერქვა.

ასეთნაირად გარდაქმნილმა გუნდმა საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის" ხელოვნურსაფრიან მოედანზე დაიწყო სამზადისი მეორე ეტაპისთვის.

„მერანი-ოლიმპს" კობა ჟორჟიკაშვილი წვრთნის, რომლის თანაშემწე ვანო ლუცენკო გახლავთ, ხოლო „მერანის" ყოფილი დამრიგებელი ოთარ გაბელია „მერანი-ოლიმპის" ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა.

გუნდში ახლა რამდენიმე ყოფილი მერანელი და რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც ვარჯიშობს, რომელთა შორისაა 34 წლის კახა გოგიჩაიშვილიც. თუმც ჯერ მხოლოდ მეკარის, რევაზ ნაჭყებიას გუნდში დარჩენაა გადაწყვეტილი, დანარჩენი ფეხბურთელების ავან-ჩავანი კი მოგვიანებით გაირკვევა

— შანსს ყველა ფეხბურთელს მივცემთ, თუმც სერიოზული მიზნები გვაქვს და ფეხბურთელების შერჩევისას შესაბამისად ვიმოქმედებთ. ჩვენი გუნდი მომავალ სეზონში მხოლოდ დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს. „მერანი-ოლიმპს" ჩვენი ყოფნის კვალობაზე კარგი პირობები ექნება — გვითხრა კლუბის პრეზიდენტმა ნიკა ღოლიძემ.

შესაძლოა, „მერანი-ოლიმპი" უცხოურ შეკრებაზეც წავიდეს — ჟორჟიკაშვილის გუნდი ანთალიაში ან კვიპროსზე აპირებს ოფლის მოღვრას თებერვლის დასაწყისში.



ახალი „მერანი" გასახედნად კობა ჟორჟიკაშვილს ანდეს

**დავით თავართქილაძე**

# ქუთაისი-მოსკოვი-ანთალია

## ტორპედო ჯერ ითამაშებს, მერე ივარჯიშებს

**სამკვირიანი** არდადეგების შემდეგ მე-14 ეროვნულის დასკვნითი ეტაპისთვის, მანამდე კი ტრადიციული „თანამეგობრობის თასის" მეთვრამეტე ტურნირში სამონაწილეოდ მზადებას შეუდგა ქვეყნის სამგზის ჩემპიონი „ტორპედო".

ქუთაისელები 2 იანვარს შეიკრიბნენ საღორიის ბაზაზე და მას აქეთ ინტენსიურ წვრთნას გადიან. ერთი კვირა მთავარი მწვრთნელის თანაშემწის, სოსო ფრუიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა გუნდი, ხოლო შობის მერე „ტორპედოს" უკრაინელი თავკაცი ალექსანდრ შტელინიც გამოჩნდა და ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა საქმეს.

როგორც ვთქვით, „ტორპედოსთვის" წლევანდელი პირველი ოფიციალური შეჯიბრება მოსკოვური „თანამეგობრობის თასია", რომელიც ამ კვირაშივე დაიწყება. ქუთაისელებს ჯგუფურ ტურნირში ყირგიზეთის, რუსეთის და ყაზახეთის ჩემპიონებთან მოუწევთ დაპირისპირება. ტორპედოელებს მოსკოვში გასამგზავრებელი ბილეთები 17 იანვრისთვის აქვთ შეკვეთილი. მანამდე კი...

დღეს „ტორპედო" თბილისს ესტუმრება და ხელოვნურსაფარიან მოედანზე „მერანი-ოლიმპს" გაეჯიბრება ამხანაგურად. ზეგ ეს გუნდები ერთხელაც ითამაშებენ იმავე მოედანზე.

ცხადია, მკითხველს ჩემპიონის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები აინტერესებს და, როგორც ჩანს, ცვლილებები გუნდში მართლაც იქნება, თუმც ჯერჯერობით დანამდვილებით ბევრიც არ ითქმის.

ფაქტი ისაა, რომ დღესდღეობით „ტორპედოში" არ არიან გუნდის კაპიტანი გივი დიდავა და რევაზ ქემოკლიძე. ქუთაისელთა ორი წამყვანი მოთამაშე თურქული უმაღლესი ლიგის „ქოჯაელისფორში" ისინჯება. ეს კლუბი პირველი წრის შემდეგ ბოლო ადგილზეა გათამაშების ცხრილში და ახლა სასწრაფო ზომებს მიმართავს მდგომარეობის გამოსასწორებლად, შემადგენლობის გაძლიერებას ლამობს. დიდავასა და ქემოკლიძესთან ერთად თურქული კლუბის მესვეურნი ერთ ექს ტორპედოელსაც აკვირდებიან. ეს გრიგოლ იმედაძეა, რომელიც ამჟამად ვლადიკავკაზის „ალანიას" კუთვნილება გახლავთ. როგორც შევიტყვეთ, ჩვენებურთა ბედი სულ მალე, ერთ კვირაში გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ გივი დიდავას ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს „ტორპედოსთან", რაც შეეხება რევაზ ქემოკლიძეს, მას ერთი თვის წინ დაუმთავრდა ქუთაისურ კლუბთან ხელშეკრულების ვადა.

სხვა რა? მოსკოვის „სპარტაკში" ერთკვირიანი მივლინების შემდეგ „ტორპედოს" დაუბრუნდა რომან ახალკაცი. ფეხბურთელის თქმით, იგი ვლადიმერ გუცაევის რეკომენდაციით იმყოფებოდა სპარტაკელთა პირველ შეკრებაზე და ჯერაც არ დაუკარგავს რუსულ გუნდში მოხვედრის იმედი. რუსთა „სახალხო გუნდის" მწვრთნელები მას „თანამეგობრობის თასზე" დააკვირდებიან და საბოლოო სიტყვასაც მაშინ იტყვიან.



ალექსანდრ შტელინი

„ტორპედოს" ახალწვეულთა შესახებაც ნაადრევია ლაპარაკი. იმას კი ვიტყვით, რომ პირველ შეკრებაზე გუნდთან ერთად ვარჯიშობენ დავით ოდიკაძე, რომელიც სამტრედიის „იბერიაში", ზესტაფონის „მეტალურგში", ფოთის „კოლხეთში" და მცირე ხანს ჩეხური „სპარტას" მეორე გუნდში ბურთაობდა, ექს დინამოელი კოკა მიქუჩაძე, გორელი მიხეილ თაყაძე, რომელიც პირველლიგელი „ცხინვალიდან" მოვიდა, მანამდე კი „დილასა" და მოლდოვურ „შერიფში" თამაშობდა, „ტორპედოში" თამაშის კარგა ხნის სტაჟის მქონე ზაზა ვაჩიბერაძე, ვინც ბოლოს წყალტუბოს „სამგურალსა" და ზესტაფონის „მეტალურგისთვის" ირჯებოდა. ამათთან ერთად კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს აკვირდებიან მწვრთნელები. ერთი სიტყვით, საბოლოო სახეს გუნდი მოგვიანებით მიიღებს.

„თანამეგობრობის თასიდან" გუნდი ქუთაისში დაბრუნდება, თებერვალში კი სავარაუდოდ თურქეთში, ქალაქ ანთალიაში გაივლის შეკრებას.

„ტორპედოს" სამოსკოვო განაცხადი კი ასეთია:

*მეკარეები: ზვიად სტურუა, გრიგოლ ჭანტურია*

*მცველები: მიხეილ მაზვილაძე, ვახტანგ ხვადაგიანი, ვახტანგ აკოფიანი, ლაშა ჭელიძე, დავით გამეზარდაშვილი*

*ნახევარმცველები: მალხაზ ასათიანი, შოთა ბაბუნაშვილი, შოთა ჩომახიძე, რომან ახალკაცი, კახა კვეტენაძე, ზურაბ იონანიძე, გაგა ჩხეტიანი, გიორგი ნერგაძე, ავთანდილ ჭელიშვილი*

*თავდამსხმელები: ანდრი პოროშინი, ზვიად ქუთათელაძე, დავით ოდიკაძე*

**იუზა ძაძიტაძე** *ქუთაისიდან*

# ექიმებმა ზირაქიშვილს სხივი სტყორცნეს

**ტორპედოელი** ზაზა ზირაქიშვილი გუნდს მოსკოვში, „თანამეგობრობის თასის" გათამაშებაზე ვერ გაჰყვება.

საქართველოს სამგზის ჩემპიონმა ეს ფორვარდი საამისეზონოდ კი შეიძინა, მაგრამ შემოდგომაზე ზირაქიშვილმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა. ახლა კი რეციდივმა დააბრკოლა — ნაახალწლევს ზაზამ მანეჟში განაახლა ვარჯიში ინდივიდუალურად და მუხლმა კვლავ შეაწუხა.

ექიმებმა ზირაქიშვილს დარბაზის საფარზე ვარჯიში და თამაში აუკრძალეს, დასვენება და სხივებით მკურნალობა დაუნიშნეს.

ერთი სიტყვით, ზირაქიშვილი თბილისში დარჩება და „ტორპედოს" მოსკოვიდან დაბრუნებულს შეუერთდება.

**დავით თავართქილაძე**



REUTERS ბირმინგემიდან

ბირმინგემი — არსენალი. მასპინძელმა მიკაელ იონსონმა ეშლი კოულს კვანტი გამოსდო

# ახალი წელი და ძველი სხვაობა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXI ტური

**არსენალი 1:1 ლივერპული**
0:1 დ. მერფი (70პ), 1:1 ანრი (79პ)

**ნიუკასლი 2:1 ტოტენჰემი**
1:0 სპიდი (17), 2:0 შირერი (58), 2:1 დაბიზასი (73ს.კ.)

**ასტონ ვილა 1:0 მიდლსბრო**
1:0 დაბლინი (11)

**ბლექბერნი 2:2 ვესტ ჰემი**
1:0 დაფი (4), 1:1 მარტინ ტეილორი (24ს.კ.), 2:1 ენდი კოული (78), 2:2 დეფო (86)

**ჩარლტონი 1:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ლისბი (6)

**ევერტონი 0:0 ბოლტონი**

**ფულემი 0:1 მანჩესტერ სიტი**
0:1 ანელკა (84)

**ლიდსი 2:0 ჩელსი**
1:0 ვუდგეიტი (30), 2:0 მილნერი (45)

**მანჩესტერ იუნ. 2:0 ბირმინგემი**
1:0 ფორლანი (37), 2:0 ბექემი (73)

**საუთჰემპტონი 2:1 სანდერლენდი**
1:0 ბიტი (73), 1:1 ფლო (77), 2:1 ტესემი (90)

### XXII ტური

**არსენალი 3:2 ჩელსი**
1:0 დესაი (9ს.კ.), 2:0 ვან ბრონკჰორსტი (81), 3:0 ანრი (82), 3:1 სტანიჩი (85), 3:2 ე. პეტი (86)

**ასტონ ვილა 2:0 ბოლტონი**
1:0 დაბლინი (8), 2:0 ვასელი (80)

**ბლექბერნი 1:0 მიდლსბრო**
1:0 იორკი (57)

**ევერტონი 2:2 მანჩესტერ სიტი**
1:0 უოტსონი (6), 1:1 ანელკა (33), 1:2 ფოე (82), 2:2 რაძინსკი (90)

**ლიდსი 2:0 ბირმინგემი**
1:0 ბაკე (6), 2:0 ვიდუკა (67)

**მანჩესტერ იუნ. 2:1 სანდერლენდი**
0:1 ვერონი (ნს.კ.), 1:1 ბექემი (81), 2:1 სქოულზი (90)

**ნიუკასლი 1:0 ლივერპული**
1:0 რობერი (13)

**საუთჰემპტონი 1:0 ტოტენჰემი**
1:0 ბიტი (82)

**ჩარლტონი — ვესტ ჰემი**
გადაიდო

**ფულემი — ვესტ ბრომვიჩი**
გადაიდო

### XXIII ტური

**ბირმინგემი 0:4 არსენალი**
0:1 ანრი (6), 0:2 პირესი (29), 0:3 ლორენი (67), 0:4 ანრი (70)
ბირმინგემი: ვესენი, კოლი (გრაინერი 68), ვიკერსი, მ. ჯონსონი, კენა, დ. ჯონსონი, სევიჯი, კლემენსი (დევლინი 68), კლეპემი, ჯონი, დუგარი (კიროვსკი 85)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
არსენალი: სიმენი, ლორენი, კიოუნი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ვილტორდი, ედუ (ვან ბრონკჰორსტი 75), ჟილბერტო სილვა, პირესი (ტურე 79), ბერხკამპი (ჯეფერსი 78), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: კოლი, დ. ჯონსონი, ლორენი, კიოუნი
მსაჯი: ბენეტი
29 505 მაყურებელი

**ტოტენჰემი 4:3 ევერტონი**
0:1 მაკბრაიდი (10), 1:1 პოიეტი (14), 2:1 კინი (50), 2:2 უოტსონი (58), 3:2 კინი (68), 3:3 რაძინსკი (74), 4:3 კინი (83)
ტოტენჰემი: კელერი, პერი, დოჰერტი, კინგი, კარი, დევისი, პოიეტი, ანდერტონი, ბუნიევჩევიჩი, ივერსენი (აჩიმოვიჩი 80), რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ევერტონი: ბაარდსენი, იობო (კარსლი 86), პისტონე, სტაბსი, ანსუორთი, ტი ლი (ოსმანი 90), ჯემილი, ნეისმიტი, უოტსონი, რაძინსკი, მაკბრაიდი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: დოჰერტი, ჯემილი
მსაჯი: დანი
36 070 მაყურებელი

**ბოლტონი 0:0 ფულემი**
ბოლტონი: იასკელაინენი, ჩარლტონი, ბერგსონი, კამპო, ბარნესი, ფრანდსენი, ოკოჩა (უოლტერსი 83), გარდნერი, ჯორკაეფი, პედერსენი, ფეისი (ნოლანი 69)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ფულემი: ტეილორი, ფინანი, გომა, ჯეტუ, ბრევეტი, გოლდბეკი, დევისი, მალბრანკი, ლეგვინსკი, საჰა (ბოა მორტე 65), საბა
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: ჩარლტონი, ფინანი, საჰა
მსაჯი: უილი
25 156 მაყურებელი

**ჩელსი 4:1 ჩარლტონი**
1:0 ჰასელბაინკი (33), 2:0 გალასი (11), 3:0 გუდიონსენი (34), 3:1 იუელი (42პ), 4:1 ლე სო (54)
ჩელსი: კუდიჩინი, ტერი (მორისი 22), დესაი, გალასი, ბაბაიარო, გრონკიაერი (ზენდენი 81), ლამპარდი, პეტი, ლე სო (ძოლა 78), ჰასელბაინკი, გუდიონსენი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ჩარლტონი: კილი, იანგი, რუფუსი, ფიში, პაუელი (იოჰანსონი 45), კიშიშევი (ბარტლეტი 45), პარკერი, იენსენი, კონჩესკი, ლისბი (ფორჩუნი 65), იუელი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ლე სო, დესაი, გუდიონსენი, პეტი, პაუელი, კონჩესკი, პარკერი
მსაჯი: დინი
37 284 მაყურებელი

**ლივერპული 1:1 ასტონ ვილა**
1:0 ოუენი (38), 1:1 დაბლინი (49პ)
ლივერპული: კირკლანდი, კარაგერი, ანშო, ჰიპია, რიისე, ჯერარდი, დიაო (შეირუ 72), მერფი, დიუფი (შმიცერი 60), ოუენი, მელორი (ჰესკი 60)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ასტონ ვილა: ენკელმანი, იონსენი, მელბერგი, ბარი, სამუელი, ჰენდრი (დე ლა კრუზი 52), ტეილორი, ჰიტცლსპერგერი, რაიტი, დაბლინი, ვასელი (მური 45)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: ანშო, ტეილორი, რაიტი
მსაჯი: დარკინი
43 210 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 2:1 ლიდსი**
1:0 გოტერი (29), 2:0 იენსენი (50), 2:1 კიუელი (90)
სიტი: შმაიხელი, დანი, ჰაუი, დისტინი, ჯიჰაი, ბერკოვიჩი (ბენარბია 84), ფოე, ჰორლოკი, იენსენი, გოტერი (რაიტ-ფილიპსი 80), ანელკა
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ლიდსი: რობინსონი, კელი, მილსი, ვუდგეიტი, მატეო, სმიტი (მილნერი 60), ბაკე (ფაულერი 72), ოკონი, უილკოქსი, ვიდუკა (ს. ჯონსონი 72), კიუელი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: კიუელი, მატეო, მილსი, ს. ჯონსონი
მსაჯი: სტილსი
34 884 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:2 საუთჰემპტონი**
0:1, 0:2 ბიტი (40, 60), 1:2 ველანი (73), 2:2 მაკარონე (82პ)
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, საუთგეიტი, ვიდმარი, კედრუ, ჯერემი, გრინინგი, უილკშირი, ჟობი (ველანი 45), ნემეტი (მერფი 70), ბოკშიჩი (მაკარონე 70)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
საუთჰემპტონი: ნიემი, ტელფერი, ლუნდეკვამი, მ. სვენსონი, ბრიჯი, ფერნანდესი, დელაპი, ოუკლი, მარსდენი, ბიტი, ტესემი (ორმეროდი 88)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: მარსდენი, ოუკლი
მსაჯი: ელერეი
27 443 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:0 ბლექბერნი**
სანდერლენდი: სორენსენი, მაკკარტნი, კრედოკი, ბები, უილიამსი, ოსტერი (არკა 60), ტირუელი, მაკკენი, პროქტორი (სტიუარტი 77), ფლო, ფილიპსი
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნეილი (მაჰონი 74), ტოდი, ტეილორი, იოჰანსონი, ტომპსონი (გილესპი 57), ფლიტკროფტი, თუგაი, დაფი (იანსენი 79), ენდი კოული, იორკი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: უილიამსი, თუგაი, ტოდი, ტომპსონი
მსაჯი: რაილი
36 529 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:3 მანჩესტერი**
1:0 კუმასი (6), 1:1 ვან ნისტელროი (8), 1:2 სქოულზი (23), 1:3 სოლსკიაერი (55)
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, მური, გილხრისტი, სიგურდსონი (დობი 75), ა. ჩემბერსი (ბელისი 86), კუმასი, ჯონსონი, უოლვორკი, კლემენტი, დიჩიო, რობერტსი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ბექემი, როი კინი (ოში 81), სქოულზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი (ფორლანი 67)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: სქოულზი
მსაჯი: ბერი
27 129 მაყურებელი

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** ბევრი იბრძოლა ამ ახალწლებზე, მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ ნაბიჯითაც ვერ შეამცირა სხვაობა „არსენალთან“, რომელმაც ასევე ბრწყინვალე იყო და სადაც წასწვდა, ყველაფერი მოიგო.

გუნდები ასოციაციის თასსაც კი გამოედევნენ და ორივემ მოიგო. ამ შაბათ-კვირას კი ორივენი, „ეშმაკებიცა“ და „მეთოფეებიც“, სტუმრად იყვნენ პრემიერლიგაში წლეულს გადმოსულ გუნდებთან, „ვესტ ბრომვიჩთან“ და „ბირმინგემთან“. ლიდერმაც და მდევარმაც ულაპარაკოდ გაიმარჯვეს: სერ ალექსის გუნდი სულ ნახევარ წუთს აგებდა ალბიონელი ჯეისონ კუმასის მოხდენილი რეიდისა და დარტყმის შემდეგ და მერე თავისებურად მოგუდა მეტოქე ისე, რომ ტაიმის ბოლოსკენ სალაპარაკო აღარაფერი იყო: ბოლო ნახევარ საათს თამაში [illegible]ბად იქცა. სტუმართაგან [illegible] ბექემი და სქოულზი იყვნენ, ასევე როი კინი და რუუდ ვან ნისტელროი, ასევე მიკაელ სილვესტრი და სოლსკიაერი, ანუ „მანჩესტერმა“ საუცხოოდ ითამაშა.

თუმცა მანჩესტერელთა ამ მცდელობას ღირსეული დაბომბვით უპასუხა „არსენალმა“, რომელმაც სტივ ბრიუსის „ბირმინგემს“ ტიერი ანრის ჩვეული ოსტატობით და საბოლოო ჯამში ოთხი უპასუხო გოლით უპასუხა. ანრი ერთგვარი ლაურეატიც გამოდგა, მას 100 არსენალური გოლი დაუგროვდა.

„არ იყო იოლი თამაში — თქვა არსენ ვენგერმა — სასიხარულოა, რომ ტიერიმ თავისი მეასე გოლი შეაგდო. გასულ კვირას სათასო შეხვედრაში დენის ბერხკამპმაც გაიტანა თავისი მეასე მეთოფური ბურთი. ასე რომ, ორი ლაურეატი გვყავს“.

ბირმინგემელთა შორის კი პირველად გამოჩნდა ანრის, ვენგერისა და რობერ პირესის ძველი ნაცნობი, სახელდახელოდ ნაქირავები კრისტოფ დუგარი, რომელიც თანამემამულეების ნახვამ კი გაახარა, მაგრამ მშრალმა დებიუტმა დაამწუხრა.

„არსენალმა“ კიდევ ერთხელ შეინარჩუნა სხვაობა „მანჩესტერთან“, ამათ კვალად კი „ჩელსიმ“ სულ თამაშ-თამაშ გადაურბინა „ჩარლტონს“, რომელთანაც ბოლო ორ წელიწადს ზედიზედ წაეგო „სტემფორდ ბრიჯზე“. ამჯერად სალაპარაკო არაფერი ყოფილა, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა და მისმა ამხანაგებმა, ამათ შორის კი ეიდურ გუდიონსენმაც, რომელმაც ამ უქმეებზე აღიარა, ხუთ თვეში კაზინოში 400 ათასი გირვანქა წავაგეო, გარეუბნელებს ფეხის განძრევის ხალისი წაართვეს.

ეჰ, კვლავ მძიმეა ვითარება „ენფილდზე“: „ლივერპული“ კვლავ ვერ იგებს და კვლავ უფერულად თამაშობს. ჯერ კიდევ ახალ წლამდე ჟერარ ულიემ თქვა, რომ ძნელბედობამ გუნდს ხელი აღებინა საჩემპიონო ბრძოლაზე. აი, „ასტონ ვილამაც“ ქულა წაიღო „ბიტლზის“ ქალაქიდან, არადა, სამის წამოღებაც შეეძლო. მარჯვენა ფლანგზე ელ-ჰაჯი დიუფის საუცხოო დრიბლინგს მაიკლ ოუენის გოლი მოჰყვა, პირველი ბოლო ათი კვირის განმავლობაში, მაგრამ ამის მერე მასპინძლები ჩვეულად აზოზინდნენ და „ვილამ“ ბრწყინვალედ დაწყებულ მეორე ტაიმში შედეგიც მოიმკა: სემი ჰიიპიამ გარეთ ბერი მოცელა და დიონ დაბლინმა პენალტით გაათანაბრა. ლი ჰენდრისა და იან ტე-



ახლა, ასრულდა ოცნება: ტოტენჰემელმა რობი კინმა პირველი პრემიერლიგური ჰეთ თრიქი შეასრულა



REUTERS ლონდონიდან

ყველაზე ხმაურიანი საახალწლო ტრანსფერი: ლი ბოუერი „ლიდსიდან“ „ვესტ ჰემში“ გადავიდა



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ჩარლტონი. ლონდონელთა მეკარე კარლო კუდიჩინიმ პენალტს ვერაფერი მოუხერხა

ილორს წინ კრის კირკლანდი აღუდგა, დაბლინმა კი ბოლო წუთებზე ნამდვილი საგოლე თავური ააცილა. ასე რომ, ფრე ვის დაურჩა სასარგებლოდ, საკითხავი იყო.

ფიცხელ ბრძოლაში წააგო თამაში „ევერტონმა" „უაიტ ჰართ ლეინზე". მასპინძელ „ტოტენჰემს" ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ უკან დასახევი აღარ ჰქონდა და ლაღ თამაშში, რომელშიც მცველები ცდებოდნენ, თავდამსხმელებს კი ფრთები გაეშალათ, 4:3 მოიგო. „ევერტონს" ადრიდანვე ნავსი აჰყვა, თამაშისწინა მოთელვაზე დაშავდა მეკარე რაიტი და მის ნაცვლად კარში ექსპართლეინელი იესპერ ბაარდსენი ჩადგა. სტუმრებს გაუმართლა ამერიკელმა მაკბრაიდმა, რომელმაც სადებიუტო თამაშშივე ჩაიწერა გოლი და თავისი გუნდი დააწინაურა, მაგრამ ამ თამაშის გმირი სხვა იყო: რობი კინმა პირველი პრემიერლიგური ჰეთ-თრიქი შეასრულა.

„რა თქმა უნდა, განსაკუთრებული დღეა, ასეთი რამ პირველად გამომივიდა" — ხარობდა კინი თამაშის შემდეგ.

ლონდონში, იქაურ კლუბებთან ტრადიციულად ვერმოთამაშე „ნიუკასლმა" იმდენი მაინც მოახერხა, რომ სადღეისოდ ყველაზე უარეს დედაქალაქურ გუნდს, „ვესტ ჰემს" ქულა აართვა, ეს უკანასკნელი კი კვლავაც რჩება ინგლისის ოთხ ლიგაში ერთადერთ საფეხბურთო წარმონაქმნად, საშინაო მატჩი ჯერაც რომ ვერ მოუგია. თუმცა, „ვესტ ჰემს" ახლა კიდევ ერთი იმედი აქვს: ახალი წლის ყველაზე ხმაურიანი და მოხერხებული ტრანსფერით გუნდში „ლიდსიდან" მივიდა ტომით ისტენდელი და „ჩაქუჩთა" ძველი ქომაგი ლი ბოიერი. ამ ხულიგნად ცნობილმა ჯეელმა კარგად ითამაშა, მაგრამ გამარჯვება მაინც განზე დარჩა.

ბოიერისგან მიტოვებულმა, თითქოს გამოღვიძებულმა იორკშირელებმა კი პირწმინდად წააგეს მანჩესტერში „სიტისთან". ჰარი კიუელის ერთადერთმა საპასუხომ გუნდის ხსნა ვერ მოახერხა.

თხუთმეტამდე გაზარდა გატანილი გოლების ოდენობა საუთჰემპტონელმა ჯეიმს ბიტიმ, თუმცა მისმა გუნდმა მაინც ვერ შეინარჩუნა ორგოლიანი უპირატესობა და შინ ქულას დასჯერდა „მიდლსბროსთან".

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ბლექბერნი. მასპინძელი პოლ სქოულზის გოლმა მის გუნდს ლიგის თასის ფინალში გასვლის კარგი შანსი დაუტოვა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 23 | 15 | 4 | 4 | 49:24 | 25 | 49 | 12 | 10 | 1 | 1 | 28:11 | 17 | 31 | 11 | 5 | 3 | 3 | 21:13 | 8 | 18 |
| 2 მანჩესტერი | 23 | 13 | 5 | 5 | 38:23 | 15 | 44 | 12 | 10 | 1 | 1 | 23:7 | 16 | 31 | 11 | 3 | 4 | 4 | 15:16 | -1 | 13 |
| 3 ჩელსი | 22 | 11 | 8 | 3 | 40:19 | 21 | 41 | 11 | 7 | 3 | 1 | 23:7 | 16 | 24 | 11 | 4 | 5 | 2 | 17:12 | 5 | 17 |
| 4 ნიუკასლი | 22 | 12 | 3 | 7 | 37:31 | 6 | 39 | 11 | 10 | 0 | 1 | 21:7 | 14 | 30 | 11 | 2 | 3 | 6 | 16:24 | -8 | 9 |
| 5 საუთჰემპტონი | 23 | 9 | 9 | 5 | 27:22 | 5 | 36 | 12 | 7 | 5 | 0 | 18:8 | 10 | 26 | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 10 |
| 6 ევერტონი | 23 | 10 | 6 | 7 | 28:28 | 0 | 36 | 11 | 6 | 4 | 1 | 16:11 | 5 | 22 | 12 | 4 | 2 | 6 | 12:17 | -5 | 14 |
| 7 ლივერპული | 23 | 9 | 8 | 6 | 31:23 | 8 | 35 | 12 | 5 | 6 | 1 | 17:9 | 8 | 21 | 11 | 4 | 2 | 5 | 14:14 | 0 | 14 |
| 8 ტოტენჰემი | 23 | 10 | 5 | 8 | 34:34 | 0 | 35 | 11 | 7 | 3 | 1 | 21:14 | 7 | 24 | 12 | 3 | 2 | 7 | 13:20 | -7 | 11 |
| 9 სიტი | 23 | 10 | 4 | 9 | 32:32 | 0 | 34 | 11 | 6 | 1 | 4 | 18:16 | 2 | 19 | 12 | 4 | 3 | 5 | 14:16 | -2 | 15 |
| 10 ბლექბერნი | 23 | 8 | 9 | 6 | 29:25 | 4 | 33 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:13 | 4 | 19 | 11 | 3 | 5 | 3 | 12:12 | 0 | 14 |
| 11 მიდლსბრო | 23 | 8 | 6 | 9 | 27:23 | 4 | 30 | 12 | 7 | 5 | 0 | 23:11 | 12 | 26 | 11 | 1 | 1 | 9 | 4:12 | -8 | 4 |
| 12 ასტონ ვილა | 23 | 8 | 5 | 10 | 22:24 | -2 | 29 | 12 | 8 | 1 | 3 | 18:8 | 10 | 25 | 11 | 0 | 4 | 7 | 4:16 | -12 | 4 |
| 13 ჩარლტონი | 22 | 8 | 5 | 9 | 25:29 | -4 | 29 | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 14 | 12 | 4 | 3 | 5 | 12:15 | -3 | 15 |
| 14 ლიდსი | 22 | 8 | 3 | 11 | 29:29 | 0 | 27 | 10 | 3 | 1 | 6 | 11:14 | -3 | 10 | 12 | 5 | 2 | 5 | 18:15 | 3 | 17 |
| 15 ბირმინგემი | 23 | 6 | 7 | 10 | 19:31 | -12 | 25 | 11 | 3 | 4 | 4 | 11:14 | -3 | 13 | 12 | 3 | 3 | 6 | 8:17 | -9 | 12 |
| 16 ფულემი | 22 | 6 | 6 | 10 | 23:27 | -4 | 24 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:10 | 3 | 17 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:17 | -7 | 7 |
| 17 ბოლტონი | 22 | 4 | 8 | 10 | 23:37 | -14 | 20 | 11 | 2 | 6 | 3 | 13:16 | -3 | 12 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:21 | -11 | 8 |
| 18 სანდერლენდი | 23 | 4 | 7 | 12 | 15:32 | -17 | 19 | 11 | 3 | 2 | 6 | 7:13 | -6 | 11 | 12 | 1 | 5 | 6 | 8:19 | -11 | 8 |
| 19 ვესტ ჰემი | 22 | 3 | 8 | 11 | 23:40 | -17 | 17 | 12 | 0 | 6 | 6 | 11:18 | -7 | 6 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:22 | -10 | 11 |
| 20 ვესტ ბრომვიჩი | 22 | 4 | 4 | 14 | 17:35 | -18 | 16 | 11 | 3 | 3 | 5 | 10:15 | -5 | 12 | 11 | 1 | 1 | 9 | 7:20 | -13 | 4 |

## პირველი დივიზიონი

### XXVII ტური

ბრაიტონი 2:2 ბარნლი
კრისტალ პალასი 2:0 პრესტონი
გრიმსბი 1:1 ნორვიჩი
იფსვიჩი 3:2 უოლსოლი
ნოტინგემი 1:2 პორტსმუთი
რედინგი 2:1 დერბი ქაუნთი
როტერჰემი 1:3 მილუოლი
შეფილდ იუნ. 0:0 ქოვენთრი
სტოკი 3:2 შეფილდ უენსდი
უოტფორდი 1:2 ლესტერი
ვულვერჰემპტონი 1:2 ბრედფორდი
ჯილინგემი — უიმბლდონი
*გადაიდო*

### XXVIII ტური

კრისტალ პალასი 1:1 ქოვენთრი
იფსვიჩი 4:1 მილუოლი
ნოტინგემი 1:1 უოლსოლი
როტერჰემი 0:2 შეფილდ უენსდი
სტოკი 2:1 პრესტონი
უოტფორდი 2:2 პორტსმუთი
ვულვერჰემპტონი 1:1 დერბი ქაუნთი
რედინგი — ლესტერი
*გადაიდო*
ბრაიტონი — უიმბლდონი
*გადაიდო*
ჯილინგემი — ნორვიჩი
*გადაიდო*
გრიმსბი — ბრედფორდი
*გადაიდო*
შეფილდ იუნაიტედი — ბარნლი
*გადაიდო*

### XXIX ტური

ლესტერი 0:0 სტოკი

ბარნლი 1:1 იფსვიჩი
0:1 კუნაგო (22), 1:1 ბლეიქი (66პ)

ქოვენთრი 0:0 ბრაიტონი

დერბი ქაუნთი 1:1 ჯილინგემი
0:1 იპუა (57), 1:1 ზავანო (64პ)
დერბი ქაუნთი: გრანტი, ბარტონი, რიგოტი (ჯეკსონი 59), ევატი, ელიოტი, ზავანო, ბოლდერი, ძინძლაძე, ბოერტიენი, კრისტი (თუდგეი 54), მორისი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
მსაჯი: კეინი
22 769 მაყურებელი

მილუოლი 4:0 უოტფორდი
1:0 კლარიჯი (12), 2:0 რაიანი (41), 3:0 იფილი (78), 4:0 სვენი (88)

ნორვიჩი 1:1 როტერჰემი
0:1 გარნერი (33), 1:1 მაკვეი (59)

უენსდი 3:2 რედინგი
0:1 ფორსტერი (9), 0:2 ბატლერი (19), 1:2 ა. ქუინი (60), 2:2 სიბონი (69), 3:2 ჯონსტონი (71)

უოლსოლი 0:1 ვულვერჰემპტონი
0:1 ნოა (64)

უიმბლდონი 3:3 გრიმსბი
0:1 ბულდინგი (35), 0:2 ანდერსონი (52ს.კ.), 1:2 აგეიმანგი (67), 2:2 დარლინგტონი (69), 2:3 კემპბელი (72), 3:3 ფრანსისი (73)

ბრედფორდი — კრისტალ პალასი
*გადაიდო*
პრესტონი — ნოტინგემი
*გადაიდო*
პორტსმუთი — შეფილდი
*წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 28 | 17 | 9 | 2 | 54:27 | 60 |
| ლესტერი | 28 | 16 | 7 | 5 | 42:26 | 55 |
| შეფილდი | 26 | 14 | 7 | 5 | 38:24 | 49 |
| ქოვენთრი | 29 | 12 | 9 | 8 | 37:31 | 45 |
| ნორვიჩი | 28 | 12 | 8 | 8 | 38:25 | 44 |
| ნოტინგემი | 28 | 12 | 7 | 9 | 42:29 | 43 |
| კრ. პალასი | 28 | 10 | 12 | 6 | 42:30 | 42 |
| რედინგი | 27 | 13 | 3 | 11 | 28:26 | 42 |
| ვულვზი | 28 | 11 | 8 | 9 | 45:31 | 41 |
| როტერჰემი | 29 | 11 | 8 | 10 | 47:37 | 41 |
| იფსვიჩი | 28 | 11 | 8 | 9 | 43:35 | 41 |
| ბარნლი | 28 | 11 | 7 | 10 | 42:49 | 40 |
| უოტფორდი | 29 | 11 | 7 | 11 | 33:44 | 40 |
| მილუოლი | 29 | 10 | 8 | 11 | 37:45 | 38 |
| ჯილინგემი | 27 | 9 | 10 | 8 | 35:36 | 37 |
| უიმბლდონი | 27 | 9 | 8 | 10 | 42:42 | 35 |
| დერბი | 29 | 10 | 5 | 14 | 33:41 | 35 |
| პრესტონი | 28 | 7 | 10 | 11 | 41:47 | 31 |
| ბრედფორდი | 27 | 8 | 7 | 12 | 33:47 | 31 |
| უოლსოლი | 29 | 8 | 5 | 16 | 40:47 | 29 |
| გრიმსბი | 28 | 7 | 7 | 14 | 36:53 | 28 |
| უენსდი | 29 | 6 | 8 | 15 | 28:45 | 26 |
| სტოკი | 29 | 5 | 9 | 15 | 33:53 | 24 |
| ბრაიტონი | 28 | 5 | 7 | 16 | 26:45 | 22 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 15 |
| ანრი (არსენალი) | 14 |
| შირერი (ნიუკასლი) | 13 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 10 |
| რობი კინი (ტოტენჰემი) | 10 |
| ძოლა (ჩელსი) | 9 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 9 |
| კიუელი (ლიდსი) | 9 |

## მეორე დივიზიონი

მე-25 ტური: ბარნსლი — პორტ ვეილი 2:1; ბლეკპული — კოლჩესტერი 3:1; ბრენტფორდი — მენსფილდი 1:0; პიტერბრო — ნორთჰემპტონი 0:0; ჩესტერფილდი — ჩელტენემი 2:2; პლიმუთი — ნოტსი 1:0; სტოკპორტი — ბრისტოლი 1:4; ტრანმერი — ქუინზ პარკი 3:0; უიგანი — სუინდონი 2:0; უიკომბი — ლუთონი 1:2; კარდიფი — ჰადერსფილდი 4:0; ქრიუ — ოლდემი 1:2

მე-26 ტური: ბარნსლი — ნორთჰემპტონი 1:2; ბლეკპული — ჰადერსფილდი 1:1; კარდიფი — სუინდონი 1:1; ჩესტერფილდი — ლუთონი 2:1; ქრიუ — მენსფილდი 2:0; პიტერბრო — ქუინზ პარკი 0:2; პლიმუთი — ჩელტენემი 3:1; სტოკპორტი — პორტ ვეილი 1:1; ტრანმერი — ოლდემი 1:2; უიგანი — ნოტსი 3:1; უიკომბი — ბრისტოლი 2:1

მე-27 ტური: კოლჩესტერი — ტრანმერი 2:2; ნორთჰემპტონი — უიკომბი 0:5; ოლდემი — პიტერბრო 0:0; ქუინზ პარკი — სტოკპორტი 1:0; სუინდონი — ჩესტერფილდი 3:0

მე-28 ტური: ბრისტოლი — უიგანი 0:1; კოლჩესტერი — ქრიუ 1:2; ჰადერსფილდი — პიტერბრო 0:1; მენსფილდი — უიკომბი 0:0; ქუინზ პარკი — ბარნსლი 1:0

## მესამე დივიზიონი

24-ე ტური: ბორნმუთი — როჩდეილი 3:3; როვერსი — ბოსტონი 1:1; დარლინგტონი — ტორკი 1:1; ექსეტერი — მაკლსფილდი 1:1; ჰარტლპული — კემბრიჯი 3:0; ლეიტონი — კარლაილი 2:1; ლინკოლნი — სუონსი 1:0; რაშდენი — ოქსფორდი 0:2; იორკი — ჰალი 1:1; ბერი — კიდერმინსტერი 1:1; საუთენდი — სკანთორპი 1:2

25-ე ტური: ბერი — ჰალი 1:0; ჰარტლპული — კარლაილი 2:1; ლინკოლნი — ბოსტონი 1:1; რაშდენი — შრიუსბერი 5:1; რექსემი — მაკლსფილდი 1:3; იორკი — სკანთორპი 1:3

26-ე ტური: ბოსტონი — ჰარტლპული 0:1; კარლაილი — საუთენდი 1:0; ჰალი — როვერსი 1:0; ტორკი — რაშდენი 1:1

27-ე ტური: ჰალი — ექსეტერი 2:2; კიდერმინსტერი — რაშდენი 0:2; სკანთორპი — ლეიტონი 2:1; ტორკი — იორკი 3:1

## ასოციაციის თასი
## 1/32 ფინალი

ჯილინგემი — შეფილდ უენსდი 4:1; ფულემი — ბირმინგემი 3:1; მანჩესტერ სიტი — ლივერპული 0:1; ვულვერჰემპტონი — ნიუკასლი 3:2; არსენალი — ოქსფორდი 2:0; ასტონ ვილა — ბლექბერნი 1:4; ბლეკპული — კრისტალ პალასი 1:2; ბოლტონი — სანდერლენდი 1:1; ბორნმუთი — ქრიუ 0:0; ბრენტფორდი — დერბი ქაუნთი 1:0; კემბრიჯი — მილუოლი 1:1; კარდიფი — ქოვენთრი 2:2; ჩარლტონი — ექსეტერი 3:1; ჩელსი — მიდლსბრო 1:0; დარლინგტონი — ფარნბორო 2:3; გრიმსბი — ბარნლი 2:2; იფსვიჩი — მორეკემბი 4:0; ლესტერი — ბრისტოლი 2:0; მაკლსფილდი — უოტფორდი 0:2; მანჩესტერ იუნაიტედი — პორტსმუთი 4:1; პლიმუთი — დაგენემი 2:2; პრესტონი — როჩდეილი 1:2; როტერჰემი — უიმბლდონი 0:3; სკანთორპი — ლიდსი 0:2; შეფილდ იუნაიტედი — ჩელტენემი 4:0; შრიუსბერი — ევერტონი 2:1; საუთჰემპტონი — ტოტენჰემი 4:0; სტოკი — უიგანი 3:0; უოლსოლი — რედინგი 0:0; ვესტ ბრომვიჩი — ბრედფორდი 3:1; ვესტ ჰემი — ნოტინგემი 3:2

## ასოციაციის თასი
## 1/16 ფინალის წილისყრა

ნორვიჩი ან ბრაიტონი — პლიმუთი ან დაგენემი; საუთჰემპტონი — კემბრიჯი ან მილუოლი; უოლსოლი ან რედინგი — უიმბლდონი; ბლექბერნი — ბოლტონი ან სანდერლენდი; როჩდეილი — კარდიფი ან ქოვენთრი; ფულემი — ჩარლტონი; შეფილდ იუნაიტედი — იფსვიჩი; შრიუსბერი — ჩელსი; სტოკი — ბორნმუთი ან ქრიუ; ბრენტფორდი — გრიმსბი ან ბარნლი; ფარნბორო — არსენალი; მანჩესტერ იუნაიტედი — ვესტ ჰემი; ჯილინგემი — ლიდსი; ვულვერჰემპტონი — ლესტერი; უოტფორდი — ვესტ ბრომვიჩი; კრისტალ პალასი — ლივერპული

*მატჩები გაიმართება 25-26 იანვარს*

## ლიგის თასი
## 1/2 ფინალი. 1 მატჩები

შეფილდ იუნაიტედი — ლივერპული 2:1;
მანჩესტერ იუნაიტედი — ბლექბერნი 1:1

*საპასუხო მატჩები გაიმართება 21-22 იანვარს*

### XXIV ტური
**18 იანვარი**

არსენალი — ვესტ ჰემი
საუთჰემპტონი — ლივერპული
ასტონ ვილა — ტოტენჰემი
ბლექბერნი — ბირმინგემი
ჩარლტონი — ბოლტონი
ევერტონი — სანდერლენდი
ფულემი — მიდლსბრო
ლიდსი — ვესტ ბრომვიჩი
მანჩესტერი — ჩელსი
ნიუკასლი — მანჩესტერ სიტი



ვალენსია — სოსიედადი. ვალენსიელთა მეკარე ანდრეს პალოპმა ბასკებთან ვერ იყოჩაღა

REUTERS

# ლაპარაკი ნამუსზე
## დილას ფული, საღამოს სკამები

### ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

**რეალი 3:0 სევილია**

1:0 რაული (9), 2:0 ფ. კონსეისაო (28), 3:0 ზიდანი (73)

**XVI ტური**

**ვალიადოლიდი 3:0 ბეტისი**

1:0, 2:0 ფერნანდო სალესი (49, 65), 3:0 ოსკარი (82)

**ოსასუნა 0:1 რაიო ვალეკანო**

0:1 ხულიო ალვარესი (22)

**რასინგი 3:4 ბილბაო**

1:0 მუნიტისი (9), 2:0 ხ. გერერო (18პ), 2:1 მორა (40ს.კ.), 3:1 რეგუერო (44), 3:2 ურსაისი (52პ), 3:3, 3:4 ხ. ეჩებერია (61, 87)

**დეპორტივო 3:0 სელტა**

1:0 ტრისტანი (42), 2:0 სერხიო (47), 3:0 ლუკე (90)

**სევილია 3:0 მალიორკა**

1:0 რეიესი (14), 2:0, 3:0 ტოედტლი (34, 84)

**სოსიედადი 2:2 მალაგა**

1:0 ნიჰატი (8), 1:1 მუსამპა (20), 2:1 ხოხლოვი (23), 2:2 დარიო სილვა (56)

**ბარსელონა 3:0 უელვა**

1:0 როჩემბაკი (9), 2:0 ლორენი (25ს.კ.), 3:0 კოკუ (80)

**ალავესი 2:1 ესპანიოლი**

0:1 მილოშევიჩი (18), 1:1 კრუიფი (32), 2:1 სოლდევილა (77ს.კ.)

**ვილიარეალი 4:3 ატლეტიკო**

1:0 უნაი (27), 2:0 პალერმო (28), 2:1 ფ. ტორესი (31), 2:2 სანტი (42), 3:2 ვიქტორი (45), 4:2 პალერმო (89), 4:3 ფ. ტორესი (90)

**რეალი 4:1 ვალენსია**

1:0 რონალდო (36), 1:1 აიალა (54), 2:1 ზიდანი (66), 3:1 გუტი (86), 4:1 პორტილიო (90)

**XVII ტური**

**ოსასუნა 1:1 ვალიადოლიდი**

0:1 აგანსო (38), 1:1 მატეო (58)
ოსასუნა: სანსოლი, იანგასი, მატეო, კრუჩაგა, რივერო, ანტონიო ლოპესი, ალფრედო (განსედო 54), პუნალი, მოჰა (მუნიოსი 73), ივან როსადო, ალოიზი (ბრიტი 54)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენა, მარკოსი, გასპარი, ტორეს გომესი, კოლსა, ხესუსი (ჯონათანი 63), ფერნანდო სალესი, აგანსო (პაკონი 77), ოსკარი, ოლივერა (ჩემა 69)
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: გასპარი, აგანსო, ტორეს გომესი, ხესუსი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
14 055 მაყურებელი

**ვალენსია 2:2 სოსიედადი**

1:0 ფაბიო აურელიო (17), 1:1 ნიჰატი (33), 2:1 არანსაბალი (59ს.კ.), 2:2 კოვაჩევიჩი (68)
ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ფაბიო აურელიო, აიალა, მარჩენა, კარბონი, კურო ტორესი (გარიდო 44), ბარახა, რუფეტე (ხუან სანჩესი 86), კარეუ, მისტა (ვისენტე 77)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი, შურერი (ტაიფუნი 88), ლოპეს რეკარტე, ბორისი (დე პაულა 72), ხაურეგი, გაბილონდო (ბარკერო 58), კარპინი, კოვაჩევიჩი, ნიჰატი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: მარჩენა, გაბილონდო, ხაურეგი, აიალა, ნიჰატი, მისტა, ვისენტე
მსაჯი: რუბინოს პერესი
48 000 მაყურებელი

**სელტა 0:1 რეალი**

0:1 რონალდო (7)
სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი, ხუანფრანი (ვაგნერი 65), სერხიო, ხოსე იგნასიო (ხესული 74), ედუ, ლუქსენი, გუსტავო ლოპესი, კატანია (მაკკარტი 56)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, პავონი, ზიდანი, ი. ელგერა, ფ. კონსეისაო, მაკელელე (კამბიასო 76), რაული, ფიგუ, რონალდო (გუტი 82)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ხუანფრანი, პავონი, კასერესი, სალგადო
მსაჯი: კარმონა მენდესი
28 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 1:2 მალიორკა**

1:0 ბოლიჩი (56), 1:1 პანდიანი (71), 1:2 კარლოსი (84)
რაიო ვალეკანო: ეჩებერია, დე კინტანა, გრაფი, მორა (პერაგონი 46), მარიო, მაინცი, მიჩელი, ასკოიტია, ხულიო ალვარესი, პელდერი (კამუნასი 80), ბოლიჩი (ბოლო 72)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
მალიორკა: ლეო ფრანკო, ნინიო, პოლი, ნადალი, ლუსენპოფი (მიგელ სოლერი 63), კამპანო, იბაგასა (მარკოსი 86), ნოვო, რიერა (კარლოსი 75), ლოსანო, პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ლუსენპოფი, გრაფი, პოლი, პოლი, პანდიანი, დე კინტანა
გაძევება: პოლი (54)
მსაჯი: პერეს პერესი
12 500 მაყურებელი

**უელვა 0:0 სევილია**

უელვა: ლუკე, ესპინოლა, მერინო, ხავი გარსია, არპონი (კუბილო 72), იკერ ბეგონია, ლორენი, დავიდ გალეგო (რომერო 29; ხისკო 44), რაულ მოლინა, ბერმეხო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, გალიარდო (ანტონიტო 69), რედონდო, მარკოს ვალესი, კასკერო, ტორადო, რეიესი (მოისესი 89), ტოედტლი (ვიქტორ სალასი 82)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: რედონდო, იკერ ბეგონია, ბერმეხო, ესპინოლა, მარკოს ვალესი, დავიდ კასტედო
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
19 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 3:1 დეპორტივო**

1:0 ხოსე მარი (1), 1:1 მაკაი (4), 2:1 ფერნანდო ტორესი (78), 3:1 კორეა (80)
ატლეტიკო: ბურგოსი, ჰიბიჩი, გარსია კალვო, სერხი, კონტრა, ალბერტინი (ნაგორე 74), ემერსონი (მოვილია 48), ხორხე (კორეა 62), ფერნანდო ტორესი, ლუის გარსია, ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
დეპორტივო: ხუანი, რომერო, ნაიბეტი (ლუკე 82), დონატო, მაურო სილვა, სკალონი, სერხიო, დუშერი (აკუნია 87), მაკაი, დიეგო ტრისტანი (კაპდევილა 64), ვიქტორი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ალბერტინი, სერხი, გარსია კალვო, სერხიო, მაურო სილვა
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
43 000 მაყურებელი

**მალაგა 0:0 ბარსელონა**

მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, სანსი, ხერარდო, ხოსემი, მუსამპა, მიგელ ანხელი (ლეკო 71), სანდრო (მანუ 71), დელი ვალდესი (კანაბალი 79), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, ხავი, კოკუ, ხერარდი (ოლეგური 11), როჩემბაკი (რიკელმე 60), გაბრი, მოტა, ინიესტა, კლუივერტი, ოვერმარსი (სავიოლა 66)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: ხოსემი, კლუივერტი, სანდრო, დარიო სილვა, როტეტა, ხერარდო
მსაჯი: პუენტეს ლეირა
21 000 მაყურებელი

**ბილბაო 0:1 ვილიარეალი**

0:1 ფარინოსი (5)
ბილბაო: არანსუბია, კარანკა, ლაკრუზი, ხავი გონსალესი, ალკისა, დელ ჰორნო, ტიკო (არიაგა 55), გურპეგი (გერერო 71), ესკერო, ეჩებერია (იესტე 89), ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, ბალესტეროსი, უნაი (კიკე ალვარესი 56), ხორხე ლოპესი, სენა, ფარინოსი (არანდა 86), პალერმო, ვიქტორი (ხოსიკო 71), გიარე
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: არუაბარენა, ალკისა, დელ ჰორნო, სენა, გიარე, ურსაისი, ფარინოსი, გიარე, ურსაისი
გაძევება: გიარე (80), ურსაისი (89)
მსაჯი: რამირეს დომინგესი
28 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 3:0 რასინგი**

1:0 სოლდევილა (7), 2:0 ტამუდო (66პ.), 3:0 მილოშევიჩი (77)
ესპანიოლი: სერხიო, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, დომორო, მორალესი, მაქსი (ამაია 78), დე ლა პენია (ალექს ფერნანდესი 46), ბერტრანი (ნავასი 34), მილოშევიჩი, ტამუდო
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
რასინგი: ლემენსი, ნერუ, მორა, ხუანმა, ისმაელი (პაბლო ლაგო 69), მატეო, ჩიკო (რეგუერო 73), პინედა, ბოდეპო, ჩავი გერერო, მუნიტისი
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
გაფრთხილება: სოლდევილა, მორა, ხუანმა, ტამუდო
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
17 100 მაყურებელი

**ბეტისი 2:2 ალავესი**

1:0 ფერნანდო (44), 1:1 მაგნო (57), 2:1 ხოაკინი (89), 2:2 ტურიელი (90)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, მინგო (სეზარი 39), ხუანიტო, რივასი, ასუნსაო, ვარელა, ფერნანდო, არსუ, ხოაკინი, ჟოაო ტომასი (კასახი 72)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია, კარმონა, ტელესი, ლორენსი (გელი 55), აბელარდო, ედუ ალონსო, ლუის ელგერა, რუბენ ნავარო (ხორდი 55), მაგნო (ტურიელი 70), ილიე
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
მსაჯი: პერეს ბურული
35 000 მაყურებელი




რეალი — ვალენსია. რონალდოს გოლმა ვისენტე დელ ბოსკეს დედა გაახსენა

**ვინძლო**, ბევრი ახალი წლის დადგომას არ ელოდებოდა ისე, როგორც „რეალ სოსიედადის" დამარცხებას. ახალი წელი, აბა, სად გაიქცეოდა, სანსებასტიანელები კი წაფორხილებას არა და არ აპირებენ. აგერ ახლაც, „მესტალიაზე" ორი ბურთით მარცხდებოდნენ და ფრეს მაინც გამოჰკრეს ხელი.

— ჩვენ აუცილებლად მოვიგებთ — თქვა მატჩამდე ვალენსიელთა თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა — მეტოქე ჩინებულ სეზონს ატარებს, მაგრამ დროა, დამარცხდეს.

ბენიტესის ეს ვარაუდი თუ მტკიცება რომ უნდა ამხდარიყო ფაქტებიც მოწმობდნენ. „რეალ სოსიედადი" „მესტალიაზე" გამართულ წინა ხუთ მატჩში დამარცხდა და თან მხოლოდ ერთში, ხუთი წლის წინ შეძლო გოლის გატანა. ბოლოს ბასკებმა ვალენსიაში 1996 წელს მოიგეს ერთი კინკილა გოლის წყალობით. ამასთანავე, სტუმრებს კვლავაც აკლდათ დაშავებული ხაბი ალონსო, ხოლო ზამთრის ამინდის ჭირვეულობის გამო ქოშაგებმა მგზავრობას შინ დარჩენა ამჯობინეს და გუნდს გამამხნევებელი არავინ ჰყავდა.

დარკო კოვაჩევიჩმა დისკვალიფიკაცია მოიხადა, თუმცა რეინალდ დენიომ მაინც ზედაცვითი შემადგენლობით თამაში არჩია. სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა ნორვეგიელ მცველ კვარმეს, სულ კი დენიომ ხუთი უკანახაზელით ითამაშა.

„ვალენსიას" არ ჰყავდა პაბლო აიმარი, რომელსაც მოგვიანებით მივუბრუნდებით, მაგრამ გუნდის თამაშს ეს არ დატყობია და მალევე, კურო ტორესის პასით, ფაბიო აურელიომ 15 მეტრიდან თავური დასცხო — სანდერ ვესტერფელდის თავგანწირულმა, მაგრამ ამაო ნახტომმა გოლს ლაზათიღა შეჰმატა.

ჩემპიონი თამაშს მეორე ტაიმის შუაგულამდე აკონტროლებდა. რობერტო აიალა და მისი მეგობრები საიმედოდ ჰკეტავდნენ კოვაჩევიჩსა და ნიჰათს, წინ კი აურელიო და იონ კარეუ ხიფათს ხიფათზე ქმნიდნენ. მეტი რა ვთქვათ — ბასკებმა მასპინძელთა კარისკენ პირველად თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის მერე დაარტყეს, კარში კი ერთი საათის მერე დაუმიზნეს. ოღონდ ეს დამიზნება საკუთარი კარისკენ იყო მიმართული — არანსაბალმა მეკარისთვის ბურთის დაგორება გადაწყვიტა, ვესტერფელდი ერთ კუთხეში იდგა, ბურთი მეორე კუთხეში შევგორდა. სხვათა შორის, წინა ტურში „სოსიედადმა" მალაგელი ხოხლოვის ავტოგოლით მიაღწია ფრეს და ახლა თითქოს ვალი დააბრუნა.

აქ კი დენიოს ჯერი დადგა. ფრანგმა მწვრთნელმა ტაქტიკური ცვლილება გააკეთა — კარპინი ფლანგიდან ცენტრში გადაისროლა, ხოლო ნიჰათი ფლანგზე გადასწია. ამან გაამართლა, ნიჰათმა მეტი თავისუფლება იგრძნო და კოვაჩევიჩი მეკარე პალოპს პირისპირ შეატოვა. იუგოსლავიელმაც ფეხი არ შეიშალა, ბურთი გაუტანა და სხვაობა შეამცირა. ისე, ზემოთ 1996 წელს მოგებული თამაში რომ ვახსენეთ, ის გოლიც კოვაჩევიჩისა იყო — მისი პირველი გოლი ესპანურ ლიგაში.

აღსანიშნავია, რომ ამ თამაშისთვის მომჯობინდა სანტიაგო კანისარესი, ვისაც 40 დღე გაუცდა, მაგრამ ბენიტესი კვლავ ანდრეს პალოპს ენდო. კოვაჩევიჩის გოლიდან ათ წუთში პალოპმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჰათის დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა და ანგარიში გათანაბრდა.

ამის მერე უპირატესობა სტუმრებისა იყო, თურქმა კიდევ სამჯერ გაისროლა სახიფათოდ, მაგრამ „ვალენსიამ“ მაინც მოახერხა მესამეს გატანა — კარეუმ იხეირა, ოლონდ ეგაა, მსაჯმა არ ჩათვალა, აქაოდა, გოლამდე თანამემამულე კვარმეს უუხეშეო.

— ვფიქრობ და ვერ გამიგია, გოლი რატომ არ ჩაგვითვალეს, უნამუსოდ გვექცევიან — მეორედ დაიჩივლა ბენიტესმა.

რატომ მეორედ? პირველად ბენიტესმა წინა ტურში „რეალთან“ დამარცხების მერე ახსენა მსაჯთა ნამუსი. იმ მატჩზე უპრიანია, ცოტა ვრცლად ვისაუბროთ.

თამაშამდე ორი დღით ადრე ვისენტე დელ ბოსკეს 86 წლის დედა, დონა მარია გარდაიცვალა. კლუბმა სალამოს ვარჯიში გადადო, ხოლო მწვრთნელი მშობლიურ სალამანკაში გაემგზავრა. ის მადრიდში კვირას დაბრუნდა და მატჩისას სათადარიგოთა სკამზე იჯდა. თამაში წუთიერი დუმილით დაიწყო, ფეხბურთელებს და მსაჯებსაც შავი სამკლავურები ეკეთათ.

ამინდიც საზიზღარი დაემთხვა: ისეთი თავსხმა წვიმა წამოვიდა, ერთი პირობა თამაშის გადადებაც დააპირეს.

რა მტკიცება უნდა, რომ ხალხი მოუთმენლად ელოდა ამ თამაშს. ამ კლუბითა დაპირისპირება მრავალ ათწლეულს ითვლის, მაგრამ ნაღდი ომი 90-იანი წლების შუიდან დაიწყო.

პირველად კლუბები პრედრაგ მიატოვიჩის ტრანსფერის გამო შესაკდნენ ერთმანეთს. 1995-96 წლების სეზონში „რეალის“ მაშინდელი პრეზიდენტი ლორენსო სანსი „ვალენსიას“ ზურგს უკან მოელაპარაკა ფეხბურთელს მადრიდში გადაბარგების თაობაზე და მეტოქე პრეზიდენტის რისხვა დაიტეხა თავს. რიოგი სანსს სასამართლოთიც ემუქრებოდა.

მტრობის შემდეგი გაელვება ჩემპიონთა ლიგის ფინალი იყო, რომელიც, გეხსომებათ, „რეალმა“ 3:0 მოიგო. საპასუხოდ „ვალენსიამ“ გაისკა მენდიეტა „ლაციოს“ 45 მილიონ დოლარად მიჰყიდა, არადა, „რეალი“ 60 მილიონს სთავაზობდა. თან რომაელებთან კონტრაქტში ვალენსიელებმა ისეთი პუნქტი ჩადეს, რომლის მიხედვითაც თუ მენდიეტა რაიმე გზით „რეალში“ მოხვდებოდა, „ლაციოს“ დიდძალი ჯარიმა უნდა გადაეხადა.

შარშან კი მადრიდელთა ავტობუსს ვალენსიელმა ფანებმა ქვები დაუშინეს, დავიდ ალბელდამ განზრახ ჩაწიხლა ზინედინ ზიდანი, ხოლო როცა მსაჯმა „რეალის“ კარში ილიეს ნაღდი გოლი არ ჩათვალა, ახალმა პრეზიდენტმა ორტიმ თქვა, ეტყობა, მსაჯები უკვე შეუდგნენ „რეალის“ საუკუნოვანი იუბილის აღნიშვნასო.

ყოველივე ამას დაკუმატოთ ის გარემოებაც, რომ „ბარსელონა“ ამ სეზონში დიადი კლუბი ველარ არის და „რეალის“ კონკურენტობის გაწევა „ვალენსიას“ სურს.

ამ მატჩის ანგარიშმა არ უნდა დაგვაბნიოს — მართალია, მასპინძლებმა ოთხიდან სამი გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს, მაგრამ უკეთ პირველში გამოიყურებოდნენ.

ანგარიში ტაიმის მიწურულს გაიხსნა — ზიდანმა, რომელიც ნელ-ნელა ეჩვეოდა მძიმე მინდორს, ბრწყინვალე პასი გაუჭრა რონალდოს. ბრაზილიელი კურო ტორესს გასცდა, მეკარეც მოატყუა და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თავისი პირველი გოლი გაიტანა. მერე რონალდო დელ ბოსკესკენ გაიქცა, ჩაეხუტა და აატირა.

შესვენების მერე სტუმრები გონს მოეგნენ და აურელიოს ჩაწოდებით აიალამ გაათანაბრა. უთუოდ უნდა ვთქვათ, რომ „ვალენსიას“ ახლანდელი შემადგენლობიდან მადრიდში გოლი აქამდე არავის გაეტანა — მენდიეტა, ხერარდი და კლაუდიო ლოპესი ხომ ვალენსიელები აღარ არიან. ამის მერე კი აი, რა მოხდა: ჯერ იყო და, იკერ კასილიასს ბურთი უკვე ხელში ჰქონდა და, აიმარმა მაინც წართმევა დაუპირა, რისთვისაც გააფრთხილეს, მერე კი მიჩელ სალგადოს ეუხეშა და მეორე ყვითელი ბარათის ძალით მოედნიდან მიაბრძანეს. ამის მერე იყო, რომ „ვალენსია“ გატყდა და კიდევ სამი გოლი გაუშვა.

კაცმა რომ თქვას, არბიტრ პინო სამორანოს ვერ გაამტყუნებ, მაგრამ ვალენსიურმა გაზეთებმა, ორტის და ბენიტესის წაქეზებით, ერთი ამბავი ატეხეს, ამისთანა უნამუსობა სად გაგონილაო. ბენიტესმა კი დაიჩივლა, რა ვქნათ, „რეალის“ დასამარცხებლად იმაზე ორჯერ მეტის გაკეთებაა საჭირო ვიდრე სინამდვილეში გვჭირდებაო. აი, ასეთი თამაში იყო.

წინა ტურს გადავწვდით და ბარემ გალისიურ დერბიზეც ვთქვათ.

„დეპორტივოსა“ და „სელტას“ მატჩი იქაურთათვის ისედაც გამორჩეული რამაა და ლაკორუნიელთა პრეზიდენტმა აუგუსტო სესარ ლენდოირომ ცეცხლზე ნავთი დაასხა.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ გუნდების შარშანდელი მატჩისას ვიგოელმა ფანებმა „რიასორზე“ სკამები აგლიჯეს და მასპინძლები 2 200 ევროთი აზარალეს. ლენდოირომ ეს ამბავი გაიხსენა და სტუმრებს შეუთვალა, თუ გნებავთ ბილეთები გამოგიყოთ, კეთილი ინებეთ და 3 ათასი ევრო გირაოდ შემოიტანეთ, აბა, სკამების აგლეჯას რომ დაიწყებთ, მერე სად გდიოთო. ამან „სელტა“ განარისხა და ფანკლუბთა ასოციაციას პროტესტით მიმართა, დახეთ, ეგ უნამუსო რას ითხოვსო. ასოციაციამაც ლენდოირო გაკიცხა, ვიგოელი ქომაგები კი ამას არ დაყაბულდნენ და პროტესტის ნიშნად ლა კორუნიაში არ ჩავიდნენ. თვით „სელტას“ პრეზიდენტმა ორასიო გომესმაც იუარა ლენდოიროს გვერდით დაჯდომა.



მალაგა — ბარსელონა. კატალონიელი პატრიკ კლუივერტი მასპინძელი ხერარდო გარსიას გასაკავებელი შეიქნა

რეზონანსი იმდენად დიდი იყო, რომ ლენდოიროს სასწრაფოდ პრესკონფერენციის მოწვევა და საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოუხდა, არასწორად გამიგეთო.

ის თამაში „დეპორტივომ“ 3:0 მოიგო. „სელტაზე“ კი დავძინოთ, რომ ეკვადორელი თავდამსხმელი ივან კავიედესი იჯარით მექსიკურ „პუებლაში“ გაუშვა.

ისევ ბოლო ტურს მივუბრუნდეთ.

ამჯერად „სელტამ“ „რეალს“ უმასპინძლა და სტუმრები ერთ ხანს ჩემპიონატის ლიდერადაც იქცნენ. ეს მას მერე მოხდა, რაც რონალდომ გამარჯვების გოლი გაიტანა, ხოლო „ვალენსია“ — „სოსიედადის“ მატჩი იმ დროისთვის დაწყებულიც არ იყო.

ზოგადად, ვიგოელები კარგად იცავდნენ თავს, მაგრამ ის ერთი მომენტი კი გაეპარათ — რაულმა საჯარიმო დაარტყა, ბურთი რიკოშეტით მეკარე პაბლო კავალიეროს მიუვიდა და მოიგერია, მაგრამ რონალდომ მიუსწრო და დამატებაზე იხეირა. ეს ბრაზილიელის მეშვიდე ესპანური გოლია და ირწმუნება, სათვალავს 25-მდე გავზრდიო.

აღსანიშნავია, რომ „რეალმა“ პრიმერაში ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგო და 11-მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო. ისე კი, ვიგოს „ბალაიდოსი“ რჩება ორიდან ერთ-ერთ სტადიონად, რომელზეც „რეალს“ უარყოფითი ბალანსი აქვს: 11 მოგება, 22 წაგება. მეორე სტადიონი? რა მიხვედრა უნდა — „კამპ ნოუ“.

„ბარსელონამ“ კი ისევ ვერ მოიგო, მასპინძელ მალაგელებზე მეტი და უფრო სახიფათო მომენტები შექმნა, მაგრამ მთლიანობაში „მალაგა“ საიმედოდ იცავდა თავს.

და თუ სადღეისო ვითარებას გადახედავთ, მაშინვე შენიშნავთ, რომ „სოსიედადი“ და „რეალი“ თანდათან აღრმავებენ უფსკრულს სხვა კლუბებთან.

**გიორგი დარჯანია**


რეალი — ვალენსია. ფრანსისკო რუფეტეს მადრიდში მინდვრის მაგიერ აუზი დახვდა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სოსიედადი | 17 | 10 | 7 | 0 | 33:20 | 13 | 37 | 8 | 5 | 3 | 0 | 18:12 | 6 | 18 | 9 | 5 | 4 | 0 | 15:8 | 7 | 19 |
| 2 | რეალი | 17 | 10 | 6 | 1 | 37:16 | 21 | 36 | 8 | 6 | 2 | 0 | 23:7 | 16 | 20 | 9 | 4 | 4 | 1 | 14:9 | 5 | 16 |
| 3 | ვალენსია | 17 | 8 | 5 | 4 | 27:14 | 13 | 29 | 9 | 5 | 2 | 2 | 18:6 | 12 | 17 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | 1 | 12 |
| 4 | დეპორტივო | 17 | 8 | 5 | 4 | 24:20 | 4 | 29 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 14 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:12 | 0 | 15 |
| 5 | ბეტისი | 17 | 7 | 6 | 4 | 28:21 | 7 | 27 | 9 | 5 | 2 | 2 | 14:7 | 7 | 17 | 8 | 2 | 4 | 2 | 14:14 | 0 | 10 |
| 6 | სელტა | 17 | 8 | 3 | 6 | 20:17 | 3 | 27 | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 15 | 8 | 4 | 0 | 4 | 9:10 | -1 | 12 |
| 7 | მალიორკა | 17 | 8 | 2 | 7 | 23:30 | -7 | 26 | 8 | 3 | 1 | 4 | 9:17 | -8 | 10 | 9 | 5 | 1 | 3 | 14:13 | 1 | 16 |
| 8 | ატლეტიკო | 17 | 6 | 6 | 5 | 26:22 | 4 | 24 | 9 | 4 | 4 | 1 | 14:9 | 5 | 16 | 8 | 2 | 2 | 4 | 12:13 | -1 | 8 |
| 9 | ბარსელონა | 17 | 6 | 5 | 6 | 25:19 | 6 | 23 | 8 | 4 | 3 | 1 | 16:8 | 8 | 15 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:11 | -2 | 8 |
| 10 | სევილია | 17 | 5 | 6 | 6 | 15:14 | 1 | 21 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:6 | 3 | 12 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:8 | -2 | 9 |
| 11 | ვილიარეალი | 17 | 5 | 6 | 6 | 19:21 | -2 | 21 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:10 | 1 | 13 | 9 | 1 | 5 | 3 | 8:11 | -3 | 8 |
| 12 | ვალიადოლიდი | 17 | 6 | 3 | 8 | 17:19 | -2 | 21 | 8 | 4 | 2 | 2 | 10:7 | 3 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:12 | -5 | 7 |
| 13 | ბილბაო | 17 | 6 | 3 | 8 | 25:32 | -7 | 21 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:12 | 0 | 13 | 8 | 2 | 2 | 4 | 13:20 | -7 | 8 |
| 14 | მალაგა | 17 | 4 | 8 | 5 | 22:24 | -2 | 20 | 9 | 3 | 4 | 2 | 14:12 | 2 | 13 | 8 | 1 | 4 | 3 | 8:12 | -4 | 7 |
| 15 | რასინგი | 17 | 6 | 2 | 9 | 20:23 | -3 | 20 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:9 | 3 | 11 | 9 | 3 | 0 | 6 | 8:14 | -6 | 9 |
| 16 | ალავესი | 17 | 5 | 5 | 7 | 21:28 | -7 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 11:6 | 5 | 14 | 9 | 1 | 3 | 5 | 10:22 | -12 | 6 |
| 17 | ოსასუნა | 17 | 5 | 4 | 8 | 18:23 | -5 | 19 | 9 | 4 | 1 | 4 | 9:9 | 0 | 13 | 8 | 1 | 3 | 4 | 9:14 | -5 | 6 |
| 18 | რაიო | 17 | 5 | 3 | 9 | 18:25 | -7 | 18 | 9 | 2 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 9 | 8 | 3 | 0 | 5 | 6:12 | -6 | 9 |
| 19 | ესპანიოლი | 17 | 5 | 1 | 11 | 19:28 | -9 | 16 | 9 | 4 | 1 | 4 | 13:11 | 2 | 13 | 8 | 1 | 0 | 7 | 6:17 | -11 | 3 |
| 20 | უელვა | 17 | 2 | 4 | 11 | 13:34 | -21 | 10 | 9 | 1 | 3 | 5 | 9:17 | -8 | 6 | 8 | 1 | 1 | 6 | 4:17 | -13 | 4 |

## სეგუნდადივიზიონი

### XVII ტური

კორდობა 1:1 ტენერიფე
ნუმანსია 1:1 ტერასა
ხერესი 1:2 ალმერია
ელჩე 0:0 ეიბარი
სპორტინგი 1:1 სარაგოსა
ლას პალმასი 2:0 ბადახოსი
ლევანტე 0:0 მურსია
ლეგანესი 2:1 ხეტაფე
პოლი ეხიდო 0:2 კომპოსტელა
სალამანკა 0:0 ფეროლი
ალბასეტე 0:1 ოვიედო

### XVIII ტური

**ოვიედო 0:3 პოლი ეხიდო**
0:1 საბინო (55), 0:2 გილი (61), 0:3 სიერა (89)

**ფეროლი 0:0 კორდობა**

**მურსია 6:1 ლას პალმასი**
1:0 ტიტო (73), 2:0 ისმაელი (43), 3:0 რიჩი (49), 3:1 სანჩესი (63), 4:1, 5:1, 6:1 კარანკა (65, 85, 90)

**ტერასა 1:1 ელჩე**
1:0 ბაბანგიდა (17), 1:1 მეკა (33)

**ალმერია 1:0 ხიხონი**
1:0 ფრანსისკო (39)

**ხეტაფე 1:2 ალბასეტე**
1:0 კრაიოვეანუ (53), 1:1, 1:2 ხესუსი (74, 75)

**სარაგოსა 2:2 ლეგანესი**
1:0 იორდი (22პ), 1:1, 1:2 მიგელი (81, 83), 2:2 იორდი (90პ)

**ბადახოსი 1:1 ნუმანსია**
1:0 ზე ტო (43), 1:1 პერესი (90)

**კომპოსტელა 0:0 სალამანკა**

**ეიბარი 1:0 ხერესი**
1:0 მიგელი (90)

**ტენერიფე 0:0 ლევანტე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სარაგოსა | 18 | 9 | 6 | 3 | 22:16 | 33 |
| მურსია | 18 | 8 | 6 | 4 | 22:8 | 30 |
| ლევანტე | 18 | 7 | 9 | 2 | 28:18 | 30 |
| ალბასეტე | 18 | 7 | 9 | 2 | 24:15 | 30 |
| ელჩე | 18 | 6 | 9 | 3 | 23:13 | 27 |
| სალამანკა | 18 | 6 | 7 | 5 | 12:10 | 25 |
| ტერასა | 18 | 5 | 10 | 3 | 18:17 | 25 |
| ხერესი | 18 | 7 | 4 | 7 | 18:18 | 25 |
| ეხიდო | 18 | 6 | 7 | 5 | 17:17 | 25 |
| ალმერია | 18 | 6 | 7 | 5 | 20:24 | 25 |
| ლას პალმასი | 18 | 5 | 8 | 5 | 22:22 | 23 |
| სპორტინგი | 18 | 5 | 8 | 5 | 15:17 | 23 |
| ფეროლი | 18 | 5 | 8 | 5 | 17:20 | 23 |
| ტენერიფე | 18 | 3 | 13 | 2 | 18:16 | 22 |
| ეიბარი | 18 | 5 | 7 | 6 | 14:17 | 22 |
| კომპოსტელა | 18 | 4 | 8 | 6 | 19:19 | 20 |
| ხეტაფე | 18 | 5 | 5 | 8 | 25:26 | 20 |
| ლეგანესი | 18 | 3 | 10 | 5 | 15:18 | 19 |
| ბადახოსი | 18 | 5 | 4 | 9 | 12:25 | 19 |
| ნუმანსია | 18 | 4 | 6 | 8 | 17:23 | 18 |
| კორდობა | 18 | 2 | 8 | 8 | 10:18 | 14 |
| ოვიედო | 18 | 3 | 5 | 10 | 17:28 | 14 |

### XVIII ტური
**19 იანვარი**

რაიო ვალეკანო — ვალიადოლიდი
ალავესი — ოსასუნა
რასინგი — ბეტისი
ვილიარეალი — ესპანიოლი
დეპორტივო — ბილბაო
რეალი — ატლეტიკო
სოსიედადი — სელტა
ბარსელონა — ვალენსია
სევილია — მალაგა
მალიორკა — უელვა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 12 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 10 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 10 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 10 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 9 |
| პანდიანი (მალიორკა) | 9 |
| ურსაისი (ბილბაო) | 9 |

### სამეფო თასი
### 1/8 ფინალი. 1 მატჩები

ალიკანტე — დეპორტივო 1:1; უნიონი — ოსასუნა 0:4; ბეტისი — უელვა 0:0; ნუმანსია — სევილია 1:3; მალიორკა — ვალიადოლიდი 2:2; ტერასა — რეალი 3:3; მურსია — ალავესი 0:0; ხერესი — ატლეტიკო 0:1

*საპასუხო მატჩები გაიმართება 15 იანვარს*

## იტალია

### სერია A

**გადადებული მატჩი**

**ტორინო 1:1 ატალანტა**

0:1 ნატალი (14), 1:1 მეცანო (61პ)

### XVI ტური

**ბოლონია 0:2 მილანი**

0:1 შევჩენკო (51), 0:2 სერჟინიო (78)
ბოლონია: პალიუკა, ძაკარდო, ძანკი, კასტელინი, პარამატი (ვანოლი 69), ბელუჩი (სინიორი 62), ამოროზო, ოლივე, კოლუჩი, ლოკატელი (მენი 85), კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, ამბროზინი, ზეედორფი (პირლო 75), რუი კოშტა (სერჟინიო 46), რივალდო, შევჩენკო (ტომასონი 90)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კრუზი
მსაჯი: ტრენტალანჯე
37 000 მაყურებელი

**ინტერი 2:0 მოდენა**

1:0 რეკობა (6), 2:0 კრესპო (22)
ინტერი: ფონტანა, ხ. ძანეტი, ფ. კანავარო, კორდობა, კოკო, კონსეისაო (გული 78), ემრე, ალმეიდა, მორფეო, კრესპო (კალონი 31), რეკობა (კ. ძანეტი 51)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მოდენა: ბალოტა, პავანი, მაიერი, უნგარი, კამპედელი, კოლუჩი (მაური 82), მილანეტო, ალბინო (სკოპონი 90), პონცო, კამარა (პასინო 70), ფაბრინი
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: კოლუჩი, მორფეო, კალონი
მსაჯი: გაბრიელი
57 610 მაყურებელი

**იუვენტუსი 5:0 რეჯინა**

1:0 კონტე (22), 2:0 ტრეზეგე (35), 3:0 კოცა (65ს.კ.), 4:0 დელ პიერო (70), 5:0 დი ვაიო (88)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ტურამი, ფერარა, ძამბროტა, კამორანეზი (პესოტო 77), კონტე, დავიდსი (ფრეზი 80), ნედვედი (დი ვაიო 73), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
რეჯინა: ბელარდი, ჩირილო, პიერინი, ფრანჩესკინი, ფალსინი, კოცა, მამედე, ლეონი, ნაკამურა (ვერონი 72), რასტელი (სავოლდი 53), დი მიკელე
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: კოცა, ჩირილო
მსაჯი: ტრეფოლონი
30 000 მაყურებელი

**უდინეზე 0:0 პერუჯა**

უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, კრულდრუპი, ვიერი (ვარლეი 58), პიზარო, პინცი, ალბერტო, იორგენსენი, იანკულოვსკი (ჯემიტი 85), მუცი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
პერუჯა: როსი (კალაჩი 87), სოლიანო (რეზაი 66), დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ობოდო, ბლასი, გროსო, კარაჩიოლო, ვრიზასი (მიკოლი 62)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: პიზარო, გროსო, ობოდო, დი ლორეტო
მსაჯი: ჩეზარა
13 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:1 ტორინო**

0:1 კრიბარი (90ს.კ.), 1:1 როკი (90)
ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, პრატალი, ლუკინი (კუპი 85), ჯამპერეტი, გრელა, ბუსკე, ვანუჩი (კაპელინი 29), როკი, ტავანო (გრიეკო 77)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
ტორინო: ბუჩი, დელი კარი, ფატორი, მეცანო, კომოტო, დე აშენტისი, ვერგასონი, კასტელინი, სომეზე (ბალძარეტი 61), ფერანტე, ლუკარელი (მაგალიანესი 66)
მწვრთნელი: ენცო ულივიერი
გაფრთხილება: პრატალი, ლუკარელი, ფერანტე
მსაჯი: პაპარესტა
25 565 მაყურებელი

**კომო 1:1 ატალანტა**

1:0 ბიელანოვიჩი (45), 1:1 ფოლიო (53)
კომო: ბრუნერი, ჟუარესი, ტარანტინო, სტელინი, ბინოტო (კარბონე 85), კოე, კორენტი, ბენინი (როსი 62), მუსიჩი, ბიელანოვიჩი, კაჩა
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი
ატალანტა: ტაიბი, ფოლიო, ნატალი, სალა, ძაური, ძენონი, დაბო, ბერეტა, დონი (ტრამეცანი 89), როსინი, კომანდინი (ინაჩიო პია 82)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ძაური, ბინოტო, ფოლიო, დონი
მსაჯი: ტრეოსი
3 000 მაყურებელი

**პიაჩენცა 1:1 პარმა**

0:1 მუტუ (29), 1:1 ტოსტო (46)
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ბოსელი, მანგონე, გურენკო (რინალდი 77), რიჩი (პეტრესკუ 89), მარესკა (მიჩელი 82), დი ფარნჩესკო, ტოსტო, უბნერი, დე ჩეზარე
მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი
პარმა: ფრეი, დიანა, ბონერა, ფერარი, გრეშკო, ლამუში (ბრიგი 72), ბარონე, ა. ფილიპინი, ნაკატა, ბონაცოლი (ჯილარდინო 72), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ლამუში, ტოსტო
მსაჯი: როდომონტი
6 500 მაყურებელი

**რომა 0:1 კიევო**

0:1 კოსატო (89)
რომა: პელიცოლი, პანუჩი, სამუელი, ალდაირი, კანდელა, კაფუ, დაკური (გვარდიოლა 72), ტომაზი, დელვეკიო (ლიმა 60), ტოტი, მონტელა (ბატისტუტა 60)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
კიევო: ლუპატელი, ლანა, დანა, ლეგროტალიე, მორო, ფრანჩესკინი (ანდერსონი 88), კორინი, პეროტა, ლაზეტიჩი (დელა მორტე 64), ბირშოფი (მარაცინა 60), კოსატო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: მორო
მსაჯი: მესინა
55 000 მაყურებელი

**ბრეშა 0:0 ლაციო**

ბრეშა: სერენი, მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, პიზანო, ფილიპინი, მატუსალენი, სერიჩი, შოპი, ბაკინი, ტარი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ლაციო: პერუცი, ოდო, ნეგრო, სტამი, პანკარო (კიეზა 82), ფიორე, ჯანიკედა, სტანკოვიჩი, სორინი, ლოპესი, კორადი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: დაინელი, სერიჩი, ჯანიკედა
მსაჯი: ფარინა
20 000 მაყურებელი

# პატივი ვცეთ ტრადიციას



REUTERS

ინტერი — მოდენა. მარსელო ალბინოს მონდომებამ მილანელებს ვერაფერი დააკლო

**იტალიაში** წარმოდგენა არა აქვთ, რა არის ძველით ახალი წელიწადი, მაგრამ სიძველეებს დიდ პატივს სცემენ — ჩახედეთ ცხრილს, აბა, ლიდერთა შორის რამე სიახლეს თუ შენიშნავთ? ცხადია, ახალი არაფერია, იქ ისევ „მილანი", „ინტერი", „ლაციო" და „იუვენტუსი" ტრიალებენ, ძველი, კლასიკური, ტრადიციული გუნდები.

ვინაიდან „მილანის" თამაშზე ცალკე მოგახსენებთ ხოლმე, ტურის ზოგადი მიმოხილვა „ინტერით" დავიწყოთ (სატურნირო თვალსაზრისითაც გამართლებულია და გეოგრაფიულადაც მარტივია, მილანში ვრჩებით): „ინტერმა" „მოდენას" უმასპინძლა და 2:0 მოუგო. „შავ-ლურჯთა" გოლები ალვარო რეკობამ და ერნან კრესპომ გაიტანეს, ოღონდ ეგაა, კრესპომ ტრავმა მიიღო და მოედნიდან გასაყვანი, უფრო შთამბეჭდავად რომ ვთქვათ, გასატანი შეიქნა.

კაცმა რომ თქვას, „ინტერს" არ გასჭირვებია, ანკი „მოდენასთან" რა უნდა გასჭირვებოდა. მერე რა, რომ გუნდის მთავარ თავდამსხმელს, კრისტიან ვიერის გრიპი სჭირდა და ვერ ითამაშა, ის წყვილი ხომ, ზემოთ გოლების ავტორებად რომ მოვიხსენიეთ, ექტორ კუპერის განკარგულებაში იყო.

რეკობამ თავისი გოლი მეექვსე წუთზე გაიტანა — მწვავე გარღვევა 20 მეტრიდან მარცხენა ფეხით, ზუსტი დარტყმით დაასრულა, 22-ე წუთზე კი კრესპომ სერჟიო კონსეისაოს ჩაწოდებულ ბურთს თავით უხელთა — 2:0. მაგრამ გამოხდა რამდენიმე წუთი და კრესპოს საზარდულის კუნთი გაუწყდა. კერძოდ რა და როგორაა, ამას სამედიცინო შემოწმება გაარკვევს, თუმცა ტკივილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არგენტინელ თავდამსხმელს, წესით, დიდი ხნით მოუწევს მკურნალობა და დასვენება.

შესვენების შემდეგ „ინტერმა" დაცვაზე ფიქრი ამჯობინა, რამაც „მოდენას" წინ წასვლის შესაძლებლობა მისცა, თუმცა უღონო სტუმრებმა ამით ვერ ისარგებლეს.

„ლაციომ" ბრეშაში 0:0 ითამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ იტალიის დედაქალაქის ამ გუნდს „მილანის" შედეგი, სტუმრად ზედიზედ რვა გამარჯვება, მიუღწეველი დაურჩა. მე-20 წუთზე სტუმართა თავდამსხმელი, ბერნარდო კორადი ახლოს იყო მიზანთან (კლაუდიო ლოპესის ჩაწოდებულ ბურთს თავი მისცხო, მაგრამ სიზუსტე დააკლდა), თუმცა მატჩის უმწვავესი მომენტი „ბრეშასი" გახლდათ. კერძოდ, ჯონათან ბაკინი ანჯელო პერუცისთან პირისპირ შევიდა და ვერ გაიტანა.

„იუვენტუსმა" „რეჯინა" გამოიჭირა და ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა. ანგარიში 22-ე წუთზე ვეტერანმა ანტონიო კონტემ გახსნა, ხოლო შემდეგ ალესანდრო დელ პიეროსა და პაველ ნედვედის ჩინებული კომბინაცია წარმატებით ფრანგმა დავიდ ტრეზეგემ დაასრულა. მესამედ „იუვენტუსი" სტუმრების მცველმა ფრანჩესკო კოცამ გაახარა, ავტოგოლი შეაგდო, მეოთხე კი პენალტი გახლდათ — დელ პიერო ბრუნო ჩირილომ წააქცია და თერთმეტი მეტრიდან თავად დელ პიერომ დაარტყა. ბოლოს კი მარკო დი ვაიომ დასვა წერტილი. შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა ტრეზეგეს პასს აუღო ალღო და თავდაჯერებით დაარტყა.

მეხუთე ადგილზე „კიევოა". მან რომში, „რომასთან" ითამაშა და 1:0 გაიმარჯვა. ამ შეხვედრაში დამარცხებულ მასპინძელთა შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა ინგლისური „ლიდს იუნაიტედიდან" გადაყვანილი ფრანგი ნახევარმცველი ოლივიე დაკური, ხოლო კაპიტანი, ფრანჩესკო ტოტი გამოჯანმრთელდა და მოედანსაც დაუბრუნდა, მაგრამ ამან წლეულს დასუსტებულ დედაქალაქელებს ვერაფერი უშველა. მატჩი ისე წარიმართა, რომ საგოლე მომენტები მაინცდამაინც არც აქეთა კართან შექმნილა და არც იქითასთან, თუმცა იყო ერთი ეპიზოდი, როდესაც ვერონელმა მასიმო მარცინამ კოსატოს პასი მიიღო და ისევ კოსატოს ჩააწოდა, ხოლო ამ უკანასკნელმა 12 მეტრიდან შეცდომა არ დაუშვა. ერთი სიტყვით, ფაბიო კაპელოსა და მის შეგირდებს კვლავ სტვენა ერგოთ, მე-9 ადგილზე ბრძანდებიან და ლიდერს, უფრო სწორად კი ლიდერებს, მთელი 13 ქულით ჩამორჩებიან.




REUTERS

რომაელთა ახალწვეულმა ოლივიე დაკურმა „კიევოსთან" სადებიუტო მატჩში თავი ვერ გამოიჩინა

**პაპუნა ძედია**

### სერია B

**II გადადებული ტური**

**პალერმო 0:0 სამპდორია**
**ასკოლი 1:4 ვიჩენცა**
**ჯენოა 1:0 ტერნანა**
**ლეჩე 1:0 კატანია**
**ლივორნო 1:0 კალიარი**
**მესინა 2:0 სალერნიტანა**
**ნაპოლი 1:1 ანკონა**
**ტრიესტინა 2:1 სიენა**
**ვენეცია 1:1 ბარი**
**ვერონა 1:0 კოზენცა**

**XVIII ტური**

**სალერნიტანა 0:1 ვიჩენცა**

0:1 მარჯოტა (59)

**ასკოლი 2:1 სიენა**

1:0 ფონტანა (17პ), 1:1 ჯირარდელო (33პ), 2:1 ბარძალი (84)

**კალიარი 1:0 ბარი**

1:0 კაპონე (81)

**ჯენოა 2:2 ტრიესტინა**

1:0 კოდრეა (9), 1:1 ძანინი (11პ), 2:1 მადბი (45), 2:2 დელ ნევო (83)

**ლივორნო 2:1 კატანია**

0:1 ტალდო (34), 1:1 პროტი (50), 2:1 ბილიოტი (88)

**მესინა 3:3 სამპდორია**

1:0 დომიზი (1ს.კ.), 1:1 ვალტოლინა (15), 2:1 დომიზი (26ს.კ.), 2:2 პალომბო (33), 3:2 კამპოლო (58), 3:3 ბაზანი (75)

**ტერნანა 1:1 ნაპოლი**

0:1 დიონიჯი (2), 1:1 პაჩი (30)

**ვენეცია 2:4 ანკონა**

0:1 განცი (2), 0:2 გრაფიდი (6), 1:2, 2:2 პოჯი (18პ, 68პ), 2:3 პეროვიჩი (69), 2:4 ტარანა (90)

**ვერონა 0:0 პალერმო**
**ლეჩე — კოზენცა**

*ნუხელ გვიან გაიმართა (იხ. მეორე გვერდზე და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრიესტინა | 18 | 9 | 6 | 3 | 29:19 | 33 |
| ლივორნო | 18 | 10 | 2 | 6 | 24:14 | 32 |
| ლეჩე | 17 | 7 | 9 | 1 | 22:14 | 30 |
| სამპდორია | 18 | 7 | 8 | 3 | 23:17 | 29 |
| სიენა | 18 | 7 | 8 | 3 | 19:15 | 29 |
| კალიარი | 18 | 8 | 4 | 6 | 18:19 | 28 |
| მესინა | 18 | 7 | 5 | 6 | 29:25 | 26 |
| ანკონა | 18 | 6 | 8 | 4 | 26:23 | 26 |
| ვიჩენცა | 18 | 6 | 8 | 4 | 26:24 | 26 |
| ტერნანა | 18 | 7 | 5 | 6 | 19:18 | 26 |
| ასკოლი | 18 | 6 | 6 | 6 | 19:19 | 24 |
| პალერმო | 18 | 6 | 6 | 6 | 18:21 | 24 |
| ვერონა | 18 | 5 | 7 | 6 | 23:21 | 22 |
| ჯენოა | 18 | 5 | 7 | 6 | 22:20 | 22 |
| ვენეცია | 18 | 5 | 6 | 7 | 18:23 | 21 |
| კატანია | 18 | 5 | 3 | 10 | 21:30 | 18 |
| ბარი | 18 | 2 | 10 | 6 | 13:17 | 16 |
| კოზენცა | 17 | 4 | 4 | 9 | 16:22 | 16 |
| ნაპოლი | 18 | 2 | 9 | 7 | 19:28 | 15 |
| სალერნიტანა | 18 | 3 | 3 | 12 | 14:29 | 12 |

### სერია C1/A

**მე-18 ტური:** ალძანო — პრო პატრია 1:2; არეცო — ჩეზენა 0:3; პადოვა — პისტოიეზე 2:3; პრატო — ჩიტადელა 2:1; რეჯანა — ალბინოლეფე 0:2; სპეცია — ტრევიზო 2:0; პიზა — სპალ 1:1; ლუკეზე — კარარეზე 0:0; ვარეზე — ლუმეცანე 0:1

**მე-19 ტური:** ალბინოლეფე — ალძანო 5:0; კარარეზე — არეცო 1:0; ჩეზენა — პადოვა 0:0; ჩიტადელა — რეჯანა 2:0; ლუმეცანე — სპეცია 4:4; პისტოიეზე — პრატო 0:0; პრო პატრია — ლუკეზე 1:1; სპალ — ვარეზე 0:3

### სერია C1/B

**მე-18 ტური:** კროტონე — ფერმანა 1:0; ჯულიანოვა — ბენევენტო 1:0; ლანჩიანო — აველინო 1:0; პატერნო — აკილა 1:0; ტორესი — მარტინა 0:1; ტარანტო — სამბენედეტეზე 1:1; პეზარო — კიეტი 0:0; ვიტერბეზე — პესკარა 2:2

**მე-19 ტური:** აველინო — ვიტერბეზე 1:0; ბენევენტო — პატერნო 0:0; კიეტი — ტორესი 3:1; ფერმანა — პეზარო 0:2; აკილა — ლანჩიანო 1:3; მარტინა — კროტონე 1:0; პესკარა — ჯულიანოვა 2:1; სამბენედეტეზე — სორა 2:0; ტერამო — ტარანტო 2:1

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 16 | 11 | 3 | 2 | 32:10 | 22 | 36 | 8 | 7 | 1 | 0 | 16:1 | 15 | 22 | 8 | 4 | 2 | 2 | 16:9 | 7 | 14 |
| 2 ინტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 33:16 | 17 | 36 | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 10 | 19 | 8 | 5 | 2 | 1 | 19:12 | 7 | 17 |
| 3 ლაციო | 16 | 9 | 6 | 1 | 31:15 | 16 | 33 | 8 | 2 | 5 | 1 | 16:10 | 6 | 11 | 8 | 7 | 1 | 0 | 15:5 | 10 | 22 |
| 4 იუვენტუსი | 16 | 9 | 5 | 2 | 28:12 | 16 | 32 | 8 | 4 | 3 | 1 | 16:7 | 9 | 15 | 8 | 5 | 2 | 1 | 12:5 | 7 | 17 |
| 5 კიევო | 16 | 10 | 2 | 4 | 27:13 | 14 | 32 | 8 | 6 | 1 | 1 | 16:5 | 11 | 19 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:8 | 3 | 13 |
| 6 ბოლონია | 16 | 7 | 6 | 3 | 19:13 | 6 | 27 | 8 | 7 | 0 | 1 | 14:5 | 9 | 21 | 8 | 0 | 6 | 2 | 5:8 | -3 | 6 |
| 7 უდინეზე | 16 | 7 | 5 | 4 | 15:14 | 1 | 26 | 8 | 4 | 4 | 0 | 8:4 | 4 | 16 | 8 | 3 | 1 | 4 | 7:10 | -3 | 10 |
| 8 პარმა | 16 | 6 | 5 | 5 | 27:19 | 8 | 23 | 8 | 5 | 1 | 2 | 16:9 | 7 | 16 | 8 | 1 | 4 | 3 | 11:10 | 1 | 7 |
| 9 რომა | 16 | 6 | 5 | 5 | 27:23 | 4 | 23 | 8 | 3 | 3 | 2 | 16:11 | 5 | 12 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 |
| 10 ემპოლი | 16 | 6 | 4 | 6 | 24:22 | 2 | 22 | 9 | 2 | 3 | 4 | 12:15 | -3 | 9 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:7 | 5 | 13 |
| 11 პერუჯა | 16 | 5 | 4 | 7 | 18:23 | -5 | 19 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:5 | 5 | 13 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:18 | -10 | 6 |
| 12 მოდენა | 16 | 6 | 1 | 9 | 12:24 | -12 | 19 | 7 | 3 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 10 | 9 | 3 | 0 | 6 | 6:16 | -10 | 9 |
| 13 ბრეშა | 16 | 4 | 5 | 7 | 19:26 | -7 | 17 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:10 | 0 | 9 | 8 | 2 | 2 | 4 | 9:16 | -7 | 8 |
| 14 პიაჩენცა | 16 | 3 | 4 | 9 | 13:24 | -11 | 13 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:15 | -6 | 8 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:9 | -5 | 5 |
| 15 ატალანტა | 16 | 2 | 5 | 9 | 15:28 | -13 | 11 | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | -4 | 8 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:14 | -9 | 3 |
| 16 რეჯინა | 16 | 2 | 4 | 10 | 13:32 | -19 | 10 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:12 | -2 | 9 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:20 | -17 | 1 |
| 17 ტორინო | 16 | 2 | 3 | 11 | 9:30 | -21 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:14 | -10 | 7 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:16 | -11 | 2 |
| 18 კომო | 16 | 0 | 6 | 10 | 9:27 | -18 | 6 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:14 | -9 | 3 | 8 | 0 | 3 | 5 | 4:13 | -9 | 3 |

**XVII ტური**
**19 იანვარი**

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | - | რომა |
| კიევო | - | იუვენტუსი |
| ლაციო | - | უდინეზე |
| მილანი | - | პიაჩენცა |
| მოდენა | - | ბრეშა |
| პარმა | - | ემპოლი |
| პერუჯა | - | ინტერი |
| რეჯინა | - | ბოლონია |
| ტორინო | - | კომო |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 10 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 10 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 9 |
| დი ნატალე (ემპოლი) | 8 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 8 |
| კრუზი (ბოლონია) | 8 |
| ადრიანო (პარმა) | 8 |

# იტალიის ჩემპიონატი
## მეთექვსმეტე ტურის მატჩი
## ბოლონია 0:2 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი

# ასე დაიწყო წელიწადი

„სარბიელმა" და სერია A-მ 2003 წელს ერთდროულად დაიწყეს საქმიანობა — „სარბიელმა" ახალი წლის პირველი ნომერი გამოუშვა, სერია A-მ კი იმავ წლის პირველი ტური ჩაატარა და ამ ტურში მორიგი გამარჯვება ლიდერმა, „სარბიელის" გამოკითხვით 2002 წლის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის, კახა კალაძის გუნდმა, „მილანმა" მოიპოვა. მილანელებმა ბოლონიაში 2:0 იზეიმეს და მასპინძლებს ასპროცენტიანი საშინაო შედეგი გაუფუჭეს — ამიერიდან „ბოლონიას" „დალარას" სტადიონზე ყველა თამაში აღარ აქვს მოგებული. „შავ-წითელთაგან" გოლები ანდრეი შევჩენკომ და სერჟინიომ გაიტანეს.

აღსანიშნავია, რომ კარლო ანჩელოტიმ ამ შეხვედრაში იტალიელი ფორვარდი ფილიპო ინძაგი დაასვენა. მის ნაცვლად რივალდოსა და რუი კოშტას წინ ადგილი უკრაინელმა ვარსკვლავმა, შევჩენკომ დაიკავა და, შედეგიდანაც ჩანს, რომ წარმატებით. საქმე ის გახლავთ, რომ მილანელთა ნახევარდაცვამ იყოჩაღა, ინიციატივა ხელთ იგდო, ბურთი აკონტროლა, მეტოქეს გვარიანად მიაწვა და, ბუნებრივია, ასეთ დროს თავდამსხმელს ხელ-ფეხი გაეხსნებოდა, თუმცა გოლი მეორე ტაიმის მეექვსე წუთამდე არ გასულა. ანგარიში, როგორც მოგახსენეთ, შევჩენკომ გახსნა: უკრაინელს ბურთი ჯენარო გატუზომ მიაწოდა, ხოლო იგი ორ მცველს დაუსხლტა და „ბოლონიას" მეკარეს, ჯანლუკა პალიუკას გაუტანა, მეორე კი გოლით მილანელი ქომაგი რუი კოშტას ნაცვლად მოედანზე მეორე ტაიმში შესულმა ბრაზილიელმა სერჟინიომ გაახარა. ეს გოლი რივალდოს ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა.

მილანელებს ჰქონდათ კიდევ ერთი მომენტი, როდესაც მეორე გოლის ავტორმა პირველის ავტორს შეუქმნა საუცხოო პირობა — გარღვევა მოხერხებული პასით განაგრძო — მაგრამ უკრაინელს ამ ეპიზოდში სიზუსტემ უმტყუნა.

„ჩვენ ჩინებული მეორე ტაიმი ჩავატარეთ და გამარჯვებას ვიმსახურებდით. ბოლონიაში მოგებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი წაგვადგმევინა" — განაცხადა მატჩის შემდეგ სერჟინიომ.

**ბაჩუნა ძიდია**



ანდრეი შევჩენკომ „ბოლონიას" ბრწყინვალე სერია შეუწყვიტა

## ამხანაგური მატჩები

მსოფლიოს ნაკრები 2:4 იუვენტუსი (იტალია)
ლევერკუზენი (გერმანია) 3:0 ჰონდურასი
ალ იტიჰადი (საუდეთი) 1:3 მილანი (იტალია)
ზენიტი (რუსეთი) 2:5 ბრიუგე (ბელგია)
გალათასარაი (თურქეთი) 0:0 ბაიერნი (გერმანია)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) 5:1 ვერდერი (გერმანია)


# სარბიელი სამუშაოდ იწვევს

## გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

## მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14




რეინჯერსი — დანდი. ზურაბ ხიზანიშვილის ძმაკაცი გევინ რაე შოთა არველაძის ძმაკაც რონალდ დე ბურს ჩაუხტა

# პიონერობისთვის მზად ხართ?
## ამბავი სითბოსა და ქალზე

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXIII ტური**

**სელტიკი 1:0 დანფერმლაინი**
1:0 ლარსონი (19)

**დანდი 1:2 ჰართსი**
0:1 კირკი (42), 1:1 მილნი (57), 1:2 ვეირი (80)

**ჰიბერნიანი 2:0 აბერდინი**
1:0 პაატელაინენი (70), 2:0 მაკმანუსი (85)

**კილმარნოკი 0:1 რეინჯერსი**
0:1 ლოვენკრანდსი (24)

**ლივინგსტონი 1:0 მოზერუელი**
1:0 ზარატე (87)

**პარტიკი 0:0 დანდი იუნ.**

**პრემიერლიგა. XXIV ტური**

**აბერდინი 1:1 სელტიკი**
0:1 ლარსონი (30), 1:1 ანდერსონი (51)

**დანდი იუნ. 2:2 კილმარნოკი**
0:1 კანერო (21), 1:1 დოდსი (31), 1:2 მაკლარენი (67), 2:2 მაკინტირი (90)

**დანფერმლაინი 2:0 ლივინგსტონი**
1:0, 2:0 კროუფორდი (45, 57)

**ჰართსი 4:4 ჰიბერნიანი**
0:1 ტოუნსლი (11), 0:2 მაკმანუსი (17), 1:2 პრესლი (30პ), 2:2 დე ვრიზი (62), 2:3 ჯეიმსი (89), 3:3 ვეირი (90), 3:4 ბრებნერი (90), 4:4 ვეირი (90)

**მოზერუელი 2:2 პარტიკი**
1:0 კლერკსონი (9), 1:1, 1:2 ბარნსი (19, 49პ), 2:2 პარტრიჯი (77)

**რეინჯერსი 3:1 დანდი**
1:0 ბ. ფერგიუსონი (21), 1:1 ლოველი (23), 2:1 რ. დე ბური (44), 3:1 ტომპსონი (82)

**კონსერვატორმა** ბრიტანელებმა ხანგრძლივი ჯანჯლობის შემდეგ ექსპერიმენტს მიმართეს — პიონერები კი შოტლანდიელები გამოდგნენ — სქოთურმა პრემიერლიგამ პირველად აიღო ზამთრის შესვენება.

მანამდე კი, 29 დეკემბერსა და 2 იანვარს ორი ტური ითამაშეს შოტლანდიაში და „რეინჯერსმა" გათამაშების ცხრილში ერთქულიანი სხვაობა „სელტიკთან" სამამდე გაზარდა.

გლაზგოელ კათოლიკეებს „აბერდინთან" დაუცდათ ფეხი, რომლისგანაც წინა პრემიერლიგაში ერთადერთი მარცხი იწვნიეს.

რაც შეეხება შოთა არველაძეს, ის „კილმარნოკთან" მატჩში ტრავმის გამო გამოცვალეს — „ჩაფართა" ქართველს კუნთი კვლავაც დაეჭიმა და ამის გამო მომდევნო მატჩიც გამოტოვა „დანდისთან".

დანდელთა რიგებში ორივე მატჩი სრულად ითამაშა ზურაბ ხიზანიშვილმა, ხოლო გიორგი ნემსაძე ისევ დაშავებულ მუხლს იმუშებს.

„დანდიში" სიახლე ისაა, რომ შეტევი ხუან სარა ინგლისურ „ქოვენტრიში" გაანათხოვრეს.

ერთი სატრანსფერო ამბავი „რეინჯერსშიცაა" — ალექს მაკლიშის გუნდმა „დანდი იუნაიტედიდან" თავდამსხმელი სტივენ ტომპსონი შეიძინა, რომელმაც თავის სადებიუტო რეინჯერსული მატჩი „დანდის" წინააღმდეგ გოლით იზეიმა.

ამ დროისთვის კი გუნდები შეკრებაზე არიან. არველაძე და „რეინჯერსი" დუბაიში ნებივრობენ — გლაზგოში ხომ ახლა ტემპერატურა ღილით მინუს რვა გრადუსამდე ეცემა და საამიროების სითბო მათთვის მისწრებაა.

„რეინჯერსი" 19 იანვარს დაბრუნდება გლაზგოში, ოთხი დღის შემდეგ შოტლანდიის ასოციაციის თასის მესამე რაუნდში ქვედალივიზიონელ „არბროთს" გაეჯიბრება, ხოლო პრემიერლიგა 29 იანვარს განახლდება — „რეინჯერსი" „ჰიბერნიანს" ესტუმრება, „დანდი" კი „დანფერმლაინს".

საინტერესო ამბებია გლაზგოურ კრიმინალურ ქრონიკებშიც. ალბათ გახსოვთ, რონალდ დე ბურს ევროპული შობის წინ, 23 დეკემბრის შუაღამეს თავისი სახლის ფარეხიდან BMVX5 რომ აწაპნეს და კიდევ, ჰოლანდიელი რეინჯერსელის სახლიდან ქურდებმა რამდენიმე ნივთიც მოიპარეს. ჰოდა, გლაზგოურმა პოლიციამ დე ბურების ოჯახის „ო-პეარი" დააპატიმრა.

„ო-პეარი" საკმაოდ ფართოდ გავრცელებული და ჩვენთვისაც კარგად ნაცნობი პროფესიაა — ამ საქმეს ევროპაში ძირითადად განვითარებადი და დაბალგანვითარებული ქვეყნებიდან ჩასული ახალგაზრდა მანდილოსნები ეტანებიან. არველაძის ძმაკაცის „ო-პეარი" 26 წლის გახლავთ, თუმც მისი ეროვნება და გვარ-სახელი პოლიციას არ გაუხმაურებია.

დე ბურის BMW X5-ს თავისვე გასაღები უნდა ჰქონდეს მორგებული, რადგან იმ შუაღამით მანქანასთან ერთად ჰოლანდიელმა მისი გასაღებიც დაკარგა. ცხადია, BMW X5-ის გასაღები ვიღაცამ გაუცუნცულა სახლიდან და პოლიციას ეჭვი სწორედ 26 წლის „ოპეარზე" აქვს.

თავში პიონერობა ვახსენეთ და ეს თემა ბოლოსთვისაც შემოვინახეთ. შოტლანდიის ეროვნული გუნდის გერმანელი დამრიგებელი ბერტი ფოგტსი ინიციატივით გამოვიდა, ნაკრები სქოთური პრემიერლიგის რჩეულ ლეგიონერებს გავაჯიბროთო. იდეა შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ყურად იღო, თუმც ოფიციალური დასტური ჯერ არ გაუცია. სხვათა შორის, ფოგტსი ასეთი პიონერობით ათი წლის წინათაც გამოირჩა, ოღონდ სამშობლოში, როცა „ნაციონალმანშაფტს" თავკაცობდა და მას შემდეგ ასეთი მატჩები ყოველწლიურად იმართება გერმანიაში.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 24 | 20 | 3 | 1 | 68:18 | 63 |
| სელტიკი | 24 | 19 | 3 | 2 | 63:16 | 60 |
| ჰართსი | 24 | 10 | 7 | 7 | 40:41 | 37 |
| დანფერმლაინი | 23 | 11 | 3 | 9 | 39:41 | 36 |
| ჰიბერნიანი | 24 | 10 | 4 | 10 | 36:36 | 34 |
| კილმარნოკი | 24 | 9 | 6 | 9 | 26:36 | 33 |
| დანდი | 24 | 6 | 7 | 11 | 28:39 | 25 |
| პარტიკ თისლი | 24 | 5 | 9 | 10 | 25:37 | 24 |
| აბერდინი | 24 | 5 | 9 | 10 | 21:38 | 24 |
| ლივინგსტონი | 24 | 6 | 5 | 13 | 31:36 | 23 |
| მოზერუელი | 23 | 4 | 6 | 13 | 28:41 | 18 |
| დანდი იუნ. | 24 | 3 | 8 | 13 | 20:46 | 17 |

### პირველი დივიზიონი

**მე-20 ტური:** ეარი — არბროთი 4:0; ფოლკირკი — ქუინ ოფ საუთ 5:0; როს ქაუნთი — კლაიდი 1:1; სტ. ჯონსტონი — ალოა 3:0; სტ. მირენი — ინვერნესი 1:4

**მე-21 ტური:** არბროთი — სტ. ჯონსტონი 2:3; კლაიდი — სტ. მირენი 3:2; ქუინ ოფ საუთ — ეარი 1:1; სტ. ჯონსტონი — როს ქაუნთი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინვერნესი | 20 | 13 | 4 | 3 | 48:19 | 43 |
| ფოლკირკი | 19 | 13 | 4 | 2 | 42:16 | 43 |
| სტ. ჯონსტონი | 21 | 11 | 5 | 5 | 27:14 | 38 |
| კლაიდი | 20 | 10 | 5 | 5 | 34:20 | 35 |
| ეარი | 20 | 7 | 6 | 7 | 23:22 | 27 |
| ქუინ ოფ საუთ | 20 | 6 | 6 | 8 | 25:33 | 24 |
| როს ქაუნთი | 21 | 5 | 7 | 9 | 23:23 | 22 |
| სტ. მირენი | 20 | 6 | 4 | 10 | 27:46 | 22 |
| არბროთი | 21 | 3 | 4 | 14 | 18:42 | 13 |
| ალოა | 20 | 2 | 5 | 13 | 12:44 | 11 |

### მეორე დივიზიონი

**მე-18 ტური:** ბერიკი — სტენჰაუზმური 2:2; დამბარტონი — რეით როვერსი 0:3; ფორფარი — ქოუდენბითი 2:1; ჰამილტონი — ბრეჩინი 1:2; სტრენრარი — ერდრი 2:0

**მე-19 ტური:** ბრეჩინი — ფორფარი 3:4; ქოუდენბითი — რეით როვერსი 1:1; დამბარტონი — ერდრი 2:1; სტენჰაუზმური — სტრენრარი 1:0; ბერიკი — დამბარტონი 0:1

### მესამე დივიზიონი

**მე-19 ტური:** ალბიონი — ისტ სტირლინგი 6:0; ისტ ფაიფი — ქუინზ პარკი 1:1; ელგინი — სტირლინგი 0:3; მონტროუზი — გრეტნა 0:2; მორტონი — პიტერჰედი 1:0

**მე-20 ტური:** ისტ ფაიფი — მონტროუზი 2:0; სტირლინგი — ისტ სტირლინგი 2:1; ქუინზ პარკი — გრეტნა 1:2

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ნიკადან

ნიცა — ლილი. ლაჟვარდოვნელები და მათი კაპიტანი ჟოზე კობოსი კვლავ ცხრილის სათავეში არიან

# ნიცურ-კაცური

## საფრანგეთი

### I დივიზიონი

**გადადებული მატჩი**

**მონპელიე — ოსერი**

გადაიდო

### XXI ტური

**ლიონი 1:0 მარსელი**

1:0 ლუინდულა (41)

**რენი 2:1 გენგამი**

1:0 მიჩელი (14ს.კ.), 2:0 ერიბეიგი (84), 2:1 ეკუდე (89)

**ოსერი 1:0 ტრუა**

1:0 ფაიე (4)

**ბორდო 3:1 მონპელიე**

0:1 რობერი (10), 1:1 სავიო (24), 2:1 ჯემალი (47), 3:1 პაულეტა (89)

**ლე ავრი — სტრასბური**

გადაიდო

**ლანსი — სედანი**

გადაიდო

**მონაკო 0:0 ბასტია**

**ნანტი — სოშო**

გადაიდო

**ნიცა 2:0 ლილი**

1:0 ჩერადი (56), 2:0 დიავარა (78)

**აიაჩო 0:0 პსჟ**

**შარშან**, შემოდგომაზე, როცა „ნიცამ“ ოცეულის თავში ზედიზედ სამ-ოთხი კვირა გაატარა, სრულიად საფრანგეთის ყურადღება მიიპყრო. მერე მის ზეობას ფრანგობა შეეჩვია. გუნდი ბოლომდე მსუნაგი არ გამოდგა. საახალწლოდ პირველობა „მარსელს“ დაუთმო, მაგრამ დროებით. ახლა კვლავაც „ნიცას“ მიჰყავს, რომელსაც ადგილი წინა პარასკევს „ლიონმა“ „მარსელის“ ძლევით მოუმზადა. „მარსელი“ ჩამოაგდეს, „ნიცა“ გამეფდა.

ლიონში მასპინძლებმა 40 ათასი ქომაგი გაახარეს. თამაშის დაწყებისთანავე სტუმართა კარს მიაწყდნენ, მაგრამ მხოლოდ ტაიმის მიწურულს იხეირეს. ერთადერთი გოლი ძელთან ჩასაფრებულმა პეგი ლუინდულამ თავით შეაგდო, მეორე ნახევარი კი უგოლოდ მიილია.

ნიცაში „ლილმა“ შესვენების შემდეგ გაუშვა. აბდელმალეკ შერადმა საჯარიმოს ხაზიდან ზუსტად დარტყმულით თავისიანები დააწინაურა. მალე მიმხვდურებს ფერნანდო დამიკო გაუძევეს, მაგრამ მატჩის ბოლომდე გაძლეს, სანამ კაბა დიავარამ თერთმეტმეტრიანიდან არ გაიტანა. „ნიცას“ მწვრთნელი ჟერნო როროი შეგირდებთან ერთად ნამატჩევს ლაღობდა. რორმა ბიჭებს ვაჟკაცები უწოდა.

„მონაკომ“ „ბასტიას“ ვერაფერი მოუხერხა და კუნძულზე ქულით გაგზავნა. პირველ ტაიმშივე მასპინძლებს მცველი ერიკ კუბილიერი გაუძევეს. კაცნაკლულ „მონაკოს“ მეტოქის ძლევა გაუჭირდა. მეორე ტაიმში უგოლობით შეწუხებულ დიდიე დეშანს ნერვებმა უღალატა. შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე მან მსაჯს წითელი ბარათი დასტყუა.

მიჯრით მეხუთე მოიგო „რენმა“. ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის თავკაცობით გუნდი ხელახლა დაიბადა. „რენი“ ფსკერიდან დაიძრა და ცხრილის შუაგულს უწია. როგორც სხვათა რამდენიმე მატჩში, „რენი“ — „გენგამის“ ბურთაობასაც უწითლოდ არ ჩაუვლია. გენგამელმა კლოდ მიშელმა კუთხურიდან ჩაწოდებული საკუთარ კარში ჩაჭრა, რასაც მეორე ტაიმის ბოლოს დომინიკ არიბაჟემ ერთიც მიამატა. სტუმარმა სტეფან კარნოტმა ბოლო წუთზე ერთი გაქვითა. „რენის“ მეკარემ ბურთი კარის ხაზის შიგნით მოიგერია და ეპიზოდი სადავო გახდა. გოლი კი ჩაითვალა, მაგრამ მსაჯის გარშემო წამოწყებულ არეულობას „მსხვერპლი“ მოჰყვა — ოლივიე ეშუაფნი და კრისტოფ ლე რუ სხვა ფეხბურთელებზე ორიოდ წუთით ადრე ჩავიდნენ გასახდელში — ისინი არბიტრმა მიაბრძანა.

გასავარდნად გამზადებულმა „მონპელიემ“ სტუმრად „ბორდოს“ მალევე გაუტანა, მაგრამ ჟირონდელებმა ერთს სამით უპასუხეს. სავიოს და დავიდ ჟემალის ორს პედრო პაულეტამ მესამე დაურთო.

„ოსერმა“ „მონპელიეს“ მეზობელს მეხუთე წუთზე გატანილი გოლი აკმარა, ხოლო კუნძულზე „აიაჩომ“ დედაქალაქურ პსჟ-სთან ქულები და წითელი ბარათები გაიყო. გაძევებულ მასპინძელს, ჰალიდ რეგრაგას მსაჯმა გზაში პსჟ-ს ნიგერიელი ყმაწვილკაცი, ბართლომეო ოგბეჩე დააწია.

სამი მატჩიდან ერთი, „ნანტი“ — „სოშო“ იმიტომ გადაიდო, რომ „ნანტს“ სათასო თამაში ჰქონდა, დანარჩენი ორი კი — უამინდობის გამო.

ალბათ თავშივე უნდა მეთქვა, „ლიონი“ — „მარსელი“ ... პიერლუიჯი კოლინამ იმსაჯა. როცა შეხვედრის მიმოხილვისას მოლიპულმა იტალიურმა თავმა ეკრანზე გაიელვა, თავადაც გამიკვირდა, მაგრამ ის იყო, ნაღდად ის.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიცა | 21 | 10 | 7 | 4 | 26:14 | 37 |
| ლიონი | 21 | 10 | 6 | 5 | 37:25 | 36 |
| მარსელი | 21 | 10 | 5 | 6 | 21:20 | 35 |
| მონაკო | 21 | 9 | 7 | 5 | 32:20 | 34 |
| გენგამი | 21 | 10 | 4 | 7 | 31:26 | 34 |
| სოშო | 20 | 9 | 6 | 5 | 23:14 | 33 |
| ოსერი | 19 | 9 | 5 | 5 | 20:17 | 32 |
| ბორდო | 21 | 8 | 6 | 7 | 26:20 | 30 |
| პსჟ | 21 | 7 | 8 | 6 | 29:21 | 29 |
| ნანტი | 20 | 8 | 4 | 8 | 23:24 | 28 |
| ლანსი | 20 | 7 | 7 | 6 | 18:19 | 28 |
| ლილი | 21 | 7 | 7 | 7 | 20:26 | 28 |
| სტრასბური | 20 | 7 | 6 | 7 | 23:30 | 27 |
| რენი | 21 | 7 | 5 | 9 | 21:23 | 26 |
| ბასტია | 21 | 7 | 4 | 10 | 21:28 | 25 |
| სედანი | 19 | 6 | 5 | 8 | 22:25 | 23 |
| ლე ავრი | 20 | 4 | 7 | 9 | 14:24 | 19 |
| აიაჩო | 21 | 4 | 7 | 10 | 16:27 | 19 |
| ტრუა | 21 | 3 | 7 | 11 | 14:23 | 16 |
| მონპელიე | 20 | 3 | 7 | 10 | 17:28 | 16 |

### მეორე დივიზიონი

XX ტური. გრენობლი — ვასკეალი 3:0; ტულუზი — ლორიანი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე მანი | 19 | 11 | 5 | 3 | 27:15 | 38 |
| ტულუზი | 20 | 11 | 4 | 5 | 27:14 | 37 |
| მეცი | 19 | 9 | 5 | 5 | 22:16 | 32 |
| შატორუ | 19 | 9 | 5 | 5 | 22:17 | 32 |
| ლორიანი | 20 | 9 | 4 | 7 | 24:23 | 31 |
| გრენობლი | 20 | 7 | 9 | 4 | 25:13 | 30 |
| კრეტეი | 19 | 6 | 10 | 3 | 26:19 | 28 |
| ნიორი | 19 | 7 | 5 | 7 | 21:20 | 26 |
| ბოვე | 19 | 6 | 6 | 7 | 11:10 | 24 |
| ლავალი | 19 | 6 | 6 | 7 | 18:20 | 24 |
| ვასკეალი | 20 | 5 | 9 | 6 | 16:19 | 24 |
| ამიენი | 19 | 6 | 5 | 8 | 15:17 | 23 |
| კლერმონი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:26 | 23 |
| სენტ ეტიენი | 19 | 5 | 7 | 7 | 15:16 | 22 |
| კაენი | 19 | 4 | 10 | 5 | 20:22 | 22 |
| ვალანსი | 19 | 6 | 4 | 9 | 19:22 | 22 |
| ისტრი | 19 | 5 | 7 | 7 | 18:32 | 22 |
| რეიმსი | 19 | 3 | 9 | 7 | 15:21 | 18 |
| გენიონი | 19 | 4 | 6 | 9 | 13:22 | 18 |
| ნანსი | 19 | 4 | 5 | 10 | 16:27 | 17 |

### თასის 1/32 ფინალი

მარსელი — ბასტია 2:0; ვასკეალი — მონაკო 3:2დ.დ. (2:2); გრენობლი — სოშო 2:1; მიცა — მეცი 0:0 (პენ. 2:4); კაენი — ოსერი 1:2; ამიენი — მონპელიე 5:3დ.დ. (3:3); რეიმსი — ნანტი 0:2; ვალანსი — ლე ავრი 2:3; სეტე — რენი 1:4; ბეზანსონი — პსჟ 0:1დ.დ. (0:0); მარტიგი — სედანი 0:0 (პენ. 3:1); ვიტრი — აიაჩო 1:3; ფორბახი — ლანსი 2:3; ლიბურნი — ლიონი 1:0; ბურგ-პერონი — სტრასბური 1:0; შილტიგემი — ტრუა 3:1; არმენტიერი — ბორდო 0:3; კიმპერი — ლილი 0:3; ანჟლე ჟუნე — გენგამი 0:1; ნანსი — ნიორი 1:0დ.დ. (0:0); ტულუზი — ვირი-შატილიონი 3:1; კარკესონ — ლე მანი 1:4დ.დ. (1:1); მონტელიმარი — ლორიანი 0:3; ვიტრი — ლავალი 1:1 (პენ. 3:5); შანჟე — ბოვე 0:4; ტური — ანგულემი 0:0 (პენ. 2:4); ვიტრენე — დიჟონი 1:2; სეისინე — ნიმი 1:0; იუს კევილი — ლა როშელი 6:1; ამნევილი — რაონ-ლეტაპე 2:1; ვილერბანი — აგდე 0:3დ.დ. (0:0); მაბუჟე — ლამბრე 1:2

### 1/16 ფინალის წილისყრა

პსჟ — მარსელი; ტულუზი — ლანსი; ლორიანი — ნანტი; ბორდო — გრენობლი; ლავალი — ლე ავრი; აგდე — ლილი; ამნევილი — ოსერი; სეისიენი — გენგამი; სეტე — აიაჩო; ნანსი — მეცი; მარტიგი — ამიენი; იუს კევილი — ვასკეალი; ლიბურნი — ლე მანი; შილტიგემი — ბოვე; დიჟონი — ბურგ-პერონი; ლამბრე — ანგულემი

*მატჩები გაიმართება 25 იანვარს*



პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი. ბერძენთა მთავარ დაპირისპირებაში მასპინძელი ემანუელ ოლისადებე (მარჯვნივ) და ხრისტოს ფაცაცოღლუ შეიბნენ

## პორტუგალია

### I ლიგა. XVI ტური

**ბეირა მარი 1:1 გიმარაეში**

**ლეირია 1:0 ბოავიშტა**

**სეტუბალი 1:2 სპორტინგი**

**აკადემიკა 2:1 ვარზიმი**

**სანტა კლარა 0:0 ფერეირა**

**მორეირენსე 2:2 მარიტიმუ**

**პორტუ 3:0 ბრაგა**

**ნასიონალი 1:1 ბელენენსეში**

### XVII ტური

**მარიტიმუ 3:0 ბეირა მარი**

**გიმარაეში 1:1 ბენფიკა**

**ჟილ ვისენტე 3:1 ლეირია**

**ბოავიშტა 0:0 ნასიონალი**

**სპორტინგი 0:1 პორტუ**

**ბრაგა 1:1 აკადემიკა**

**ვარზიმი 0:0 სანტა კლარა**

**ფერეირა 1:1 მორეირენსე**

**ბელენენსეში — სეტუბალი**

*წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 17 | 14 | 3 | 0 | 36:12 | 45 |
| ბენფიკა | 17 | 10 | 4 | 3 | 34:13 | 34 |
| გიმარაეში | 17 | 9 | 4 | 4 | 33:22 | 31 |
| სპორტინგი | 17 | 10 | 1 | 6 | 27:22 | 31 |
| ვარზიმი | 17 | 8 | 2 | 7 | 25:22 | 26 |
| ჟილ ვისენტე | 17 | 8 | 2 | 7 | 26:25 | 26 |
| ლეირია | 17 | 7 | 3 | 7 | 24:24 | 24 |
| ბელენენსეში | 16 | 7 | 3 | 6 | 20:21 | 24 |
| მარიტიმუ | 17 | 7 | 2 | 8 | 21:27 | 23 |
| ნასიონალი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:21 | 20 |
| ბრაგა | 17 | 5 | 5 | 7 | 15:26 | 20 |
| ფერეირა | 17 | 5 | 4 | 8 | 17:25 | 19 |
| ბოავიშტა | 17 | 4 | 6 | 7 | 14:17 | 18 |
| სეტუბალი | 16 | 3 | 8 | 5 | 19:18 | 17 |
| აკადემიკა | 17 | 3 | 7 | 7 | 19:27 | 16 |
| მორეირენსე | 17 | 3 | 6 | 8 | 18:24 | 15 |
| ბეირა მარი | 17 | 3 | 6 | 8 | 17:28 | 15 |
| სანტა კლარა | 17 | 3 | 5 | 9 | 20:30 | 14 |

### II ლიგა

**მე-16 ტური:** რიუ ავე — შავეში 2:2; ფელგეირაში — მაია 0:0; პენაფიელი — ამადორა 1:0; მარკუ — ფარენსე 1:1; ოვაირენსე — ნავალი 2:3; მადეირა — ავეში 1:1; ლეცა — სალგეირუში 0:3

**მე-17 ტური:** სალგეირუში — პენაფიელი 1:0; ამადორა — პორტიმონენსე 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალგეირუში | 17 | 9 | 5 | 3 | 29:18 | 32 |
| ალვერკა | 17 | 8 | 7 | 2 | 23:10 | 31 |
| ამადორა | 17 | 9 | 4 | 4 | 24:16 | 31 |
| პორტიმონენსე | 17 | 7 | 5 | 5 | 22:19 | 26 |
| მაია | 16 | 7 | 4 | 5 | 30:25 | 25 |
| კოვილია | 16 | 6 | 6 | 4 | 19:12 | 24 |
| მარკუ | 16 | 6 | 5 | 5 | 28:22 | 23 |
| პენაფიელი | 17 | 7 | 2 | 8 | 19:18 | 23 |
| ნავალი | 16 | 4 | 10 | 2 | 16:11 | 22 |
| ავეში | 16 | 6 | 4 | 6 | 18:17 | 22 |
| რიუ ავე | 16 | 6 | 4 | 6 | 19:20 | 22 |
| შავეში | 16 | 4 | 8 | 4 | 19:18 | 20 |
| ოვაირენსე | 17 | 6 | 2 | 9 | 27:31 | 20 |
| ფარენსე | 16 | 4 | 7 | 5 | 13:17 | 19 |
| მადეირა | 16 | 3 | 7 | 6 | 12:20 | 16 |
| ფელგეირაში | 16 | 5 | 1 | 10 | 13:24 | 16 |
| ლეცა | 16 | 3 | 6 | 7 | 11:23 | 15 |
| ლამაში | 16 | 2 | 3 | 11 | 11:32 | 9 |

## საბერძნეთი

**მე-13 ტური:** ირაკლისი — იონიკოსი 3:2; კალითეა — ქსანთი 0:1; არისი — აეკ 1:1; ოფი — პანათინაიკოსი 0:2; პანაჰაიკი — პროდეფტიკი 1:1; ოლიმპიაკოსი — იანინა 2:1; პანიონიოსი — პაოკ 2:0; აკრატიტოსი — ეგალეო 0:1

**მე-14 ტური:** პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი 3:2; კალითეა — ირაკლისი 1:0; იონიკოსი — არისი 0:1; ქსანთი — ოფი 1:4; აეკ — პანაჰაიკი 6:0; პროდეფტიკი — პანიონიოსი 0:1; იანინა — აკრატიტოსი 1:0; პაოკ — ეგალეო 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 14 | 8 | 5 | 1 | 32:8 | 29 |
| პანათინაიკოსი | 14 | 9 | 2 | 3 | 18:10 | 29 |
| პაოკ | 14 | 8 | 3 | 3 | 34:18 | 27 |
| აეკ | 14 | 7 | 4 | 3 | 26:13 | 25 |
| არისი | 14 | 7 | 4 | 3 | 17:13 | 25 |
| პანიონიოსი | 14 | 7 | 3 | 4 | 16:10 | 24 |
| ქსანთი | 14 | 5 | 7 | 2 | 17:10 | 22 |
| პროდეფტიკი | 14 | 5 | 6 | 3 | 16:12 | 21 |
| ირაკლისი | 14 | 6 | 3 | 5 | 16:14 | 21 |
| ეგალეო | 14 | 3 | 7 | 4 | 10:17 | 16 |
| ოფი | 14 | 3 | 6 | 5 | 15:16 | 15 |
| კალითეა | 14 | 3 | 5 | 6 | 11:15 | 14 |
| იანინა | 14 | 2 | 5 | 7 | 12:18 | 11 |
| იონიკოსი | 14 | 2 | 4 | 8 | 8:24 | 10 |
| აკრატიტოსი | 14 | 2 | 2 | 10 | 9:27 | 8 |
| პანაჰაიკი | 14 | 1 | 2 | 11 | 5:37 | 5 |

### თასის 1/8 ფინალი საპასუხო მატჩები

ოფი — პაოკ 1:1 (0:0); ეთნიკოსი (ასტერასი) — კალამარია 2:1 (2:0)



ლიონი — მარსელი. ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ჩემპიონატის მატჩის განსასჯელად უცხოელი არბიტრი მიიწვიეს. თან ვინ: განთქმული პიერლუიჯი კოლინა, ვინაც სტუმარი ფაბიო სელესტინი იტალიურად გააყვითლა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# რა?! პარეირა! BRAZIL! ის ამერიკაში

## ბრაზილიამ პასადენაში გაიარა



**თვის ბოლოს** რიო დე ჟანეიროში ტრადიციული განთქმული კარნავალი გაიმართება, რომლის ექოც მთელ ბრაზილიასა და ვალიაროთ, მთელ მსოფლიოს გადასწვდება. მაგრამ ახლა სხვა რამ გვაინტერესებს. კერძოდ კი ის, რომ კარნავალს ბრაზილია ეროვნული გუნდის ახალ მწვრთნელთან ერთად და ფრიად კმაყოფილი ხვდება — ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდუ ტეიშეირამ ქვეყნის უმთავრესი პოსტი კარლოს ალბერტო პარეირას უბოძა.

ორიოდე სიტყვა ახალ მწვრთნელზე:

დაიბადა 1943 წლის 27 თებერვალს. წვრთნიდა განის, ქუვეითის, ბრაზილიის, არაბთა გაერთიანებული საამიროების და საუდის არაბეთის ნაკრებებს. საკლუბო ფეხბურთში კი პარეირა „ფლუმინენსეს“, „ბრაგანტინუს“, „ვალენსიას“ (ესპანეთი), „ფენერბაჰჩეს“ (თურქეთი), „სან პაულუს“, „ნიუ იორკ- ნიუ ჯერსი მეტროსტარზის“ (აშშ), „ატლეტიკო მინეიროს“, „სანტოსის“, „ინტერნასიონალისა“ და „კორინთიანსის“ მესაჭედ მუშაობდა.

მოუგია: მსოფლიოს ჩემპიონატი, 1994 წელს ბრაზილიის ნაკრებთან ერთად, ამავე ქვეყნის ჩემპიონატი „ფლუმინენსეში“ მუშაობისას და ერთხელაც, 1996 წელს თურქეთის ჩემპიონატი.

ერთი სიტყვით, ლუიშ ფელიპე სკოლარის მიერ მოგებული მსოფლიოს თასი საიმედო ხელში, ნაკრებში რვანახევარი წლის მერე მეორედ მისულ პარეირასთან გადავიდა.

— ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა, სულ რაღაც რამდენიმე საათში ჩემი ცხოვრება სრულიად შეიცვალა — განაცხადა პარეირამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე — და რაკი ნაკრებში და კლუბში ერთდროულად მუშაობა შეუძლებლად მეჩვენება, გულისტკივილით ვტოვებ „კორინთიანსს“, ამას გულწრფელად ვამბობ.

1994 წელს პარეირამ ბრაზილიას ის ტიტული მოაპოვებინა, რომელსაც ქვეყანა მთელი 24 წელი ელოდა, გმირი გახდა და... დიდი ხნით ჩრდილს შეაფარა თავი. აბა, ასეთი მწვრთნელისთვის რა ბედენაა თურქეთის ჩემპიონობა.

სამაგიეროდ წინა სეზონი მისთვის იღბლიანი გამოდგა. 59 წლის პარეირას ხელში „კორინთიანსმა“ ჯერ რიო-სან პაულუს ტურნირი მოიგო (მნიშვნელობით საერთობრაზილიურ ჩემპიონატს არ ჩამოუვარდება), მერე ბრაზილიის თასიც დაისაკუთრა, ბოლოს კი ჩემპიონატის ფინალს უწია, სადაც „სანტოსთან“ დამარცხდა. სწორედ „კორინთიანსის“ ამ მიღწევათა გამო და, ცხადია, ძველი დამსახურებების გათვალისწინებით, რიკარდუ ტეიშეირამ 6 თვით უთავოდ დარჩენილი ნაკრების მწვრთნელად მისი კანდიდატურა შეარჩია.

აღვნიშნოთ, რომ პარეირას მაშინდელი და ახლანდელი დანიშვნებისას ვითარება განსხვავებულია. მაშინ ბრაზილია იმდენ ხანს ელოდა მსოფლიოს ჩემპიონობას, რომ სამწვრთნელო შტაბი უდიდესი წნეხის ქვეშ იყო. სხვათა შორის, ერთ ხანს პარეირაც უარობდა მუნდიალზე საყოველთაო კერპის, რომარიოს წაყვანას და ესეც პრობლემას უქმნიდა.

ახლა ვითარება ასეთია: ბოლო სამ მუნდიალზე ბრაზილია ფინალში გავიდა და მათგან ორი — პასადენაში და იოკოჰამაში — მოიგო.

— სკოლარის გუნდის ბირთვს შევინარჩუნებ — განაგრძო პარეირამ — მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძირითად შემადგენლობაში ახალბედებსაც ვანდობ ადგილს. შარშან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვეს სანტოსელმა თავდამსხმელებმა, რობინიომ და დიეგუმ. ისინი ჯერ ოცი წლისანიც არ არიან, მაგრამ უკვე მომწიფდნენ ნაკრებში სათამაშოდ.

მოსალოდნელია, რომ ნაკრების სათამაშო სქემაც შეიცვლება. სკოლარი გუნდს 3-5-2 სისტემით ათამაშებდა, პარეირა კი 4-4-2 სქემის ტრფიალია, თუმცალა მისი „კორინთიანსი“, საჭიროების შემთხვევაში, სამი ფორვარდითაც იბრძოდა.

პარეირას თანაშემწე ჟაირუ ლეალი გახდა, ხოლო ნაკრების კოორდინატორად 71 წლის მარიო ზაგალო დანიშნეს, ვინაც 1994 წლის მუნდიალზეც ამავე პოსტზე იყო და პარეირა-ზაგალოს ტანდემი ბრაზილიელებს კარგად აქვთ დაცდილი.

და ერთიც, კარლოს ალბერტო პარეირა არასდროს ყოფილა პროფესიონალი ფეხბურთელი, ზოგი კი ამტკიცებს, მთავარი ეგ არისო.

**ირაკლი ნინიძე**




# საუკეთესო სატურნინო

*წინა სეზონში მალიმალ ვარხსენებდით ბრაზილიური „სანტოსისა“ და არგენტინული „ინდეპენდიენტეს“ თუ „ბოკა ხუნიორსის“ ყმაწვილ ვარსკვლავებს, რომელთაც მთელი სამხრეთ ამერიკა აალაპარაკეს საუცხოო თამაშით. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ანუ წლის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელების დრო მოვიდა, იქაურებმა პარაგვაელი ხოსე სატურნინო კარდოზო არჩიეს, ვინაც მექსიკური „ტოლუკასთვის“ ირჯება და 2002 წელს 50 გოლით გამოირჩა. ამ საქმეს კი, ესე იგი, საუკეთესოს გამოვლენას ურუგვაული „ელ პასი“ უძღვება.*

*თუმც უფრო მნიშვნელოვანი ამბავი ისაა, რომლის ამსახველი ფოტოც თქვენგან მარჯვნივაა, პერუს ფეხბურთის ფედერაციაში ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ეროვნული გუნდი ბრაზილიელ პაულო აუტიორის ჩააბარეს და გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე უთუოდ მოხვედრა დაავალეს. ვერ ივარგებს და, მოხსნიან. ეს სათვალიანი ძიაკაცი კი ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო ველასკესი გახლავთ.*





სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 16.30 | 001 | მანჩესტერი-ჩელსი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2.02 |
| 19.00 | 002 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1.32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 003 | ბლექბერნი-ბირმინგემი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2.03 |
| 19.00 | 004 | ჩარლტონი-ბოლტონი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1.8 |
| 19.00 | 005 | ევერტონი-სანდერლენდი | 1.65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 19.00 | 006 | ლიდსი-ვესტ ბრომი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 007 | ნიუკასლი-სიტი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 21.35 | 008 | საუთჰემპტონი-ლივერპული | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 18.00 | 009 | არსენალი-ვესტ ჰემი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3.04 |
| | 010 | არსენალი-ვესტ ჰემი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 20.05 | 011 | ფულჰემი-მიდლსბრო | 2.15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი. 14 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 025 | ოლდჰემი-ბრენტფორდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები. 14 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 039 | როჩდეილი-ტორკი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 23.45 | 040 | ოქსფორდი-დარლინგტონი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 23.45 | 041 | სუონსი-ბური | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| | | **იტალია. სერია "A". XVII ტური** | | | | | | |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 21.00 | 055 | პარმა-ემპოლი | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 23.30 | 056 | რეჯინა-ბოლონია | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 18.00 | 057 | ატალანტა-რომა | 3,3 | 3,0 | 2,2 | 1,57 | 1,32 | 1,26 |
| 18.00 | 058 | ლაციო-უდინეზე | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 18.00 | 059 | მილანი-პიაჩენცა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 060 | მილანი-პიაჩენცა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 18.00 | 061 | მოდენა-ბრეშა | 2,2 | 3,0 | 3,3 | 1,26 | 1,32 | 1,57 |
| 18.00 | 062 | პერუჯა-ინტერი | 4,4 | 3,1 | 1,8 | 1,81 | 1,27 | 1,13 |
| 18.00 | 063 | ტორინო-კიევო | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 23.30 | 064 | კომო-იუვენტუსი | 3,2 | 2,9 | 2,3 | 1,52 | 1,33 | 1,28 |
| | | **იტალია. "C1 B". გადადებული მატჩი.** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 17:30 | 085 | კროტონე-ტერნანა | 1,95 | 2,7 | 4,6 | 1,13 | 1,36 | 1,7 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XVIII ტური. 18 იანვარი** | | | | | | |
| 23.00 | 095 | სოსიედადი-ბეტისი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 00.30 | 096 | ბარსელონა-ვალენსია | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 097 | დეპორტივო-მალაგა | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 20.00 | 098 | მალიორკა-ალავესი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 099 | მალიორკა-ალავესი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 20.00 | 100 | რაიო-ვალიადოლიდი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 20.00 | 101 | სევილია-მალაგა | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 20.00 | 102 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 20.00 | 103 | რასინგი-ბეტისი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 20.00 | 104 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 23.30 | 105 | რეალი-ათლეტიკი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 21.30 | 106 | ალბასეტე-სარაგოსა | 2,35 | 2,8 | 3,2 | 1,27 | 1,35 | 1,49 |
| 21.30 | 107 | ეიბარი-ხერესი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 15.00 | 108 | მურსია-ტენერიფე | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| 15.00 | 109 | ლევანტე-ალმერია | 2,25 | 2,8 | 3,4 | 1,24 | 1,35 | 1,53 |
| 20.00 | 110 | სალამანკა-ოვიედო | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 20.00 | 111 | ხეტაფე-ბადახოსი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 20.00 | 112 | ხერეზი-ტერასა | 2,1 | 2,8 | 3,8 | 1,19 | 1,35 | 1,61 |
| 20.00 | 113 | ლეგანესი-ფერროლი | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 20.00 | 114 | ელჩე-პოლიდეპორტივო | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 20.00 | 115 | კორდობა-ნუმანსია | 2,25 | 2,8 | 3,4 | 1,24 | 1,35 | 1,53 |
| 21.00 | 116 | ლას პალმასი-ნუმანსია | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2.04 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 117 | მარსელი-რენი | 1.65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 21.00 | 118 | სოშო-მონაკო | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 23.30 | 119 | სედანი-აიაჩო | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 23.30 | 120 | გენგამი-ისტრი | 2,3 | 2,9 | 3,2 | 1,28 | 1,33 | 1,52 |
| 23.30 | 121 | სტრასბური-ბორდო | 2,2 | 3,0 | 3,3 | 1,26 | 1,32 | 1,57 |
| 23.30 | 122 | პსჟ-ოსერი | 1,6 | 3,2 | 6,5 | 1,06 | 1,28 | 2,14 |
| 23.30 | 123 | ტრუა-ლილი | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 23.30 | 124 | ბასტია-ლიონი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.30 | 125 | ლანსი-ნანტი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.30 | 126 | მონპელიე-ნიცა | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXI ტური. 15 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 128 | მეცი-ლავალი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 23.30 | 129 | კანი-ნიორი | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 23.30 | 130 | კრეტეი-შატორუ | 2.15 | 2,8 | 3,6 | 1,21 | 1,34 | 1,57 |
| 23.30 | 131 | ლე მანი-რეიმსი | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 23.30 | 132 | ლორიანი-ისტრი | 1,6 | 3,2 | 6,5 | 1,06 | 1,28 | 2,14 |
| 23.30 | 133 | ნიორი-გრენობლი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 23.30 | 134 | სტ.ეტიენი-ამიენი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 23.30 | 135 | ვალანსი-გეუნიონი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.30 | 136 | ვალენსიენი-გენიონი | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 137 | მეცი-ტულუზი | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **17 იანვარი** | | | | | | |
| 01.00 | 138 | გიმარაეში-ლეირია | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 139 | სპორტინგი-ვარზიმი | 1,3 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,15 | 3,05 |
| | 140 | სპორტინგი-ვარზიმი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 01.15 | 141 | მარიტიმუ-ბენფიკა | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 142 | ვარზიმი-ფეირენსე | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 143 | ბრაგა-სანტა კლარა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 20.00 | 144 | ბეირა მარი-მორეირენსე | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 22.00 | 145 | ბოავიშტა-სეტუბალი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 00.15 | 146 | ბელენენსეში-პორტუ | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| | | **20 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 147 | ჟილ ვისენტე-ნასიონალი | 1,75 | 3.3 | 4.4 | 1.14 | 1,25 | 1,88 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 148 | სალგეიროში-პორტიმონენსე | 1,65 | 3,4 | 5.0 | 1,11 | 1,24 | 2.02 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 149 | ლამაში-მაია | 3,2 | 3,1 | 2,2 | 1,57 | 1,3 | 1,28 |
| 19.00 | 150 | ამადორა-ფელგეირაში | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 151 | ამადორა-ფელგეირაში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 19.00 | 152 | ფარენსე-პენაფიელი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 19.00 | 153 | შავეში-ლეცა | 1.65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 19.00 | 154 | ალვერკა-რიუ ავე | 1,45 | 3.6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 155 | ალვერკა-რიუ ავე 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 156 | ავეში-ოვარენსე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1.15 | 1,26 | 1.81 |
| 19.00 | 157 | კოვილია-მაიაშრა | 1.55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.30 | 158 | ნავალი-მარკუ | 1,9 | 2,9 | 4.4 | 1.14 | 1,32 | 1,74 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **17 იანვარი** | | | | | | |
| 23.00 | 159 | მუსკრონი-სტანდარდი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 23.00 | 160 | ბრიუგე-ლოკერენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 161 | ბრიუგე-ლოკერენი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.00 | 162 | ანტვერპენი-გენტი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 23.00 | 163 | სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 164 | სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი 0:1 | 2.05 | 3,2 | 2.45 | | | |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 18.00 | 165 | ლიერსი-ლომელი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 166 | ლიერსი-ლომელი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.00 | 167 | ანდერლეხტი-ვესტერლო | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1.01 | 1,13 | 3,04 |
| | 168 | ანდერლეხტი-ვესტერლო 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 169 | შარლერუა-მეხელენი | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| 18.00 | 170 | მონსი-ბევერენი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.00 | 171 | ლოკერენი-გენკი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი.** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 194 | ალოა-ფოლკირკი | 5,6 | 4,0 | 1,5 | 2,33 | 1,18 | 1,09 |
| | | **ინგლისი. თასი. III ეტაპი.** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 213 | ნორვიჩი-ბრაიტონი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 214 | ბარნსლი-გრიმსბი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.45 | 215 | ქრიუ-ბორნმუთი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 216 | დაგ ენდ რედი-პლიმუთი | 2.8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 23.45 | 217 | მილუოლი-კემბრიჯი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1.13 | 3,04 |
| 24.00 | 218 | რედინგი-უოლსოლი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 24.00 | 219 | სანდერლენდი-ბოლტონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 220 | ქოვენტრი-კარდიფი | 1.6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **იტალია. თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 221 | მილანი-კიევო | 1.6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 21.00 | 222 | ლაციო-ბარი | 1.25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 24.00 | 223 | იუვენტუსი-პერუჯა | 1.35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 224 | ვიჩენცა-რომა | 3,3 | 3,0 | 2,2 | 1,57 | 1,32 | 1,26 |
| | | **ესპანეთი. თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები.** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 00.30 | 225 | რეალი-ტერასა | 1,15 | 6.0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 226 | ალავესი-მურსია | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 227 | დეპორტივო-ალიკანტე | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 23.45 | 228 | ოსასუნა-ირუნი | 1.45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 24.00 | 229 | სევილია-ნუმანსია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 24.00 | 230 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 24.00 | 231 | ატლეტიკო-სელტა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1.02 | 1,19 | 2,57 |
| 24.00 | 232 | უელვა-ბეტისი | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| | | **საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/16 ფინალი** | | | | | | |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 18.00 | 233 | ნიმი-ვალენსი | 2.2 | 2,9 | 3,4 | 1,25 | 1,33 | 1,56 |
| | | **საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 234 | სოშო-ლიონი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 22.00 | 235 | სტ.ეტიენი-ლე მანი | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 23.45 | 236 | მარსელი-კრეტეი | 1,3 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,15 | 3,05 |
| | | **19 იანვარი** | | | | | | |
| 18.00 | 237 | გენგამი-ნანტი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 21.00 | 238 | ლილი-ნიმი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 21.00 | 239 | მეცი-ბორდო | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| 21.00 | 240 | ბასტია-მონაკო | 3,5 | 3,0 | 2,1 | 1,61 | 1,31 | 1,23 |
| | | **პორტუგალია. თასი. V ეტაპი** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 01.00 | 241 | ფეირენსე-გონდომარი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 01.00 | 242 | პორტუ-ჟილ ვისენტე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **ნიდერლანდები. თასი. 1/8 ფინალი. 15 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 243 | ოისტერვიკი-პსვ? | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 21.30 | 244 | ჰაარლემი-ფეიენოორდი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **შოტლანდია. თასი. II ეტაპი.** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 245 | ალბიონი-ქუინს პარკი | 1,7 | 3,6 | 4,2 | 1,15 | 1,21 | 1,93 |
| 23.45 | 246 | ჰამილტონი-ისტ ფაიფი | 1,85 | 3,5 | 3,5 | 1,21 | 1,21 | 1,75 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი.** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 16.30 | 601 | ავანგარდი-სპარტაკი | 1,2 | 6,5 | 7,0 | 1,01 | 1,02 | 3,37 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 602 | მაგნიტოგორსკი-ამური | 1,4 | 5,6 | 4,2 | 1,12 | 1,04 | 2,39 |
| 17.30 | 603 | ს.იულაევი-ცსკა | 1,7 | 5,3 | 2.8 | 1,28 | 1,05 | 1,83 |
| 18.30 | 604 | ლადა-აკ | 1,4 | 5,6 | 4,2 | 1,12 | 1,04 | 2,39 |
| 19.30 | 605 | სევერსტალი-კრილია | 1,25 | 6,0 | 6,0 | 1.03 | 1,03 | 3 |
| 19.30 | 606 | ნეფტეხიმიკი-ნოვოკუზნეცკი | 1,95 | 5,0 | 2.35 | 1,4 | 1,06 | 1,59 |
| 19.30 | 607 | აკ ბარსი-მეჩელი | 1,2 | 6,5 | 7,0 | 1.01 | 1,02 | 3,37 |
| 19.30 | 608 | ლოკომოტივი-მოლოტი | 1.15 | 7,5 | 7,5 | 1 | 1 | 3,75 |
| 20.00 | 609 | დინამო-სიბირი | 1,4 | 5,6 | 4,2 | 1,12 | 1,04 | 2.39 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი.** | | | | | | |
| | | **17 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 610 | ზლინი-სპარტა | 2,35 | 4,2 | 2,15 | 1,5 | 1,12 | 1,42 |
| 20.00 | 611 | პავლოვიცე-ტრჟინეცი | 5,6 | 5,3 | 1,3 | 2,72 | 1,05 | 1.04 |
| 20.30 | 612 | პლზენი-ვიტკოვიცე | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1.11 | 1,71 |
| 20.30 | 613 | ლიტვინოვი-ლიბერეცი | 1,75 | 4,2 | 3,1 | 1,23 | 1,11 | 1,78 |
| 20.30 | 614 | ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 2,3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |
| 21.00 | 616 | სლავია-ვსეტინი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 615 | კარლოვი ვარი-ზნოიმო | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 624 | დავოსი-კლოტენი | 1,75 | 4,2 | 3,1 | 1,23 | 1,11 | 1.78 |
| | | **18 იანვარი** | | | | | | |
| 21.00 | 625 | დავოსი-ლუგანო | 1,3 | 5,3 | 5,6 | 1,04 | 1,05 | 2,72 |
| 22.30 | 626 | ამბრი-ცუგი | 1,7 | 4.4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 22.30 | 627 | ბერნი-რაპერსვილი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1.85 |
| 22.30 | 628 | სერვეტი-ლანგნაუ | 2,25 | 4,2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| 22.30 | 629 | კლოტენი-ფრიბურგი | 1,55 | 4,6 | 3,8 | 1,15 | 1,1 | 2,08 |
| 22.30 | 630 | ლანგნაუ-ციურიხი | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,4 |
| | | **ჰოკეი. გერმანია. 14 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 637 | ჰამბურგი-კასელი | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,64 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 638 | ჰანოვერი-კიოლნი | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1.12 | 1,4 |
| | | **17 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 639 | მანჰაიმი-ნიურნბერგი | 1,6 | 4,4 | 3,6 | 1,17 | 1,1 | 1,98 |
| 22.30 | 640 | ჰამბურგი-ფრანკფურტი | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 22.30 | 641 | აისბერენი-ინგოლშტადი | 1,3 | 5,3 | 5,6 | 1,04 | 1,05 | 2,72 |
| 22.30 | 642 | აუგსბურგი-კასელი | 2.15 | 4,2 | 2,35 | 1,42 | 1,12 | 1.5 |
| 22.30 | 643 | დიუსელდორფი-შვენინგი | 1,3 | 5,3 | 5.6 | 1,04 | 1,05 | 2,72 |
| 23.00 | 644 | კრეფელდი-იზერლონი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1.85 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი. 14 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 651 | ჰვ 71-მოდო | 1,5 | 4,6 | 4,2 | 1.13 | 1,1 | 2,19 |
| 22.00 | 652 | ფრიოლუნდა-ლინშოპინგი | 1,3 | 5,3 | 5,6 | 1,04 | 1.05 | 2,72 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 653 | ბრიუნესი-ლულეო | 2,1 | 4,2 | 2,4 | 1,4 | 1,12 | 1.52 |
| 22.00 | 654 | ლეკსანდი-მალმო | 1,8 | 4,2 | 2,9 | 1,26 | 1,11 | 1,71 |
| 22.00 | 655 | ჰვ 71-სოდერტელიე | 1,6 | 4,4 | 3,6 | 1,17 | 1,1 | 1,98 |
| 22.00 | 656 | ფერიესტადი-ტიმრო | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 22.00 | 657 | იურგორდენი-ლინშოპინგი | 1.4 | 4.8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| 22.00 | 658 | ფრიოლუნდა-მოდო | 1,4 | 4.8 | 4,8 | 1.08 | 1,08 | 2,4 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 20.30 | 665 | ილვესი-ჰელსინკი | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 20.30 | 666 | იუვასკიულა-ტურკუ | 1,9 | 4,2 | 2,7 | 1,3 | 1,11 | 1,64 |
| 20.30 | 667 | ტაპარა-ილვესი | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 04.00 | 681 | ოტავა-ტამპა ბეი | 1,65 | 3.6 | 3,8 | 1.13 | 1,15 | 1,84 |
| 04.30 | 682 | ტორონტო-კალგარი | 1,8 | 3,5 | 3,3 | 1,18 | 1,16 | 1,69 |
| 05.00 | 683 | მინესოტა-ბუფალო | 1,8 | 3,5 | 3,3 | 1,18 | 1,16 | 1,69 |
| 06.00 | 684 | ფინიქსი-სტ.ლუისი | 2,45 | 3,4 | 2,3 | 1,42 | 1.18 | 1,37 |
| 07.00 | 685 | ვანკუვერი-ნეშვილი | 1,65 | 3,6 | 3,8 | 1,13 | 1,15 | 1,84 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 21.00 | 748 | ცსკა-ვილეურბანი | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 21.00 | 749 | შალონსკი-კინდერი | 2,3 | 12,0 | 1,45 | 1,93 | 1 | 1,29 |
| 21.30 | 750 | ულკერი-რეალი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1.41 | 1 | 1,71 |
| 23.30 | 751 | პარტიზანი-ოლიმპიაკოსი | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 23.00 | 752 | პანათინაიკოსი-სიენა | 1,3 | 12,0 | 2.8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 23.30 | 753 | ტაუ-ბუდუჩნოსტი | 1,1 | 12,0 | 5.0 | 1 | 1 | 3,52 |
| 23.30 | 754 | ციბონა-ბენეტონი | 1,95 | 12,0 | 1,65 | 1,67 | 1 | 1,45 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 755 | ალბა-აეკ | 1,35 | 12,0 | 2.6 | 1,21 | 1 | 2,13 |
| 23.30 | 756 | სკავოლინი-პო ორტესი | 1,25 | 12,0 | 3.1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| 23.30 | 757 | ბარსელონა-ეფესი | 1,25 | 12,0 | 3.1 | 1.13 | 1 | 2,46 |
| 23.30 | 758 | ოლიმპია-ჟალგირისი | 1,15 | 12,0 | 4.0 | 1,04 | 1 | 3 |
| 23.30 | 759 | უნიკახა-მაკაბი | 1,65 | 12,0 | 1,95 | 1,45 | 1 | 1,67 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 04.00 | 760 | ვაშინგტონი-ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |
| 04.30 | 761 | ნიუ ორლეანი-ჩიკაგო | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 04.30 | 762 | მაიამი-დეტროიტი | 2,3 | 12,0 | 1,45 | 1,93 | 1 | 1,29 |
| 05.00 | 763 | მილუოკი-ატლანტა | 1,35 | 12,0 | 2,5 | 1,21 | 1 | 2,06 |
| 05.30 | 764 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,35 | 12,0 | 2,5 | 1,21 | 1 | 2,06 |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

**18.01 16.30 2601 ინგლისი პლ. (XXIV ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**18.01 21.00 2602 იტალია A (XVII ტური)**
**23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9**
**18.01 23.00 2603 ესპანეთი Iდ. (XVIII ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**14.01 23.45 2604 საფრანგეთი Iდ. (XXII ტური)**
**22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9**
**17.01 01.00 2605 პორტუგალია Iლ.(XVIII ტური)**
**23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9**
**17.01 23.00 2606 ბელგია Iდ. (XVIII ტური)**
**26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

*შობა-ახალ წელს ნბა არ ისვენებს. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში იმხელა ფული და ინტერესები ტრიალებს, რომ შეუძლებელია ამ გასართობი კონვეირის გაჩერება, თუნდაც საყოველთაო უქმობისას. ამერიკელთა საახალწლო სუფრის რეპერტუარი მსუქან ინდაურზე დასობილი დანა-ჩანგლის იქით იშვიათად მიდის. იქ ყანწების ტრიალს ტელევიზორის ყურება ურჩევნიათ. ხალხია და გუნება. ტელევიზორში კი ცოცხალ კალათბურთზე უკეთესს რას ნახავ? ამიტომ 270-მილიონიანი ერის გასართობად მომართული ნბა მუშაობდა 25 დეკემბერსაც, 1 იანვარსაც, ორშიც, სამშიც, სულ. ჩვენ ცოტა ჩამოვრჩით ამერიკელებს, აბა, ვცადოთ და დავეწიოთ მათ*



ვლადიმერ სტეფანიამ კარგად შებოჭა შაკილ ონილი, შაკმა სტეფანიას 10 ქულის საპირისპიროდ თავის წილად მხოლოდ 15 გააკეთა

AP ლოს ანჯელესიდან




ნიკა ცქიტიშვილი სიეტლელ პრედრაგ დრობნიაკს არ შეეპუა

AP სიეტლიდან

# ამერიკული საცივი

## ინდაური კალათბურთის საწებლით

### ქართველები

ორ ქართველ ნბა-ელს, ნიკა ცქიტიშვილს და ვოვა სტეფანიას ახალ წლებზე ოფლის ღვრას ვინძლო რამდენიმე დღით შინ ჯდომა და მშობლების მზრუნველი ხელით მომზადებული საცივის დაგემოვნება ერჩივნათ, მაგრამ ამერიკელთა რკინის რეჟიმთან რას გააწყობდნენ? სტეფანიას „მაიამიცა" და ცქიტიშვილის „დენვერიც" თამაშობდნენ 30 დეკემბერს. „მაიამის" 1 იანვარსაც კი მოუწია მატჩმა, ეგაა, კალენდარმა როგორღაც ორივე ქართველს ააცილა 7 იანვარს, მართმადიდებლური შობის დღეს მოედანზე გასვლა. ცქიტიშვილმა, რომელსაც 25 დეკემბერს არამართმადიდებლური შობა არ ალუნიშნავს, 7 იანვარს შინ მიიწვია „დენვერის" გენერალური მენეჯერი კიკი ვანდევეიჯი და დედის, ქალბატონ გულიკოს გაკეთებული ხაჭაპური და ნუგბარი გაასინჯა.

ვანდევეიჯი ალბათ კმაყოფილი დარჩა ქართული სამზარეულოს გაცნობით, ამასთან მას არც ნიკას თამაში წაუხდენდა საახალწლო განწყობას. 28 დეკემბერს ჩემპიონ „ლეიკერსთან" შეხვედრაში ცქიტიშვილმა სეზონის (იგივე კარიერის) ორი რეკორდი დაამყარა — ჩააგდო 12 ქულა და გააკეთა ოთხი შედეგიანი გადაცემა. ნიკამ ყველა შემდგომ თამაშშიც ყოჩაღად იბურთავა, ერთი შეხვედრაც არ დაუმთავრებია უქულოდ.

შემდგომი შეხვედრებიდან კი აღსანიშნავია 8 იანვრის დენვერული მატჩი, რომელიც ოკეანგაღმელთათვის იქნებ რიგითი კალენდარული თამაში იყოს, მაგრამ არა ნბა-ელი ქართველებისთვის. 8 იანვარს დენვერში ერთმანეთს შეხვდნენ ცქიტიშვილის „ნაგიტსი" და სტეფანიას „მაიამი ჰითი". ორივე ქართველმა 4-4 ქულა შეაწია თავის გუნდს, გამარჯვება კი მასპინძელ „დენვერს" დარჩა — 86:76.

სტეფანიას რამდენიმე სოლიდური მატჩი ჰქონდა. ვოვამ სამ შეხვედრაში შეასრულა ორმაგი დუბლი. 27 დეკემბერს „ბოსტონის" 90:70 ძლევაში ჩვენებურმა 14 ქულით და 14 მოხსნით არცთუ უმნიშვნელო წილი დაიდო; 1 იანვარს ვოვამ სეზონში სარეკორდო, 16 ქულა და 13 მოხსნა მიაშველა „მაიამის" და თავის გუნდს 107:73 დაამარცხებინა „ატლანტა"; სულ ბოლოს, 12 იანვარს კი სტეფანიამ 10 ქულა ჩაუგდო და 12 ბურთი მოუხსნა შაკილ ონილის „ლეიკერსს". ამჯერად მისი „მაიამი" 81:106 დამარცხდა. როგორც „დენვერმა", ასევე „მაიამიმ" ამ ბოლო დღეებში სამ-სამი შეხვედრა მოიგეს, მაგრამ ეს გამარჯვებები არ ეყოთ თავიანთი დივიზიონების ცხრილთა ფსკერიდან ასაგლეჯად.

### რეკორდები, შედეგები...

ჯორდანი რომ 40 წელს მიტანებულიც საშიშია (ცხადია, მეტოქეთათვის), ამას მისი შედეგები ამტკიცებენ. 2003 წელი ჯერ ხეირიანადაც არ ჩამომდგარიყო, რომ კალათბურთის მოხუცმა ღმერთკაცმა აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდ „ინდიანა პეისერზს" და მის ახალგაზრდა, „თავხედ" მოთამაშეებს აჩვენა, თუ ვინ არის პირველი. მან სეზონში სარეკორდო, 41 ქულა ჩააგდო და თავის „ვაშინგტონს"-ის თამაში მოაგებინა. მაიკლი სხვა მატჩებშიც ჯორდანობდა — „ინდიანას" წაქცევის შემდეგ სხვებსაც არ აკლებდა ხელს და აკი 2003 წლის პირველი კვირის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს აღმოსავლეთ კონფერენციაში. ჯორდანი კარიერის განმავლობაში 24-ედ გახდა კვირის რჩეული. ამ მხრივ ის აბსოლუტური რეკორდსმენია.

* * *

ბებერ ჯორდანზე არანაკლებ გამოიჩინა თავი მისი უპაეროვნესობის ჭაბუკმა მემკვიდრემ კობი ბრაიანტმა. სისხლსავსე კობიმ 7 იანვარს „სიეტლ სუპერსონიქსს" 12 სამქულიანი ჩაუგდო (სულ 45 ქულა გააკეთა) და ნბა-ს ყველა დროის რეკორდსმენი შეიქნა. ძველი რეკორდი, ერთ თამაშში ჩაგდებული 11 სამქულიანი, აწ პენსიაზე გასულ სნაიპერ დენის სკოტს ეკუთვნოდა.

* * *

„იუტა ჯაზის" ქომაგებს შეუძლიათ, იტრაბახონ — მათ გუნდში ნბა-ს ყველა დროის სამი საუკეთესო გამთამაშებლიდან ორი თამაშობს. ამათგან ერთი, რა თქმა უნდა, უბერებელი ჯონ სტოქტონია, ვისაც ხანგრძლივ კარიერაში 15 ათასზე მეტი პასი გაუკეთებია და ამ შედეგით ვინძლო სამუდამოდაც დარჩეს ნბა-ს ყველა დროის რჩეულ მეპასეთა სიის მწვერვალზე. მეორე კი ასევე ვეტერანი მარკ ჯექსონი გახლავთ, ვინც ამ სეზონის დასაწყისში სუსტმა „დენვერმა" გამოაგდო, მაგრამ „იუტამ" შეიკედლა და სტოქტონს შემცვლელად დაუნიშნა. ჯექსონი ახლა დამაბუნებულა, თორემ ადრე ვარსკვლავებს წყვეტდა და პასებს ბლომად იხვეჭდა. ასე რომ, შედეგიანი გადაცემები მასაც ბლომად დაუგროვდა და მხოლოდ სტოქტონსა და ლეგენდა მეჯიქ ჯონსონს ჩამორჩება. მისი ამბავი კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ამ ორიოდ დღის წინ ჯექსონმა კარიერაში ნახვეჭი პასების რიცხვი 10 ათასს ააცილა და სულ 10008 მოუგროვდა. ისე კი მას მეჯიქ ჯონსონის ჩამოტოვებაც შეუძლია. მეჯიქს 12-წლიან კარიერაში 10141 პასი შეუგროვებია და ჯექსონს მის გასასწრებად ამ სეზონის ჯანმრთელად მოლევაც ეყოფა.

### სკანდალი

ძონძროხა შაკილ ონილსა და კნაჭა იაო მინგს შორის მომხდარს სკანდალი არც ეთქმის. მეტიც, ეს კამათიც არ ყოფილა. უბრალოდ, როყიო შაკმა თავისი ღრმა აზრების მორიგი ვულკანის ამოფრქვევისას გაკენწლა აზიელები და მათ შორის „ჰიუსტონის" ჩინელი ცენტრი იაო მინგიც. ჟურნალისტები კი შეეცადნენ, შაკილის სიტყვების რახარუხიდან სკანდალი აეგორებინათ, მაგრამ ხელი მოეცარათ. აშშ-ს ჩინური წარმოშობის გავლენიანი მოქალაქეების ზეწოლით ონილმა რამდენჯერმე საქვეყნოდ მოიბოდიშა და თავი იმართლა, მე ხუმარა კაცი ვარ, რაც ვთქვი, მხოლოდ ხუმრობითო.

ჩვენში დარჩეს და შაკს ბევრიც არაფერი უთქვამს. ეგაა, ერთ-ერთ ინტერვიუში მან მინგს გამოაჯავრა. ვეება შაკი ჩინური აქცენტით აჩლიფინებულა და გაზეთის ფურცლებიდან მინგი გაუკენწლავს — „იაო მინგ, აბა, თუ შეგიძლია ამის თქმა — ჩინგ-ჩონგ-იანგ-ვაჰა-შონგ!"

მე ვხუმრობდი და თუ ვინმეს ამით ვაწყენინე, პატიება მითხოვიაო — უთქვამს შაკს მოგვიანებით.

იაო მინგი, ცხადია, გამოეპასუხა მოქილიკეს — „ჩვენი ქვეყნების კულტურებს შორის დიდი განსხვავებაა. სამყარო თანდათან პატარავდება, სხვადასხვა კულტურები ერთმანეთს უფრო და უფრო მჭიდროდ ეხებიან და მე მგონი, აუცილებელია სხვა კულტურასთან შეხებისას ეთიკური ნორმები დავიცვათ." ოფიციალურ სიტყვას რომ მორჩა, მინგმა, რომელიც ახლა სწავლობს ინგლისურ ენას, თავად იხუმრა საკუთარ თავზე და ერზე — საერთოდ ჩინელებს გვიჭირს სწავლა. ამ მხრივ მეც დიდი პრობლემები მქონდა ბავშვობაშიო.

### ტრავმები

წყეული ტრავმები მანამ მოუწამლავენ კალათბურთელებს ცხოვრებას, ხოლო მათ გულშემატკივრებს გუნებას, სანამ კალათბურთი იარსებებს. დაშავებულმა ძვალ-კუნთოვანმა სისტემამ არაერთი ვარსკვლავი გამოაკლო ნბა-ს მოედნებს. იაო მინგსა და ახალორლეანელ ბაირონ დევისს კიდევ რა უჭირთ, ტრავმები რამდენიმე დღეში მოიშუშეს, ტორონტოელმა ვინს კარტერმა და ორლანდოელმა გრანტ ჰილმა კი მოსვენება დაკარგეს.

მფრინავმა ტორონტოელმა ვინს კარტერმა ამ სეზონში უკვე 25 თამაში გამოტოვა და იმედი ჰქონდა, ამ პარასკევს „ბოსტონთან" მაინც გავიდოდა მოედანზე, მაგრამ ექიმებმა არ გაუშვეს. ნაადრევად აცუნდრუკებულს „მიახარეს", კიდევ სამ კვირას ვერ ითამაშებო. ასე რომ, ჩაიძირა მისი „ტორონტო" და ეგაა.

გრანტ ჰილს წყეულმა კოჭმა ორი სეზონი გააცდენინა და არც ახლა აძლევს ფეხის გაშლის და გაფრენის საშუალებას. ორლანდოელმა ფორვარდმა თითქოს უწამლა სატკივარს, მაგრამ ბოლომდე ვერა. ახლაც, ახალ წლებზე, ორი კვირით დაისვენა და იმაზე ოცნებობს, ეს ორი კვირა ორ თვედ არ ექცეს.

ასევე ტრავმიანობას შეუწუხებია „ფინიქსის" ყოფილი სუპერვარსკვლავი ანფერნი ჰარდევეი. ის ამ რამდენიმე დღის წინ დაიმტვრა და 6-8 კვირას ვერაფრით დაეხმარება არიზონელებს.

**ირაკლი ფირაშვილი**




მაიკლ ჯორდანი: მაიკლ ჯორდანი ვარ!

REUTERS ვაშინგტონიდან

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 27 | 10 | 73,0 |
| ბოსტონი | 20 | 16 | 55,6 |
| ფილადელფია | 19 | 18 | 51,4 |
| ვაშინგტონი | 19 | 18 | 51,4 |
| ორლანდო | 20 | 19 | 51,3 |
| ნიუ იორკი | 13 | 21 | 38,2 |
| მაიამი | 12 | 25 | 32,4 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 27 | 10 | 73,0 |
| დეტროიტი | 24 | 11 | 68,6 |
| ნიუ ორლეანი | 20 | 19 | 51,3 |
| მილუოკი | 16 | 20 | 44,4 |
| ატლანტა | 14 | 22 | 38,9 |
| ჩიკაგო | 13 | 23 | 36,1 |
| ტორონტო | 9 | 28 | 24,3 |
| კლივლენდი | 8 | 30 | 21,1 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 31 | 5 | 86,1 |
| სან ანტონიო | 23 | 14 | 62,2 |
| იუტა | 21 | 15 | 58,3 |
| ჰიუსტონი | 20 | 15 | 57,1 |
| მინესოტა | 19 | 17 | 52,8 |
| მემფისი | 11 | 25 | 30,6 |
| დენვერი | 9 | 27 | 25,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 28 | 10 | 73,7 |
| ფინიქსი | 24 | 14 | 63,2 |
| პორტლენდი | 21 | 14 | 60,0 |
| ლეიკერსი | 17 | 20 | 45,9 |
| სიეტლი | 16 | 20 | 44,4 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 21 | 41,7 |
| კლიპერსი | 14 | 23 | 37,8 |

## ვაჟების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- ჰიუიტი (1) — ლარსონი
- მამიტი — ლარკემი
- კარლსენი — სტეპანეკი
- არაზი — კუერტენი (30)
- ელ აინაუი (18) — გიმელსტობი
- კუცენკო — ლუბიჩიჩი
- ჯინეპრი — როსე
- ლოპესი — კორეჩა (15)
- როდიკი (9) — კრაიანი
- სა — ვოინია
- ორნა — ვინსენტე
- ბეკი — ჩელა (19)
- იუჟნი (25) — გასკერი
- ზირიანი — მირნი
- როშუ — პასკუალი
- სპადია — ნოვაკი (7)
- საფინი (3) — სლოიტერი
- მონტანესი — პუერტა
- რიდი — კრაიჩეკი
- პორტასი — შიუტლერი (31)
- ბლეიკი (23) — ვანეკი
- კარა — აკასუსო
- მარტინი — ბოგომოლოვი
- ვარლე — გონსალესი (13)
- ნალბანდიანი (10) — გოლმარი
- კრაბი — ილიე
- დიუპუა — დიასი
- ჰრბატი — მალისი (20)
- კუბეკი (32) — ვინსიგერა
- ნოული — ჰენრი
- ბურგსმიულერი — ბალსელსი
- სარეტა — ფედერერი (6)
- მოია (5) — ნორმანი
- იოჰანსონი — ფიში
- სანგვინეტი — კრატოხვილი
- ფერეირა — რობრედო (26)
- გაუდიო (17) — ენკვისტი
- კალერი — სარგსიანი
- ფილიპუსისი — ვერკერკი
- მელცერი — შრიჩაფანი (11)
- შალკენი (16) — ბრაზინგტონი
- ანჩიჩი — ვასკე
- სავოლტი — ლუშაკი
- ფურლანი — პაველი (21)
- სანტორო (28) — ფაუ
- არტურსი — დანიელი
- გაუდენცი — ლინარი
- სკილარი — ფერერო (4)
- კოსტა (8) — პრინოშილი
- დრეიპერი — კიმი
- მანტია — საბალეტა
- ლოდრა — გემბილი (27)
- ლაპენტი (24) — ბენეტო
- სანჩესი — პლესი
- ვაცეკი — კუჩერა
- მელიგენი — გროჟანი (12)
- კანიასი (14) — ვოლჩკოვი
- კორია — კლავეტი
- ნიემინენი — დავიდენკო
- მორისონი — კაფელნიკოვი (22)
- ესკუდე (29) — მოტომურა
- როშუ — **ლაბაძე**
- ფერერი — ჰიუნგ-ტაიკი
- ვაალი — აგასი (2)

## ავსტრალიის ღია პირველობა 2003

# ცხელი ნაძვის ხე

## ახალ წელს ყველა ავსტრალიას უტრიალებს

*სეზონიდან სეზონამდე მოსათენთად და მოსადუნებლად მეჩოგნეებს სულ უფრო მცირე დრო რომ რჩებათ, ამაზე შარშანაც ხშირად გვისაუბრია. რიგიანად დასვენება და მთელი წლის განმავლობაში უშურველად ნახარჯი ენერგიის ბოლომდე აღდგენა მათ ვერც ამ დეკემბერ-იანვრის მიჯნაზე მოასწრეს — ხსოვნიდან შარშანდელი ფაილებიც არ ამოფერმკრთალებულიყო, მსოფლიო საჩოგნეთი კორტებს რომ მოუბრუნდა და ჩვენი ნასაცივარი ყურადღებაც თავისკენ მიიპყრო.*

*საახალწლო-საშობაო არდადაგები ოდნავ სხვა დროს რომ გაგვსრულებოდა, ამ დროისთვის მომთავრებულ ტურნირებზე ცალ-ცალკე და საკადრისად გიამბობდით, მაგრამ — რაკილა კორტზე ჩვენი დაბრუნება მელბურნში წლის პირველი სლემტურნირის, ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებას დაემთხვა — უკანასკნელი ორი კვირის მოვლენებს სწორედ საავსტრალიო კონტექსტში გააზლებთ. ეგ მით უფრო, რომ ადრესაიანვრო ტურნირებზე მეჩოგნენი სწორედ მელბურნისთვის ითელებიან.*



გუსტავო კუერტენი



კიმ კლაისტერსი

### მოთელვა

კაცებმა სეზონი ყატარის მთავარქალაქ დოჰაში გახსნეს, სადაც საპრიზო ფონდად მილიონი დოლარი ეგულებოდათ. იქ ყველას 26 წლის ავსტრიელმა შტეფან კუბეკმა აჯობა, ვინაც ტურნირი სეტისწაუგებლად განვლო და ფინალში (4 იანვარს) ამერიკელ ჟანმაიკლ გემბილს მოუგო 6:4, 6:4. ეს კუბეკის მესამე საკარიერო ტიტული გახლდათ.

5 იანვარს კაცებმა ერთბაშად ორი ფინალი ჩაითამაშეს — ადელაიდურში რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ ბელგიელ კრისტოფ ფლიგენს სძლია 6:2, 7:6 (7:3) და კარიერის პირველი ტიტული მიითვალა, ჩენაიურში (ინდოეთი) კი შარშანდელი სეზონის აღმოჩენამ, 23 წლის ტაილანდელმა პარადორნ შრიჩაფანმა გაილაღა. შრიჩაფანმა, ვინაც შარშან მაგარსაფარზე ყველაზე მეტი, 40 შეხვედრა მოიგო, ამჯერად სლოვაკი კაროლ კუჩერა დაამარცხა 6:3, 6:1. ახლა მის ტიტულზარდახშაში უკვე სამი ჯილდო ინახება.

ზედ მელბურნამდელი ტურნირები კი ამ უქმეებზე გასრულდა. სიდნეიში ყველასთვის მოულოდნელად სამხრეთკორეელმა ლი ჰიუნგ-ტაიკმა იმარჯვა. კორეელი მეკარტოფილე ფერმერის ამ ჯიუტმა და გაუტეხელმა ბიჭმა, ვინაც, სხვათა შორის, შრიჩაფანის ახლო ძმაკაცია და წლეულს მისდარად თავის გამოჩენას გვპირდება, ძალზედ დაძაბულ ფინალში თვით ესპანელი ხუან კარლოს ფერერო, მსოფლიოში მეოთხე ჩოგნის მქნეველი დათრგუნა — 4:6, 7:6 (8:6), 7:6 (7:4). 27 წლის ლი პროფესიულად უკვე 7 წელია ჩოგნაობს, მაგრამ აქამდე ერთი ქეციანი ტიტულიც ვერსად მოეგო. მის ამ გამარჯვებას კორეაში გამორჩეული სიხარულით შეხვდნენ, რაკილა რაგინდარა ტურნირზე გამარჯვება ლიმდე ერთ მათიანსაც არ მოჰხერხებოდა.

საუცხოო სასლემტურნირო განწყობილება დაიკვება და პირადი ტიტულმონაგარი 19-მდე გაიზარდა ოკლენდურ ფინალში სლოვაკ დომინიკ ჰრბატის 6:3, 7:5-ით მძლეველმა გუსტავო კუერტენმა. საგზის მეროლანგაროსე ბრაზილიელი ჩაუქ მეთიხნარედ ითვლება, თუმცა მისმა ახალზელანდიურმა გარჯამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მისი დახვეწილი, ნატიფი სიმძლავრე მაგარსაფარსაც რიგიანად ჰგუობს. ჰარდზე მას აწ უკვე ხუთი ტიტული დაეკვეხება.

ახლა ამ ორი კვირის განმავლობაში ქალთაგან გამორჩეულებზეც ვთქვათ. სეზონის პირველი ტიტულები 4 იანვარს ბერძენმა ელენი დანილიდუმა (ოკლენდი) და ფრანგმა ნატალი დეშიმ (გოლდ კოსტი) ირგუნეს. 20 წლის ელენიმ კარიერის მეორე ტიტული კორეელ იოონ ძეონ ჩოსთან 2-საათიანი ბულრაობის (6:4, 4:6, 7:6 (7:2) შემდეგ მოიპოვა, გამოცდილმა დეშიმ კი კარიერის პირველი ავსტრალიური ჯილდო შვეიცარიელ ნინველა მარი-გაინე მიქაელიანთან ნაფინალევს (6:3, 3:6, 6:3) მიიღო.

10 იანვარს დამთავრდა ტურნირი ჰობარტში (ავსტრალია), სადაც, ადგილობრივ ქომაგთა გასახარად, 21 წლის ავსტრალიელი ალისია მოლიკი კარიერის პირველ ფინალში 30 წლის ამერიკელ ემი ფრეზერს გაუსწორდა 6:2, 4:6, 6:4.

უკანასკნელი ფინალები კი გასულ შაბათს შედგა — სიდნეიში ბელგიელმა კიმ კლაისტერსმა ამერიკელი ლინდსი დევენპორტი დაიმორჩილა 6:4, 6:3 და კარიერის მე-11 ტიტული მოირეწა. ლეიტონ ჰიუიტის ფუმფულა გულის ვარდი ამ ბოლო დროს მართლაც საუცხოოდ ირჯება და, სტატისტიკას თუ დავეკითხებით, უკანასკნელი 20 მატჩიდან მხოლოდ ერთი დათმო. მეორე „საშაბათო" ტიტულის ბედი კი კანბერაში გაირკვა — იქ ამერიკელმა მეგენ შონესიმ იტალიელი ფრანჩესკა სკიავონე გააწბილა 6:1, 6:1 და ახლა უკვე სამ საკარიერო ტიტულს მოიძევს.

ხოლო სანამ საკუთრივ სამელბურნო ამბებზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვა ჰოპმანის თასზეც უნდა ითქვას, მით უფრო, რომ მასზე ერთმანეთის პირისპირ წარდგომა ავსტრალიის ღია პირველობის უმთავრეს ფავორიტებს — კაცთა ამქრის ავსტრალიელ უსტაბაშ ლეიტონ ჰიუიტსა და მთავარდიაც სერენა უილიამსს მოუხდათ. ჰიუიტი და სერენა, ცხადია, ერთმანეთს უშუალოდ არ დაპირისპირებიან — ისინი ერთმანეთს „გუნდურად" დაუპირისპირდნენ.

ჰოპმანის თასი, შეგახსენებთ, შერეულ-გუნდური ტურნირია, სადაც პირველობას ერთმანეთს თითო-თითო ქალ-კაცისაგან შემდგარი „ეროვნული ნაკრებები" ეცილებიან. თასის წლევანდელი გათამაშების ფინალში — და ეს პერთში (ავსტრალია) 4 იანვარს მოხდა — ამერიკელებმა მასპინძლებს 2:0 მოუგეს. სერენა უილიამსმა ალისია მოლიკის მოშთობას 50 წუთზე მეტი არ მოანდომა — 6:2, 6:3, ჯეიმს ბლეიკი კი ლეიტონ ჰიუიტს 64 წუთში მოერია — 6:3, 6:4. თუკი სერენას იოლ გასეირნებას ყველა ელოდა, ბლეიკისგან ჰიუიტის ასეთი დაბრიყვება ცოტა ძნელად გასაგები იყო. მათი წინა ოთხი შეხვედრიდან ოზბიჭს ოთხივე მატჩში ემარჯვა.

### ფავორიტები

წინა სეზონში სამი სლემტიტულის მომგებ სერენა უილიამსს მხოლოდ ორი კვირა აშორებს იმისგან, რათა პირადი „დიდი სლემი" გაასრულოს. ოღონდ საამისოდ ამ ორი კვირის განმავლობაში შვიდი მატჩის მოგება სჭირდება.

მაშინ, როცა სხვები საამსეზონოდ შედარებით მოკრძალებულ გეგმებს ისახავენ ან — ყოველ შემთხვევაში — სხვათა გასაგონად მაინც თავმდაბლობენ, სერენას ბაქი-ბუქს ზღვარი არ უჩანს. „მსურს, 2003 წელი დაუმარცხებლად ჩავითამაშო" — ამბობს იგი.

სერენა: „ჩინებულად დავისვენე და თავს დედალი ავაზასავით ვგრძნობ. რასაკვირველია, მელბურნში მხოლოდ მოსაგებად ჩავდივარ. ყველამ უნდა იცოდეს — ჩემი საუკეთესო ჩოგბურთის თამაში ჯერ არ დამიწყია. ამას მალე განახებთ".

ჰოპმანის თასის შემდეგ სერენა არც ერთ მოსათელ ტურნირზე აღარ გამოსულა. თავის პირველ მელბურნულ მატჩს ის დღეს, ფრანგი ემილი ლუას წინააღმდეგ გამართავს.

მისმომდევნო ჩოგანს კვლავაც მისი უფროსი დაიკო, ვინუსი

# ავსტრალიის ღია პირველობა 2003

გააქნევს. ამიტომ შანსი გვაქვს, შარშანდელი როლან გაროსის, უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ ზედიზედ მეოთხე შიდაუილიამსური ფინალი ვიხილოთ.

გეხსომებათ, 2002 წლის სეზონი ვინუსმა უიღბლოდ დაასრულა — სეზონის დამაგვირგვინებელი ლოსანჯელესური პირველობის ნახევარფინალში, სადაც კიმ კლაისტერსთან მარცხდებოდა, მტკივანმა ფეხმა მატჩის გაგრძელების საშუალება არ მისცა და კორტი დაატოვებინა.

მას შემდეგ ვინუსს ერთი მატჩიც არ უთამაშია და საქმეში ჩახედული ხალხის აზრით, თუკი მას რამე ემუქრება, ეგ სწორედ უთამაშებლობა უნდა იყოს.

ვინუსის შესაძლო ბობოლა მეტოქეთაგან ყველაზე სახიფათონი მეხუთე ნომრად განთესილი ჟუსტინ ენენი და ორიწლისწინანდელი ჩემპიონი, მეცხრე ნომრად განთესილი ლინდსი დევენპორტი არიან, სერენას კი ფინალამდე მისვლაში ხელი შეიძლება კიმ კლაისტერსმა (4) და მონიკა სელეშმა (6) შეუშალონ.

ამათგან ახლა ყველაზე კარგ ფორმაში კლაისტერსია, რომლის საიმკვირაო სიდნეურ წარმატებაზე ზემოთ გაუწყეთ. „შარშან გაცილებით უარესად ვთამაშობდი — იგონებს კიმი — მაგრამ მაინც ნახევარფინალს ვუწიე. ახლა კი მართლაც მაგარ ფორმაში ვარ და ტურნირის სტარტზე ეს საოცარი თვითრწმენით აღმავსებს".

საბრძოლველადაა მომართული ლინდსი დევენპორტიც, ვინაც ერთი წლის წინ მუხლის მძიმე ოპერაცია გადაიტანა, ამის გამო სამი სლემტურნირი გამოტოვა, მაგრამ კორტზე მობრუნებული მაინც ისე ბარაქიანად ათამაშდა, რომ სეზონის დამლევს კვლავ ზეათეულამდე აღზევება შეძლო. მის რიგიან ამჟამინდელ ფორმაზე წინა კვირაში სიდნეურ ფინალამდე ჩოგნაობაც მეტყველებს.

კაცთა მხარეზე ყველა ავსტრალიური თვალი ლეიტონ ჰიუიტისკენაა მიპყრობილი. ოზებს ხომ უკვე 25 წელია, თავიანთი სლემტურნირი აღარ მოუგიათ.

არადა, ლეიტონის მელბურნპარკული მაჩვენებლები ძალზედ მწირია. იქ ის ერთხელაც ვერ გასცილებია მეოთხე წრეს, ხოლო შარშან სულაც პირველივე მატჩში დამარცხდა — გეხსომებათ, ტურნირამდე ცოტა ხნით ადრე მას ჩუტყვავილამ დარია ხელი.

სამელბურნო ტურნირებიდან, სერენას მსგავსად, ჰიუიტმაც მხოლოდ ჰოპმანის თასი შეარჩია.

ჰიუიტი: „თითქოს ჯანზე ვარ, მაგრამ სანამ კორტზე არ გახვალ და პირველ შეხვედრას არ ითამაშებ, დანამდვილებით ვერაფერს იტყვი. საპირველწრეო მატჩები ყველაზე მძიმეა, მათ თუ გაალწევ, მერე თამაში როგორღაც ადვილდება. „შინაური წნეხი" თუ მაწუხებს? არანაირად, ამასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არა მაქვს".

დღეს ჰიუიტი შვედ მაგნუს ლარსონს შეხვდება. პირველი მართლაც ძნელი გამოცდა კი მას მესამე წრეში მოელის, სადაც სავარაუდოდ გუსტავო კუერტენს უნდა გადაეყაროს.

რაც შეეხება სხვა მორჭმულ კაცებს, მათგან უმთავრეს ინტერესს ანდრე აგასის გამოსვლა იწვევს. 32 წლის შვიდგზის მესლემტიტულე არმენოამერიკელმა წინა სეზონი თუმცკი უსლემტიტულოდ, მაგრამ მაინც ხუთი ტიტულითა და ორსავე კლასიფიკაციაში ჰიუიტის მომდევნო, მეორე ადგილზე გაასრულა. შანხაის მასტერსთასზე მან ბარძაყი დაიშავა და ტურნირი ბოლომდე არც მიუყვანია, თუმცა ამ კვირების განმავლობაში მან აქა-იქ (არასა-ATP-ო ტურნირებზე) რიგიანად წაიჩოგნავა და იმ ტრავმისა აღარაფერი ეტყობა.

შეგახსენებთ, რომ აგასი ავსტრალიის სამგზის ჩემპიონია. მეოთხე ჩემპიონობის შესაძლო გზაზე პირველი ანგარიშგასაწევი საფრთხე მას მეოთხე წრეში ელოდება, სადაც ან არგენტინელ გილერმო კანიასს უნდა შეხვდეს, ანაც ავსტრალიის 1999 წლის ჩემპიონ ევგენი კაფელნიკოვს.

მთავარფავორიტთა რიცხვშია სკვითი მარატ საფინიც, ვინაც შარშანდელი ფინალი შვედ ტომას იოჰანსონს დაუთმო. წინა ოთხშაბათს მან მარჯვენა მხარი დაიზიანა, მაგრამ იმედოვნებს, რომ ჰოლანდიელ რემონ სლოიტერთან გასამართი დღევანდელი საპირველწრეო მატჩისთვის ყველაფერი რიგზე ექნება.



ლეიტონ ჰიუიტი

## დღე პირველი, ჩემპიონისთვის – უკანასკნელი

### პირველი წრე

### კაცები

**კრისტოფ როშუ** (ბელგია) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:2, 6:3, 6:4; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — ბრაიან ვაალი (აშშ) 7:5, 6:3, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (4, ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:6 (7:5), 3:6, 6:2, 6:3; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — დიკ ნორმანი (ბელგია) 7:5, 6:3, 6:3; **ალბერტ კოსტა** (8, ესპანეთი) — დავიდ პრინოშილი (გერმანია) 6:4, 6:1, 3:6, 7:6 (7:5); **პარადორნ შრიჩაფანი** (11, ტაილანდი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:5, 6:4, 1:6, 6:0; **სებასტიან გროჟანი** (12, საფრანგეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 6:2, 6:3; **გილერმო კანიასი** (14, არგენტინა) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 6:3, 7:5, 6:3; **სხენგ შალკენი** (16, ჰოლანდია) — ჯეკ ბრეზინგტონი (აშშ) 6:4, 6:2, 7:6 (7:5); **გასტონ გაუდიო** (17, არგენტინა) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 7:5, 7:5, 6:2; **რენცო ფურლანი** (იტალია) — ანდრეი პაველი (21, რუმინეთი) 4:1 (პაველმა შეწყვიტა); **ევგენი კაფელნიკოვი** (22, რუსეთი) — ჯეფ მორისონი (აშშ) 7:6 (7:5), 6:3, 4:6, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (24, ეკვადორი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:0, 6:4, 6:0; **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) — ტომი რობრედო (26, ესპანეთი) 5:7, 6:0, 6:3, 6:4; **ფაბრის სანტორო** (28, საფრანგეთი) — ბიორნ ფაუ (გერმანია) 6:4, 6:3, 6:4; **ნიკოლა ესკუდი** (29, საფრანგეთი) — გუიჩი მოტომურა (იაპონია) 6:1, 2:6, 6:3, 6:2; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) 6:4, 6:4, 6:7 (5:7), 6:3; **ფელისიანო ლოპესი** — ... 

**ფელიძს მანტია** (ესპანეთი) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 4:6, 7:5, 6:3, 4:6, 6:4; **გილერმო კორია** (არგენტინა) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:4, 7:5, 6:1; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:3, 3:6, 6:3, 6:2, 7:5; **ლი ჰიუნგ-ტაიკი** (სამხრეთ კორეა) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 5:7, 6:2, 6:2, 6:3

### ქალები

**ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) 6:4, 6:2; **მარლენ ვაინგარტნერი** (გერმანია) — ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) 2:6, 7:6 (8:6), 6:4; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (5, ბელგია) — მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) 6:3, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (7, სლოვაკეთი) — ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) 7:5, 6:7 (3:7), 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (9, აშშ) — კამილ პენი (საფრანგეთი) 6:2, 6:1; **პატი შნიდერი** (12, შვეიცარია) — უინე პრაკუსია (ინდონეზია) 6:3, 6:1; **სილვია ფარინა ელია** (13, იტალია) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:4, 6:2; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) 6:1, 6:4; **აი სუგიამა** (21, იაპონია) — ანჯელიკ ვიჯაჯა (ინდონეზია) 6:3, 4:6, 6:2; **ანე კრემერი** (22, ლუქსემბურგი) — ლიბუშე პრუსოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:2; **პაოლა სუარესი** (23, არგენტინა) — დალი რანდრიატეფი (მადაგასკარი) 6:4, 6:3; **ლიზა რეიმონდი** (27, აშშ) — ლინდსი ლი-უატერსი (აშშ) 7:6 (7:3), 6:3; **ჟანეტ ჰუსაროვა** (30, სლოვაკეთი) — მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 6:3, 6:0; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — კონჩიტა მარტინესი (31, ესპანეთი) 6:7 (3:7), 6:3, 6:4; **ანა კურნიკოვა** (რუსეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:2

ტურნირის პირველი დღე 64 მჩოგნისთვის უკანასკნელი გამოდგა ქართველთათვის სამწუხაროდ, ამ 64-ეულში მოხვდა ირაკლი ლაბაძეც, რომელმაც ბელგიელ კრისტოფ როშუსთან დათმო. სხვაფრივ — განთესილთაგან და ფავორიტთაგან თითქმის ყველამ იმარჯვა და რომ არა ქალთა შარშანდელი ჩემპიონის, ორგზის მეავსტრალიე ჯენიფერ კაპრიატის სრულიად მოულოდნელი მარცხი, გუშინდელი დღისთვის შეიძლებოდა უინტერესოც გვეწოდებინა.

ბუთქუნა ჯენი 22 წლის გერმანელმა, მსოფლიოში 98-ე ჩოგნის მჭნეველმა მარლენ ვაინგარტნერმა იმსხვერპლა. მარლენმა პირველი სეტი უიმედოდ დათმო, მაგრამ მერე და მერე ნელ-ნელა აიჯაგრა, ფხა გამოაჩინა და ისეთი ჯიგრით, ისე აგრესიულად აჩოგნავდა, ალბათ მთელი თავისი გაუხარელი საჩოგბურთო ცხოვრებისას რომ არ უჩოგნავია. ჯენი კი, რომელიც იოლი პირველი სეტის შემდეგ ალბათ უკვე საშხაპესა და სადამოურ ონავრობებზე ფიქრობდა, აიჭრა, ანერვიულდა, მიქარვებს უმატა და...

1968 წლიდან — ანუ „ღია ჩოგბურთის ეპოქაში" — მელბურნ პარკზე ასეთი რამ არ მომხდარიყო. ქალთა შორის ტიტულის დამცველი მეორე წრეში მაინც ახერხებდა გასვლას.

კაპრიატი: „როგორც ჩანს, სათანადოდ არ მოვემზადე. არც ფიზიკურად და არც მენტალურად მზად არ ვიყავი".

ვაინგარტნერი კი — ბუნებრივია — კარიერის უდიდეს გამარჯვებაზე ჭყლოპინებდა, ოღონდ ისე, რომ საკუთარი გამარჯვების დამსახურებულობაში ერთხელაც არ დაეჭვებულა: „დასაეჭვებელი აქ არაფერია და იმიტომ. მაგრად ვითამაშე და გამარჯვებაც ჰალალად მეკუთვნოდა. ასე თუ გავაგრძელე, ვფიქრობ, კიდევ ბევრი სახელიანი ჩოგბურთელის დაჩაგვრას შევძლებ".

ჰმ! არის მარლენ ვაინგარტნერი შტეფი გრაფის თუნდ შორეული „წანაბაძი" თუ ის მხოლოდ ერთი დღის ვარსკვლავია? ამის სანახავად შორს წასვლა არ დაგვჭირდება. წინ კიდევ ორი მელბურნული კვირაა.

**ლევან ძელაურაძე**



სერენა უილიამსი

## ქალების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

- ს. უილიამსი (1) — ლუა
- კალენსი — სუხა
- ჟიდკოვა — გრანვილი
- დრეიკი — ტანასუგარნი (26)
- დანილიდუ (18) — ირვინი
- გრანადოსი — ფრეზერი
- ბედანოვა — ბენესოვა
- ტაილორი — დეში (16)
- მალეევა (11) — ბარტოლი
- დირბერგი — იონ-ძეონი
- კაპროში — გრანდე
- ზვონარევა — ბოვინა (20)
- შონესი (25) — ლაგოსტერა
- დიას-ოლივა — ჩერვანოვა
- კუკალოვა — შარაპოვა
- კურპაიჩოვა — სელეში (6)
- კლაისტერსი (4) — რივზი
- მანდულა — ტალაია
- პუჩეკი — პისნიკი
- ტორენსი — მაიოლი (29)
- კუტცერი (19) — შეტი
- ლოს რიოსი — იანკოვიჩი
- მატევზიჩი — დელაკვა
- ტუ — სმაშნოვა (14)
- რუბინი (10) — ჩინკი
- ვარტუში — პირსი
- სერა ძანეტი — მიულერი
- შვარცი — დემენტიევა (17)
- ფერნანდესი (28) — შილი
- სვენსონი — სერნა
- მიქაელიანი — გალიარდი
- ფისლოვა — მისკინა (8)
- ენენ-არდენი (5) — კაზანოვა
- ნაგიოვა — კურნიკოვა
- კრეიბასი — რაცანო
- საფინა — სრებოტნიკი (32)
- პანოვა (24) — რიოში
- მორიგანი — როჟენსკა
- ტულიაგანოვა — მოლიკი
- პენი — დევენპორტი (9)
- სტივენსონი (15) — ბალტაჩა
- ბლეკი — ჰლადკოვა
- რიტნერი — დომინიკოვიჩი
- პრუსოვა — კრემერი (22)
- ჰუსაროვა (30) — სალერნი
- ასაგოე — პასკუალი
- ფორე — კულიკოვსკაია
- ვაინგარტნერი — კაპრიატი (3)
- ჰანტუხოვა (7) — ზულუაგა
- ლიხოვცევა — ძანეტი
- უები — ლორენსო
- სტოსური — მარტინესი (31)
- სუგიამა (21) — ვიჯაჯა
- არნი — პეტროვა
- მარერო — კოსტანიჩი
- პრაკუსია — შნიდერი (12)
- ელია (13) — პენეტა
- ვაშინგტონი — პრატი
- მაკკილანი — გარბინი
- რანდრიანტეფი — სუარესი (23)
- რეიმონდი (27) — ლი-უატერსი
- ბარნა — სკიავონე
- გარიგესი — კარგილი
- კუზნეცოვა — ვ. უილიამსი (2)



ელდარ კურტანიძეს 2002 წლის საუკეთესო სპორტსმენის პრიზი
სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის თავკაცმა ელგუჯა ბერიშვილმა გადასცა



კახა კალაძემ მეორედ ირგუნა „სარბიელის“ პრიზი:
იგი კვლავაც საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელია

# 2002

## კადრები ისტორიისთვის

ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ თბილისში, „შერატონ მეტეხი პალასში“ საახალწლოდ შეიკრიბნენ სპორტული ჟურნალისტები, თვად ათლეტები, მათი მწვრთნელები და საერთოდ სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მასპინძლობით მოწყობილ ამ თავყრილობაზე გაცხადდა ასოციაციის ტრადიციული საახალწლო რეფერენდუმის შედეგები, რომელმაც საქართველოს 2002 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი, საუკეთესო გუნდი და მწვრთნელი გამოავლინა.

პრესის, ტელერადიოსა და საინფორმაციო სააგენტოების 60 ჟურნალისტის გამოკითხვის შედეგად შარშანდელ საუკეთესო სპორტსმენად, ისე როგორც 1996 წელს, აღიარებულია მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე ელდარ კურტანიძე, რომელსაც 535 ქულა დაუგროვდა.

484 ქულით მეორე ადგილზე გავიდა 1998, 2000, 2001 წლების საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი, ძალოსანი გიორგი ასანიძე, რომელმაც შარშან ევროპულ სარბიელზე ოქრო, მსოფლიოსაზე კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ასეთივე წარმატებისთვის ათეულში პირველად მოხვდა და მესამე ადგილზე გავიდა ახალგაზრდა ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე ბადრი ხასაია (352).

მე-4 იყო 1988 და 1999 წლების საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ნინო სალუქვაძე (279), რომელმაც შარშან მსოფლიოს თასი კიდევ ერთხელ მოიგო, ჩემპიონატზე კი მეორე იყო.

სსჟა-ს ვერსიით მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 5. ლევან ცაბაძე (რაგბი) 208; 6. კახა კალაძე (ფეხბურთი) 190; 7. მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) 169; 8. აკაკი ხანიშვილი (სამბო) 142; 9. ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) 130; 10. დავით ქევხიშვილი (ძიუდო) 90.

წლის საუკეთესო გუნდებად დასახელდნენ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები (მსოფლიოს თასის ფინალისტი) და საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები (ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი).

საქართველოს 2002 წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარებულია კლოდ სორელი (რაგბი).

ამავე თავყრილობაზე კახა კალაძეს, „სარბიელის“ გამოკითხვით საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს, მეორედ გადაეცა შესაბამისი პრიზი.

სსჟა-ს პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, რომელიც 50 წლისა მოიყარა, საზეიმო სალამოს სცენარის გაუთვალისწინებლად სუვენირით დასაჩუქრდა. იქვე ითქვა, რომ იგი იმავე სალამოს საქართველოს პრეზიდენტთან უნდა ყოფილიყო, რათა „ღირსების ორდენი“ გადასცემოდა, მაგრამ მან „შერატონ მეტეხი პალასში“ შეკრებილი 200-მდე სტუმარი ვერ მიატოვა...

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



გიორგი კანდელაკი საახალწლო საჩუქრით



საუკეთესო გუნდის წოდება ძიუდოისტებმა და მორაგბეებმა ძმურად გაიყვეს


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი კაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge